საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდ

№ 055 (12 431) | 7 მარტი პარასკევი 2008 წელი | ფასი 50 თეთ



# ბეკერი: იაშვილი შესანიშნავ ფორმაშია!

კარლსრუეს თავკაცი ბაიერნს ქართველითაც ემუქრება... »» 5

## ეპიცენტრი გლდანსა და ზუგდიდში

საქართველოს ჩემპიონატი. XVI ტურის წინათქმა

»» 2-3

## რვაში ერთი გარკვეულია



რეინჯერსი-ვერდერი. დევისს გააქვს მეორე გოლი გერმანელთა კარში »» 16

## ნუგზარ ლობჟანიძე საფეხბურთო რინგზე გამოჩნდა

»» 4-5



## დავბრუნდი, რადგან ძალიან მიყვარს!



»» 2



## გრიგალაშვილმა დინამო დატოვა

»» 2

ტრანსფერი

# ალექსიძე და ჩივაძე ლოკომოტივში ითამაშებენ

სომხურ "მიკაში" ტესტირებაზე მყოფი სამი ქართველი ფეხბურთელიდან ერთი, **რატი ალექსიძე**, თბილისის "ლოკომოტივში" გააგრძელებს კარიერას. აი, **ვიტალი დარასელიასა** და **მიხეილ ბობოხიძის** საკითხი კი ჯერჯერობით გაურკვეველია. შესაძლოა, ალექსიძის დებიუტი ხვალ, ახალციხის "მესხეთთან" მატჩშიც კი შედგეს. ალექსიძესთან ერთად "ლოკომოტივში" ითამაშებს ნახევარმცველი **გიორგი ჩივაძეც**, ალექსანდრე ჩივაძის ვაჟი.

რაც შეეხება **ლევან ცქიტიშვილს**...

"რატი ალექსიძე უკვე შევიყვანეთ გუნდის განაცხადში. ისევე როგორც ალექსანდრე ჩივაძის ვაჟი, გიორგი. ლევან ცქიტიშვილი განაცხადში ჯერ არ შეგვიყვანია, მასთან მოლაპარაკებებს ვაგრძელებთ. იმედი მაქვს, ცქიტიშვილს დავითანხმებთ. მართალია, საქართველოში სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიხურა, მაგრამ ცქიტიშვილი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელია, თავისუფალი აგენტია და ვფიქრობ, მოხერხდება მისი დამატება. მთავარია ლევანი დაგვთანხმდეს.

რაც შეეხება ალექსიძეს, რატი კარგად გამოიყურება. აშკარად ეტყობა, რომ თამაშსაა მონწყურებული", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა "ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი კიკნაძემ**.

**დავით ცაბაძე**



რატი ალექსიძე ფეხბურთს უბრუნდება

# დავბრუნდი, რადგან ძალიან მიყვარს!

ეროვნული ნაკრების, თბილისის "დინამოს", ლონდონის "ჩელსისა" და "როსტოვის" ყოფილი ფორვარდი რატი ალექსიძე ფეხბურთელობას უბრუნდება.

დაახლოებით სამი წლის წინათ ალექსიძე ავტოავარიაში მოყვა და თავის არცთუ მსუბუქი ტრავმა მიიღო. მას შემდეგ რამდენჯერმე სცადა ფეხბურთში დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ.

ახლა კი 29 წლის ალექსიძე თბილისის "ლოკომოტივის" ფეხბურთელია.

**- რა ხდებოდა სამი წელინადი, რატომ აქამდე ვერ მოახერხე დაბრუნებოდი ფეხბურთელობას?**

- ხან რა პრობლემა მანუხებდა, ხან - რა, მაგრამ ძალიან მიყვარს ფეხბურთი და ამიტომ დავბრუნდი. რამდენჯერმე ვცადე ეს, თუმცა უშედეგოდ. ახლა თავს ნორმალურად ვგრძნობ, საკუთარი თავის იმედი მაქვს.

**- რამდენი ხანია, რაც უწყვეტად ვარჯიშობ?**

- დაახლოებით თვენახევარი. ჯერ სომხეთში წავედი და "მიკასთან" ვვარჯიშობდი, ამ გუნდს თურქეთშიც გავყევი ორკვირიან შეკრებაზე, მერე კი თბილისში დავბრუნდი. ძალიან მინდა კიდევ ვითამაშო ფეხბურთი.

**- ფაქტობრივად ყველაფერს თავიდან იწყებ, თან ისევ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან...**

- გული მწყდება, რომ ახლა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ძალიან ცოტა მაყურებელი დადის. დავესწარი ამასწინანდელ "ვიტ ჯორჯია"- "ლოკომოტივს" და გულშემატკივრის რაოდენობით განბილებული დავრჩი.

**- ამ ეტაპზე შენი შესაძლებლობების დაახლოებით რამდენი პროცენტის ჩვენება შეგიძლია?**

- არ ვიცი, ჯერ ვერ ვიქნები საუკეთესო ფორმაში, თუმცა მოედანზე გასვლა და თამაში უკვე შემიძლია.

**- მაინც როდისთვის უნდა ველოდოთ რატი ალექსიძის მოედანზე გასვლას?**

- ეს "ლოკომოტივის" მწვრთნელების, გიორგი კიკნაძის და ზაზა ზამთარაძის გადასაწყვეტია. ისინი გვერდში დამიდგნენ, მეხმარებიან და მეც ვეცდები მათ დახმარებას. ახლა ისეთ კონდიციაში ვარ, შეცვლაზე რამდენიმე წუთით თამაში უკვე შემიძლია.

**დავით თავართქილაძე**

# საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVI ტური. წინათქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ვიტ ჯორჯია–დილა

7 მარტი. მცხეთა. არმაზი. 15:00

პირველ წრეში: 1:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ვიტ ჯორჯია: **ბედიაშვილი, ბექვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი, სახოკია**

დილა: **ილურიძე, ბერიანიძე, გვეტაძე, ლაცაბიძე, ბალიაშვილი, სადალაშვილი, ნ. ნოზაძე, ტლაშაძე, ვარდოსანიძე, გ. მიქაძე, ბ. ჩიტაია**

დისკვალიფიკაცია: **ბალაშვილი, სულთანიშვილი, შატაკიშვილი**

არბიტრი: **ლ. კვარაცხელია**

"დილას" ამ მატჩში წარმატების დიდი შანსი ისედაც არ ექნებოდა, სამი წამყვანი მოთამაშის დისკვალიფიკაცია კი გორელთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. "ვიტ ჯორჯიას" ყველაფერი წესრიგში აქვს. ვეტერინარებმა მეორე წრის განვლილი მატჩები მაღალ დონეზე ჩაატარეს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ შეემთხვათ, დღეს მორიგ გამარჯვებას იზეიმებენ. გორელებს კი მარცხი ისედაც მძიმე სატურნირო მდგომარეობას კიდევ უფრო დაუმძიმებს, მით უმეტეს უშუალო კონკურენტებმაც თუ მოიპოვეს ქულები.

### სპარტაკი–მერანი

7 მარტი. გორი. ქართლი. 15:00

პირველ წრეში: 1:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

სპარტაკი: **კოდალაევი, მამუკაშვილი, ქემოკლიძე, კუპრეიშვილი, ბახტურიძე, თარხნიშვილი, ტყეშელაშვილი, გოგოხია, ძარია, მ. ღონღაძე, ხიდეშელი**

მერანი: **თევდორაძე, ლოლაძე, ლ. გრიგალაშვილი, გიგაური, ქემაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, კობერიძე, ბაკურაძე, ი. შენგელია, გოჩაშვილი**

არბიტრი: **ლ. ფანიაშვილი**

"სპარტაკმა" სეზონი "დინამოსთან" სათასო ფრით განაახლა, თუმცა შემდეგ ჩემპიონატში ვერ ივარგა. უშუალო კონკურენტთან საშინაო მატჩში ცხადია, **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდს მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. საქმე არც "მერანს" მისდის სახარბიელოდ, გორში დამარცხება სახიფათო ზონამდე დაშვებას ნიშნავს. ასე რომ, "სპარტაკი"-"მერანი" ტურის ერთ-ერთი პრინციპული დაპირისპირებაა.

### დინამო–ბორჯომი

7 მარტი. თბილისი. ეროვნული. 15:00

პირველ წრეში: 2:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

დინამო: **ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, აკირემი**

ბორჯომი: **სეფიაშვილი, გუგავა, ქარქოზაშვილი, კაკუბავა, ქავთარაძე, ვ. ბოლქვაძე, კირთაძე, თედიაშვილი, დევიძე, გოგიჩაიშვილი, მეგრელაძე**

არბიტრი: **ვ. ელისაბედაშვილი**

ჯერ კიდევ გუშინ გაურკვეველი იყო, იჯარით გასხვისებული რომელი ფეხბურთელების გამოყენების უფლებას დართავდა "დინამო" "ბორჯომს". ისე კი, დედაქალაქურმა კლუბმა ხვალინდელ მეტოქეს ყველა ასეთი მოთამაშის მოედანზე გაყვანა რომ აუკრძალოს, "ბორჯომი" 11 კაცს ვერ მოაგროვებს... ბუნებრივია, ამ ტურში "დინამო" ერთპიროვნულ ლიდერობას შეინარჩუნებს.

### ამერი–ოლიმპი

8 მარტი. თბილისი. ამერი. 15:00

პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ამერი: **ქვაჩახია, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, შალამბერიძე, დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი**

ოლიმპი: **მერლანი, ჭიჭვეიშვილი, ორბელაძე, მახვილაძე, კახელიშვილი, სტეფნაშვილი, დევდარიანი, გაბედავა, ნ. მგელაძე, გენაძე, ომელიანოვი**

დისკვალიფიკაცია: **სილაგაძე**

არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი**

სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში "ოლიმპმა" პირველ წრეში სწორედ "ამერთან" ჩაატარა, როცა გლდანელებს დამაჯერებლად სძლია. იმის მიუხედავად, რომ ჩემპიონატიდან ევროთასებზე გასვლის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა, "ამერი" გამარჯვებისთვის თავგამოდებით იბრძოლებს. "ოლიმპისთვის" სამი ქულა მით უფრო საჭიროა, რათა რუსთაველები მონინავე სამეულს ფეხდაფეხ მიჰყვნენ. მოკლედ, შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანია, სხვა თუ არაფერი, ერთმანეთს საქართველოს მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი შეერკინებიან.

### მგლები–ზესტაფონი

8 მარტი. ზუგდიდი. თუთბერიძე. 15:00

პირველ წრეში: 0:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

მგლები: **ივარდავა, ზ. ექონია, ჟვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ხოხონიშვილი, დ. ქირია, ვართაგავა, ლ. წურწუმია, ჯანაშია, კრასოვსკი**

ზესტაფონი: **რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, რ. ონიანი,**

# გრიგალაშვილმა დინამო დატოვა



შოთა გრიგალაშვილი

ყველასათვის მოულოდნელად, **შოთა გრიგალაშვილი** თბილისის "დინამოდან" წავიდა. როგორც იცით, ახალგაზრდა ნახევარმცველი პირველ წრეში "ბორჯომში" იჯარით თამაშობდა და იმდენად კარგად, რომ დედაქალაქურმა კლუბმა ზამთარში მისი დაბრუნება გადაწყვიტა. ფაქტია, რომ **დუშან უჰრინის** გეგმებში მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. უცხოურ შეკრებებზეც გამოიჩინა თავი და განახლებულ სეზონში "დინამოს" ძირითადშიც ორჯერ ითამაშა...

დებულებით, ფეხბურთელს სეზონის განმავლობაში ორზე მეტ კლუბში თამაშის უფლება არა აქვს და ამიტომაც, გრიგალაშვილი სეზონს "ბორჯომში" ჩაამთავრებს. "ბორჯომის" მთავარი მწვრთნელის, **ვლადიმერ ხაჩიძის** თქმით, გრიგალაშვილმა "დინამო" კონფლიქტის გამო დატოვა. თავად ფეხბურთელმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVI ტური. წინათქმა

# ეპიცენტრი გლდანსა და ზუგდიდში





**მეორე წრე უკვე გახურდა და უმაღლესი ლიგის ბინადართა პოტენციალიც დავინახეთ. ბრძოლები გადამწყვეტ ფაზაში შედის, თითქმის ყველა გუნდისთვის თითოეული ქულა უმნიშვნელოვანესია. ამ ტურში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მატჩები შაბათს გველის. ცენტრალური დაპირისპირება გლდანში შედგება "ამერსა" და "ოლიმპს" შორის, ნაკლებად საინტერესო არც "ზესტაფონის" ზუგდიდში სტუმრობა უნდა იყოს.**

ნ. კვასხვაძე, კესანი, დაუშვილი, ვიეირა, ბ. გოცირიძე, ბიტოო

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

"კოლხიდა" ხვალ ზუგდიდიდან შემოგვთავაზებს პირდაპირ ტელერეპორტაჟს. მაყურებელს ამ მატჩის ხილვა "მზის" ეთერში შეუძლია. ლიდერთა სამეულიდან ყველაზე რთული თამაში "ზესტაფონს" ელის. მართალია, "მგლები" "ოქროს შუალედში" მყარადაა გამაგრებული, მაგრამ ზუგდიდელები ფეროელებს ალბათ, მაინც დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ. "ზესტაფონმა" "ვიტ ჯორჯიასთან" ნაგებით საქმე გაირთულა, **თემურ მახარაძის** გუნდს მხოლოდ გამარჯვება სჭირდება.

### მესხეთი–ლოკომოტივი

8 მარტი. ბორჯომი. ზეინკლიშვილი. 15:00

პირველ წრეში: 3:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

მესხეთი: სომხიშვილი, ლ. მერებაშვილი, ნადირაშვილი, თ. ლონლაძე, ლეკიშვილი, რაქვიაშვილი, ინასარიძე, გვირჯიშვილი, კოშკაძე, კ. ხანიშვილი, სამადაშვილი

ლოკომოტივი: შ. ალავიძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, დ. ფოფხაძე, გულორდავა, ქუხილავა, ზ. ჩხეტიანი, კაჭახიძე, ქუცურუა, ალავერდაშვილი

დისკვალიფიკაცია: ბარბაქაძე

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

პირველ წრეში "მესხეთმა" "ლოკომოტივს" სტუმრად ლამაზ თამაშში აჯობა. თუკი მეტოქის მოედანზე რკინიგზელები სამ ქულას აიღებენ, სატურნირო მდგომარეობას ოდნავ გამოისწორებენ, თუ არადა კიდევ უფრო მძიმე დღეში აღმოჩნდებიან, რადგან "სპარტაკი"-"მერანის" მატჩში მათი ერთ-ერთი, ან ორივე კონკურენტი იხეირებს. "მესხეთს" სადღეისოდ ცუდი არაფერი ემუქრება, მაგრამ რა თქმა უნდა, ახალციხელებისთვის მოდუნება ჯერ ძალიან ადრეა.

### ბათუმი–სიონი

7 მარტი. ბათუმი. ადელი. 15:00

პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბათუმი: სტურუა, კუნჭულია, მაკარიანი, თედორაძე, გალოგრე, კ. მახარაძე, ქებაძე, ოქრუაშვილი, ბეჟანიძე, გ. ჩხეტიანი, ქუთათელაძე

დისკვალიფიკაცია: ცანავა

სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, ბოიომო, სვანიძე, გ. ოქროპირიძე, კვიტაიშვილი, ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი, სანიკიძე, შ. ჯიქია, ჩასემი

დისკვალიფიკაცია: ქურასბედიანი, ქარდავა

არბიტრი: მ. ურუშაძე

"ბათუმის" შემადგენლობა საკმაოდ გაძლიერებულია, ორი დღის წინათ გუნდს **შოთა ბაბუნაშვილიც** შეუერთდა. ბოლოადგილოსნისთვის მეორე წრეში აქამდე მოპოვებული კინკილა ქულა დიდი ვერაფერი მონაგარია, "სიონის" დამარცხება აჭარულ კლუბს ჰაერივით ესაჭიროება. თუკი "ბათუმს" დღესაც მოეცარა ხელი, უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსებს კიდევ უფრო შეიმცირებს. "სიონი" რიგიანად გამოიყურება, განვლილ მატჩებში ბოლნისელებმა საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთი აჩვენეს და წინა ტურში თბილისის "დინამოს" კინაღამ ორი ქულა დააკარგინეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 15 | 13 | 0 | 2 | 38-7 | 39 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 15 | 12 | 1 | 2 | 28-9 | 37 |
| 3. ზესტაფონი | 15 | 12 | 1 | 2 | 31-9 | 37 |
| 4. ოლიმპი | 15 | 9 | 3 | 3 | 16-9 | 30 |
| 5. ბორჯომი | 15 | 8 | 4 | 3 | 19-11 | 28 |
| 6. ამერი | 15 | 8 | 1 | 6 | 24-17 | 25 |
| 7. მესხეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 16-21 | 20 |
| 8. მგლები | 14 | 6 | 0 | 8 | 15-19 | 18 |
| 9. სიონი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-19 | 18 |
| 10. მერანი | 15 | 4 | 1 | 10 | 8-24 | 13 |
| 11. სპარტაკი | 15 | 3 | 3 | 9 | 6-18 | 12 |
| 12. ლოკომოტივი | 15 | 3 | 1 | 11 | 9-23 | 10 |
| 13. დილა | 15 | 1 | 4 | 10 | 7-26 | 7 |
| 14. ბათუმი | 15 | 1 | 2 | 12 | 5-29 | 5 |

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

# მეტრი მერკის არ არის?



მარკუს მერკი

ჩემპიონთა ლიგას ერთი ქართველი შემორჩა. კახა კალაძე და "მილანი" ლონდონის "არსენალმა" გააჩერა. "მეთოფეებმა" ფეხბურთი ითამაშეს.

"მილანი" ძალიან კარგი და ძლიერი გუნდია, ელენიო ერერას კონსპექტი მოხდენილად აქვს მორგებული თანამედროვე სტილზე, - ეს იტალიაა, ფეხბურთი-ინფინიტი, ფეხბურთი-გონება, მარჩელო ლიპის სილუეტი თამბაქოს კვამლში, რინოს შეუპოვრობა, ხმელი ინძაგის მსუყე გოლები...

სულ სხვა არის არსენ ვენგერი, ის სულ სხვა ფანქრით ხატავს, სხვა ზეთებით პოხავს და აფერადებს ფეხბურთს. "არსენალისგან" "მილანის" ძლევა მართლაც კვირის ამბავი გამოდგა.

ლიგაში ლევან კობიაშვილი დაგვრჩა. "შალკეს" სვე-ბედი მხოლოდ კობის გამო არ არის საინტერესო. ამ გუნდში დამდეგი სეზონიდან ლევან ყენიამ უნდა ითამაშოს - ასე გვინდა ჩვენ და ამ თვალითაც ვუყურებთ "შალკეს", ვეძებთ იქ ყენიას ადგილს.

"შალკეში" უკვე თამაშობს ნიჭიერი ჭაბუკი ათი ნომრის ადგილზე. ივან რაკიტიჩი ძალიან მარჯვე ბიჭია, "შალკემდე" შვეიცარიაში ნათამაშები, ვისაც ევროპული საფეხბურთო განათლება უკვე მიღებული აქვს.

ქართველი ქომაგი ალბათ განსაკუთრებით აკვირდება რაკიტიჩის თამაშს. გვინდა, რომ მას ყენიამ აჯობოს. ეს სურვილია, აშლილი სალერღელია, იმედია.

საქართველოს ჩემპიონატში კი კაცი ყაზახეთიდან დაბრუნდა, შეკრება არ გაუვლია და წესიერად არ უვარჯიშია, გავიდა მოედანზე და ორი გოლი გაიტანა - გია მეგრელაძემ თვითონაც გვითხრა, ახლა ისეთ ჯანზე ვარ, ნახევარი ძალით თუ შემიძლია თამაშიო.

ზურაბ იონანიძემ ჰეთ-თრიკი შეასრულა - 35 წლის იონა, ლიხსიქითა ვარსკვლავი ისევ ჩაუქრობს.

ბოლნისში ჩუბინი იყო გიორგი მერებაშვილი. ის "დინამოს" ლოკომოტივია, სული და გულია. "სიონი" კი უკმაყოფილო იყო მსაჯობით.

არ გვაქვს პრეცედენტები და არც არასდროს გვექნება წესიერი ფეხბურთი.

კლუბი თუ მსაჯისკენ იშვერს ხელს, არც მას აქვს ყველაფერი წესრიგში, არც მას უკეთებია საქმე სუფთა ხელებით და ალბათ ამიტომაცაა ბოლომდე რომ მისდევს მსაჯის შეცდომას.

ვინმეს ახსოვს, კლუბი დასჯილიყოს მსაჯის თუ ფეხბურთელის მოქრთამვისთვის?

ერთი ქართული კლუბის პრეზიდენტმა მითხრა, გამოჩნდეს ისეთი ფეხბურთელი, მსაჯი თუ კლუბის მესვეური, ვინც კონკრეტულ ფაქტს იტყვის, ვინც კონკრეტულად გამოააშკარავებს კორუმპირებულს და ამისთვის ფულს გადავუხდიო.

მე არ ვიცნობ ისეთ კაცს ქართულ ფეხბურთში, ვინც ასეთ წინადადებას დათანხმდება ფულით თუ უფულოდ.

ჰოდა, პრეტენზიებიც ნულარ იქნება.

შეცდომა კი ვის არ მოსვლია. ბუნდესლიგის წინა ტურის "ვერდერი"-"დორტმუნდის" მატჩში თვით მარკუს მერკიც ისე საშინლად შეცდა, "დორტმუნდი" დაიჩაგრა. მეორე დღეს კი მერკმა საქვეყნოდ მოიხადა ბოდიში.

საქართველოში არც ასეთი მომხდარა, არადა ბოდიში ხანდახან ჯადოსნური რამეა, უარყოფით ემოციებს აცხრობს და უსიამოვნო სიტუაციებს ალამაზებს.

ზურაბ ხიზანიშვილი რომ ნაკრების უახლოეს მატჩში თამაშს არ აპირებს, გუშინდელ "ლელოში" წაიკითხავდით.

ფეხბურთის ფედერაციას ათეულობით ჯეელი მიგაფონებით მიადგა და ქოქოლა დააყარა - არც ტოპი გივარგათ და არც ხელმძღვანელობაო.

მკვეთრი ცვლილებების დროა, თორემ ასე ძალიან დავმუხრუჭდით.

**დავით თავართქილაძე**

# მუჯირს ათიანი გადასცეს





მალხაზ ასათიანმა შესაძლოა ვერც სუპერთასზე ითამაშოს. მართალია, რუსი ექიმების თქმით, ქართველი მცველის ტრავმა საგანგაშო არაა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. თუკი იქამდე სრულად არ გამოჯანმრთელდა, მაშინ ის მოედანს დაუბრუნდება. "ლოკომოტივის" თავკაცი **რაშიდ რახიმოვი** კი იმედს არ კარგავს, რომ ასათიანი თამაშს შეძლებს: "ნახევარმცველი დმიტრი ტარბინსკი ავსტრიულ შეკრებაზე დაშავდა. მას ახლაც აწუხებს კოჭ-წვივის სახსარი. მალხაზ ასათიანს კი წელი სტკივა. დღეისათვის სუპერთასზე ორივეს თამაში საეჭვოა, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ისინი "ზენიტის" წინააღმდეგ თამაშს შეძლებენ".

გუშინ რკინიგზული კლუბის ფეხბურთელები გულშემატკივრებს შეხვდნენ. შეხვედრაზე გუნდის ახალწვეულ **დავით მუჯირს** ოფიციალურად გადასცეს 10 ნომრიანი მაისურა.

**დავით ცაბაძე**

# სირაძემ სპარტაკთან კონტრაქტი გააფორმა

ნალჩიკის "სპარტაკში" ქართველი ლეგიონერების რაოდენობა გუშინ სამამდე ოფიციალურად გაიზარდა. **ალექსანდრე ამისულაშვილსა** და **გოგიტა გოგუას**, ჩვენი ნაკრების კიდევ ერთი წევრი, **დავით სირაძე** დაემატა. სირაძის "სპარტაკში" გადასვლის საკითხი კარგა ხნის წინათ გადაწყდა, მაგრამ ხელშეკრულება ოფიციალურად გუშინღა გაფორმდა.

"ბრაზილიელმა ნახევარმცველმა რიკარდო ბაიანომ და საქართველოს ნაკრების ფორვარდმა დავით სირაძემ ნალჩიკის "სპარტაკთან" კონტრაქტები გააფორმეს. სირაძე ბოლოს გერმანიის მეორე ბუნდესლიგის "პადერბორნში" ასპარეზობდა და 4 თვით, ნალჩიკელთა გუნდში განათხოვრების წესით ითამაშებს", - წერს "სპორტ ექსპრესი".

**დავით ცაბაძე**



დავით სირაძე

ლეგიონი

# კალაძეს კვარტეტში მოხვედრისა სჯერა

სერია ა-ს ბოლო ტურებში "მილანმა" წინ კი წაიწია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მორიგ სეზონში სათამაშოდ ჩემპიონატის მოწინავე ოთხეულში მოხვედრაა საჭირო. "სან სიროზე" "არსენალთან" 0:2 მარცხის შემდეგ, **კახა კალაძემ** პირველი კომენტარი გააკეთა: *"ჩვენ დიდებულ გუნდთან წავაგეთ. "არსენალმა" ორივე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. ადებაიორმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდებული მოთამაშეა და მას შეუძლია მთელი გუნდი აიყოლიოს. ყველა თამაშს ვერ მოიგებ. 2007 წელს ჩვენ ჩინებულად ვიასპარეზეთ. ყველა ის ტიტული მოვიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა.*

*ახლა მეტი დრო გვაქვს და სრულად უნდა გადავერთოთ ჩემპიონატზე. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ოთხეულში მოვხვდეთ და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ. მჯერა ამას შევძლებთ".*

# ჭელიძე ჯერ კიდევ საეჭვოა

მოსკოვის "ლოკომოტივის" ფორვარდი **გიორგი ჭელიძე** ცოტა ხნის წინათ რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე როსტოვის სკა-ში გამოჩნდა და **თამაზ პერტიას** "დინაბურგის" ძლევაში (5:0) გატანილი გოლით თავისი წვლილიც შეიტანა. სკა-მ ანთალიური შეკრება დაასრულა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. როსტოველთა კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ გუნდის მთავარ მწვრთნელ **გენადი სტეპუშკინის** ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ის ჭელიძესაც შეეხო:

*"თავდასხმის ხაზის გაძლიერება გვინდა და ამ მიზნით რამდენიმე შემტევი ფეხბურთელი მოვიწვიეთ. სხვებთან ერთად ჩვენთანაა მოსკოვის "ლოკომოტივის" ფორვარდი გიორგი ჭელიძე, თუმცა მის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიმიღია. თავდამსხმელებს კიდევ დავაკვირდები და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ"*, - აღნიშნა სტეპუშკინმა.

# კორღალიძე დაჩიამ გაიფორმა

კიშინიოვის "დაჩიაში" დიდი ხნისა განმავლობაში მოვარჯიშე **ლევან კორღალიძემ** სანადელს მიაღწია და მოლდოველებს თავი მოაწონა - ის 22-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს და სავარაუდოდ მისი დებიუტი მოლდოვის ჩემპიონატში დღეს შედგება.

ამ ქვეყნის პირველობაზე ქართველთა სამი გუნდია. გათამაშების ცხრილს **ვაჟა თარხნიშვილის** "შერიფი" 45 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს. 7 ქულით ნაკლები აქვს მეორეზე მყოფ "დაჩიას". **პავლე** და **ვალტერ ხორგუაშვილების** "ზიმბრუ" კი 31 ქულით მე-5 ადგილზეა. სხვათა შორის, "ზიმბრუმ" ზამთრის პაუზისას არაერთი გამორჩეული ფეხბურთელი გაასხვისა და ახალგაზრდული შემადგენლობით იასპარეზებს.

"შერიფის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გუშინ ვაჟა თარხნიშვილის ინტერვიუ გამოაქვეყნა.

*"დაჩიას" 7 ქულით ვუსწრებთ და ჯერ კიდევ ადრეა იმისი თქმა, რომ ჩემპიონები აუცილებლად ჩვენ გავხდებით. 7 ქულიანი სხვაობა დიდი არაა და ზეიმი ჯერ ადრეა, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. "დაჩია" კარგი, ახალგაზრდული გუნდია და კიშინიოველებიც ბოლომდე იბრძოლებენ ჩემპიონობისთვის"*, - აღნიშნავს თარხნიშვილი.

# ჭედია ტორპედოში ითამაშებს

ბელარუსის ქართულ ლეგიონს კიდევ ერთი, ფორვარდი **გიორგი ჭედია** შეემატა. ზუგდიდის "მგლების" აწ უკვე ყოფილმა ფორვარდმა ჟოდინოს "ტორპედოსთან" ერთად გაიარა მოსამზადებელი პერიოდი. გიორგი ტესტირებაზე იყო, ამხანაგურ მატჩებშიც მიიღო მონაწილეობა, გოლითა და საგოლე პასებით გამოირჩა და საბოლოოდ მისი ბელარუსში დარჩენის საკითხი დადებითად გადაწყდა. "ტორპედოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, კლუბმა 1988 წელს დაბადებულ ქართველ ფორვარდთან უკვე გააფორმა კონტრაქტი.

გასულ სეზონში "ტორპედო" მე-4 ადგილზე გავიდა. ახალი სეზონი კი ბელარუსში აპრილში განახლდება.

**დავით ცაბაძე**



ნუგზარ ლობჟანიძე და მურთაზ შელია

**საქართველოს ნაკრები, რუსთავის "გორდა", თბილისის "დინამო", მოსკოვის ცსკა და ბერძნული "ქსანტი" - ეს ის გზაა, რომელიც ნუგზარ ლობჟანიძემ ფეხბურთში გაირა. მოსკოვის ცსკა-სა და "ქსანტს" შორის შეუთანხმებლობამ ლობჟანიძის კარიერა 27 წლის ასაკში ნაადრევად შეიწირა.**

**ახლა პოსტკარიერულ გზას დაადგა და "ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლებს დაუდგა მხარში.**

**- ნუგზარ, კარიერის შემდეგ ფეხბურთში არ ჩანდი, სად ხარ, რას საქმიანობ?**

- ფეხბურთს არ ჩამოვშორებივარ. არჩევნებში გიორგი ნემსაძეს გვერდით დავუდექი, ეს იყო და ეს. ჩემი პატარა ბიზნესი მაქვს, არც მწვრთნელობა მიცდია და არც სხვა სახით მუშაობა.

ახლა ხომ იცით რა ვითარებაცაა. ჩემმა მეგობრებმა მიშა ყაველაშვილმა, გოჩა ჯამარაულმა და ლევან ყიფიანმა სერიოზული საქმე წამოიწყეს და გვერდით დავუდექი. სხვაგვარად არც გამოვიდოდა, მათი გუნდის წევრი ვარ. არ შეიძლება ბიჭებს არ დავეთანხმო - ქართული ფეხბურთი მძიმე დღეშია და მკურნალობა სჭირდება. მე მტკივა და განვიცდი, რაც ხდება.

**- ამას მხოლოდ უმცროს ნოდარ ახალკაცს ნუ დავაბრალებთ...**

- მე და ჩემი მეგობრები ამას არც ვამბობთ. სიმართლის თქმის პრეტენზია რომ გვაქვს, მინიმუმ, ობიექტურები უნდა ვიყოთ. ფეხბურთი ისედაც კვდებოდა, მაგრამ ამ ფედერაციის ხელში, საერთოდ, გაუსაძლისი ვითარება შეიქმნა.

**- ზოგადად გასაგებია, რომ "ჩვენი ფეხბურთის" წევრები ფედერაციის საქმიანობას არ იწონებთ, მაგრამ კონკრეტულად პირადად თქვენი დამოკიდებულება რა ფაქტორებმა განაპირობა?**

- ჯერ მსურს იმ რეაქციაზე ვისაუბრო, რომელიც "პრაიმტაიმს" მოჰყვა. ხალხი ამბობდა, სხვა საუბარს ველოდებოდით, ასეთი აურზაური და საუბარი არ გეკადრებოდათო.

გაიხსენეთ მუშთაიდის თუ კიროვის პარკებში ფეხბურთზე როგორ საუბრობდნენ, თამაშებს როგორ არჩევდნენ... შეუძლებელია, ამ დროს ყველას სიმშვიდე მოსთხოვო. ადამიანებში ფეხბურთი უდიდეს ემოციებს იწვევს და რატომ გაუკვირდათ, ფეხბურთელებმა სატკივარი ემოციურად რომ გამოვთქვით?

ახლა კითხვაზე გიპასუხებთ, რა არის ჩემი გულისტკივილი. ჯამარაულმა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს ჰკითხა, საფეხბურთო სკოლებში ხშირად დავდივარ და შენ არსად მინახიხარო. ამ ფრაზის მნიშვნელობა ბევრმა ვერ გაიგო და ამიტომაც დავაკონკრეტებ.

მე რუსთავში ვცხოვრობ, აქაურ საფეხბურთო სკოლებში სულ ჩემი მეგობრები მუშაობენ და რაც ხდება, მშვენივრად ვიცი, გოჩა ჯამარაულთან ერთად, თამაშებზე ხშირად დავდივარ, რუსთავშიც, თბილისშიც, სადაც მოგვიხერხდება.

ახლახან 35-ე სკოლაში გოჩას ბიჭი თამაშობდა. იქ მუშაობს გუბაზ დოლიძე, "დინამოს" აკადემიაშია ჭასიკო მაისურაძე. სკოლებში ძველ მეგობრებსა და ახლობლებს ხშირად ვხვდები და მათგან ვიცი, რა მდგომარეობაცაა.

ქავთარაძემ ჯამარაულს ირონიით უპასუხა, მე არ დავდივარ და შენ დადიხარო? ფეხბურთზე სიარული არ ნიშნავს, რომ მხოლოდ სიგელის გადასაცემად მიხვიდე, ან მაშინ, როდესაც ტელევიზიები მუშაობენ.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რეალურ მდგომარეობას უნდა იცნობდეს და ეს მხოლოდ ყველაზე დაბალი რგოლის ცოდნითაა შესაძლებელი. მეეჭვება, რომ ქავთარაძემ ასეთი დეტალები იცოდეს. არავის გავკიცხავ, მაგრამ როგორ შეიძლება ვერსად ვერავინ დაგინახოს? მე კი, ეს კაცი არსად მინახავს.

ფედერაციისა მიკვირს, როდესაც ბევრ რამეს იბრალებს, ლამის ყველაფერი გავაკეთეთ, ესა და ეს ჩვენი დამსახურებააო. ფეხბურთს ვარდისფერი სათვალით არ უნდა უყურონ, კაბინეტებიდან გავიდნენ და მიხვდებიან, რა კატასტროფაცაა.

ძალიან გამიხარდა, ლიგის ხელმძღვანელებმა და "კოლხიდამ" ახალი სატელევიზიო პროექტი რომ განახორციელეს, საქართველოს ჩემპიონატის საფეხბურთო მიმოხილვას მეც სიამოვნებით ვუყურებ. კარგს კარგი უნდა ვუწოდოთ, ლიგა საქმეს აკეთებს, მაგრამ ფედერაცია რას აკეთებს, მაგალითად, ჩემპიონატის დონის ასამაღლებლად და ბავშვთა ფეხბურთის გასავითარებლად?

მე მსურს სადმე ლანჩხუთში ან ფოთში ვნახო, ვინ იზრდება, მაგრამ ბრმები არ ვართ, ტალანტებს ველარ ვუვლით და თაობები აღარ მოდის. იდეალური მდგომარეობა ჩვენ დროსაც არ

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუგზარ ლობჟანიძე საფეხბურთო რინგზე გამოჩნდა

## თქვას ტოპმიოლერმა, რა დაუშავა ხიზანიშვილმა და რატომ საუბრობენ ფეხბურთელებთან რქებით?

იყო, მაგრამ ნაკრებმა რამდენჯერმე 80 ათასი ადამიანი შეკრიბა, "დინამოზე" კი 2000 კაცი მაინც დადიოდა.

იმის თქმა მსურს, რომ მარტო ეს მშვენიერი სატელევიზიო პროექტი არ კმარა, საერთო მდგომარეობა თუ არ გამოსწორდება.

ჩვენთან როდის გაკეთდება მოედნები, ინფრასტრუქტურა? სადაა დაპირებული ახალი სტადიონები, როდის დაიწყებენ მათ მშენებლობას? ამასობაში გავა დრო, რომელშიც ყველას ჩამოვრჩით და ამ მოოხრებული ფეხბურთის ამოსაწევად წლები დაგვჭირდება. უკრაინისა და რუსეთის დაწევას კი, ათწლეულები ველარ შევძლებთ. ჩვენ ფეხბურთის სიყვარულსა და ცოდნაში ნებისმიერს გავეჯიბრებით და ამიტომაც ვამბობთ სათქმელს.

**- კარგად გამიგეთ, ფეხბურთის ცოდნა ერთია, მაგრამ ფედერაციას კარგი მენეჯერები სჭირდება და ამ ცოდნით ფეხბურთელების დიდი ნაწილი ვერ დაიკვეხნის. ახლა ფედერაციას მენეჯერები მართავენ და არა ფეხბურთელები. მეორეცაა - ფედერაციაში ყველა ცნობილი ვეტერანი ხომ ვერ იმუშავებს?**

- მაგათი უბედურება ისაა, რომ ჰგონიათ, ყველა სკამებისთვის ვიბრძვით. ჩვენი ფეხბურთი კარგად რომ იყოს, მე რუსთავში წავალ, ვილაცა ლანჩხუთსა და რაჭაში. რაში მჭირდება ფედერაციაში მუშაობა? თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ საქმეს მათზე უკეთ გავაკეთებთ.

ქართული ფეხბურთი იმით ილუპება, რომ მაგათ ფეხბურთი მარტო ფედერაციის შენობა და ნაკრები ჰგონიათ. ამიტომ ვამბობ, კაბინეტში კი არ უნდა ისხდნენ და თავს იმშვიდებდნენ, რეალურ მდგომარეობას კარგად გაეცნონ და შემდეგ ილაპარაკონ.

რეგიონებში მინი-მოედნებს რომ აკეთებენ და ადგილობრივ ფედერაციებს აკომპლექტებენ, ამას რა ჯობია, მაგრამ ფეხბურთი მიწასთანაა გასწორებული!

**- სანაკრებო თემაზეც ვისაუბროთ. ზურაბ ხიზანიშვილმა კატეგორიულად მოითხოვა, ნაკრების ხელმძღვანელობამ აუხსნას, რაში გამოიხატება მისი უდისციპლინობა, თუ არადა, ნაკრებში არ ვითამაშებო.**

**კონფლიქტები ყველა დროს და ყველა გუნდში ხდება. თქვენს დროს თუ მომხდარა და როგორ გვარდებოდა?**

- როგორ არ მომხდარა, მაგრამ ფეხბურთელი და მწვრთნელი ყველაფერს თავად აგვარებდნენ. მიკვირს, ხიზანიშვილს ასე დაუნდობლად რომ წირავდნენ. ნაღდად ვიცი, რომ ზურა ნვეთს არ სვამს, რეჟიმს არ არღვევს, ვარჯიშებზე არ აგვიანებს და აბა, რა დანაშაული ჩაიდინა? ზურა ჩემი მეგობარი და ფეხბურთელია, მაგრამ მართალი რომ არ ყოფილიყო, ვერ დავიცავდი. ყველამ ვიცით, ასე არაა.

ხიზანიშვილი კითხვას სვამს, კონკრეტულად რატომ არ მიმიწვიეთო და ტოპმიოლერმა უნდა აგვიხსნას, რაშია საქმე. ფერგიუსონმა რონალდო 18 კაცში რომ არ დაასახელოს, არ ახსნის, რატომ?

აგერ, კუმანმა "ვალენსიაში" ვეტერანები ტრანსფერზე დააყენა და თქვა, გაახალგაზრდავება გვჭირდებაო, ტაქტიანად ახსნა, ფორმაში ალარ არიანო.

დიდი მწვრთნელი თუ არის, ტოპმიოლერმაც უთხრას, ზურა, შვილო, ამაში შეცდიო და ვინ გაგამტყუნებს. დიდი მწვრთნელი იყავი და ფეხბურთელთან ურთიერთობა ვერ უნდა მოაგვარო?

**- "დიდი მწვრთნელი იყავი" რას ნიშნავს, ალარაა?**

- დიდი მწვრთნელი იყო, მაგრამ დღეს მე ვხედავ, რომ ნაკრებს ვერაფერი უშველა. ადრე ჯამარაულიც მაგარ პასებს აკეთებდა, მაგრამ დღეს ნაკრებში ძალით ხომ არ ვათამაშებთ?

ფედერაცია ფეხბურთელებს რქებით რომ აწვება, აქედანაც ჩანს, რომ ფეხბურთში, მოთამაშეების ბუნებაში ვერ ერკვევიან. ან ამხელა სპეციალისტს ფეხბურთელებთან ურთიერთობა უნდა გეშლებოდეს? საინტერესოა, გერმანიაში ასევე იყო, მე ვარ და ჩემი ნაბადიო და ლიდერებს ასევე დაუსაბუთებლად იწუნებდა? შეიძლება შეგეშალოს მარტო ხიზანიშვილთან, მაგრამ გოგუასთან, იაშვილთან, მუჯირთან, აშვეთიასთან, ლომაიასთან? შეიძლება ამდენ ფეხბურთელთან შეგეშალოს?

ისიც სათქმელია, რაც არჩევნების დროს გააკეთა. მწვრთნელი არის ისეთივე დაქირავებული, როგორც ფეხბურთელი. ტოპმიოლერმა კი ულტიმატუმი წამოაყენა, მხოლოდ ახალკაცთან ვიმუშავებ, სხვასთან არავისთანო. ვინ გეკითხება მწვრთნელს, ქართული საფეხბურთო ოჯახი პრეზიდენტად ვის აირჩევს?

**- არჩევნების პერიპეტიებიც გავიხსენოთ. ვოვა გუცაევი ფედერაციის ხელმძღვანელობას არალეგიტიმურს უწოდებს.**

- ინგლისშია ასეთი წესი - გასულ წაგებას ალარ იხსენებენ. იმ წაგებაზე საუბარი მეც არ მსურს, წინ უნდა ვიყუროთ და ვიმსჯელოთ როგორ ვუშველოთ ფეხბურთს. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა და რა გაკეთდა? ქართველობას ფეხბურთი პოლიტიკაზე მეტად გვიყვარს და ამიტომაა ხალხი ასეთი უკმაყოფილო. ვეკითხები ფედერაციის პრეზიდენტს, თქვენი აზრით, შეიძლება ყველა უმიზეზოდ უკმაყოფილო ვიყოთ? ეს გამორიცხულია!

**მერაბ მამულაშვილი**

# ედმუნდ ბეკერი: იაშვილი შესანიშნავ ფორმაშია!



**ალექსანდრე იაშვილი** გერმანიაში 1997 წლიდან თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში "ბაიერნის" წინააღმდეგ არაერთხელ უთამაშია. დღეს ქართველი თავდამსხმელი "კარლსრუეს" ღირსებას იცავს და ბუნდესლიგის მომდევნო ტურში გუნდი სწორედ რეკორდმაისტერს ეთამაშება. "კიკერის" კითხვაზე, თუ რა გრძნობას იწვევს მისთვის "ბაიერნთან" თამაშის მოლოდინი, იაშვილს მხოლოდ ელიმება. მიუნხენური გიგანტის წინააღმდეგ მას სულ 10 თამაში აქვს ჩატარებული და ბალანსი აბსოლუტურად უარყოფითია -10 წაგება. მიუხედავად ამისა, ქართველი ფეხბურთელი პესიმისტურად მაინც არ არის განწყობილი. *"მე ძალიან მიყვარს სიტყვა სიტყვა "პირველად"*, - ამბობს ღიმილით და იქვე ამატებს, - *"და ძალიან მინდა, რომ "ბაიერნთან" პირველ წარმატებას სწორედ ახლა მივაღწიო."*

იაშვილის ოპტიმიზმი უაზრო ნამდვილად არ არის. ჯერ ერთი, მისი გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და საერთოდ, "კარლსრუე" მიმდინარე სეზონის აღმოჩენაა. ესეც არ იყოს, იაშვილს აქამდე არც "შალკეს" წინააღმდეგ ჰქონდა მოგებული, მაგრამ პირველ წრეში მან და მისმა თანაგუნდელებმა გელზენკირხენში იმარჯვეს.

"ბაიერნთან" კი, პირველ წრეში "კარლსრუე" 1:4 განადგურდა. მიუხედავად ამისა, იაშვილი არ ფიქრობს, რომ ამ მარცხით ბადენური კლუბის პრესტიჟი ძალიან დაეცა, რადგან მას მერე **ედმუნდ ბეკერის** გუნდმა არაერთი მნიშვნელოვანი თამაში მოიგო. გასულ კვირას კი, ბადენელებმა სულაც კონკრეტული მიზანი დაისახეს: უეფას თასის საგზური! თუკი აქამდე ეს მხოლოდ მითი იყო, ახლა უკვე რეალობაა, რადგან "კარლსრუეს" მართლაც შესწევს იმის უნარი, რომ ელიტაში აღზევებიდან ერთი წლის შემდეგ უკვე ევროპაში გაიჭრას.

*"ბაიერნი", რა თქმა უნდა, ფავორიტია. მაგრამ სატურნირო ცხრილში ჩვენ მაღალი პოზიცია შემთხვევით როდი გვიკავია. "კარლსრუეს" სასწაულები შეუძლია, რაშიც არაერთხელ დავრწმუნდით,"* – აგრძელებს იაშვილი, რომელსაც ძალიან უნდა, რომ მისმა გუნდმა რეკორდმაისტერთან კარგი შედეგი აჩვენოს.

იაშკას თავდაჯერებას თავისი მიზეზები აქვს. წინა ტურში, "ვოლფსბურგთან" მან "კარლსრუეს" რიგებში საუკეთესო მატჩი ჩაატარა. იაშვილი მეორე ტაიმში მოედანზე საუკეთესო ფეხბურთელი იყო, რაც შედეგშიც აისახა: ბადენელთა 2 გოლი (სამიდან) სწორედ მისი დამსახურებაა. მესამე გოლი თავიდან სწორედ ქართველს ჩაუთვალეს, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო ლიგამ ტექნიკურ შედეგებში მოგვიანებით შესწორება შეიტანა. კერძოდ, გოლი არა იაშვილს, არამედ "მგლების" მცველ **რიკარდო კოშტას** ჩაეთვალა (ავტოგოლად). არადა, ეს იაშკასთვის "კარლსრუეს" რიგებში გატანილი პირველი გოლი უნდა ყოფილიყო. *"არა უშავს. ამის გამო არ ვიდარდებ. გოლების გატანას კიდევ მოვასწრებ. ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ მოვიგეთ და კურსს არ გადავუხვიეთ. თანაც, კარში არც დამირტყამს – ედმონდ კაპლანისთვის მინდოდა პასის გაკეთება და ამ დროს კოშტამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა,"* – აცხადებს იაშვილი.

ამრიგად, ბუნდესლიგის 22 ტური ისე გავიდა, რომ ქართველს გოლი არ გაუტანია, რაც შემტევი ფეხბურთელისთვის რბილად რომ ვთქვათ, ცუდი შედეგია. თანაც, იაშვილი წინა სეზონში "ფრაიბურგს" 10 გოლითა და 15 საგოლე პასით შეეწია და "კარლსრუეში" მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელის სტატუსით გადავიდა. ეს ერთადერთი საკითხია, რის გამოც ბეკერი ქართველ ფეხბურთელს აკრიტიკებს.

*"ძალიან მიხარია, რომ იაშვილს პასის მიცემა უფრო უყვარს, ვიდრე კარში დარტყმა და რომ ის ყოველთვის ცდილობს კარგ პოზიციაში მყოფი თანაგუნდელი მოძებნოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მან თვითონდაც უნდა დაარტყას მეტოქის კარისკენ, თვითონაც უნდა სცადოს გოლის გატანა,"* – ამბობს ბადენელთა დამრიგებელი. სხვამხრივ, ბეკერი იაშვილის პროგრესით აბსოლუტურად კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ ქართველი თავდამსხმელი "კარლსრუეს" უკვე საბოლოოდ შეეწყო. ბეკერი: *"მასში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ მის მოქმედებას წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს. დღესდღეობით იაშვილი შესანიშნავ ფორმაშია."*

მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ მარცხენა ფლანგზე მცველი **აიხნერისა** და შემტევი ნახევარმცველი იაშვილის ტანდემი "ბაიერნს" მარჯვენა ფლანგზე არაერთ პრობლემას შეუქმნის. სეზონის დასაწყისში ქართველი ბადენელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, მაგრამ როგორც ხედავთ, კითხვა ითამაშებს თუ არა იაშკა "ბაიერნთან", უკვე აშკარად ზედმეტია. ბეკერის გუნდის სასტარტო შემადგენლობაში მას ადგილი ამ ეტაპზე გარანტირებული აქვს, რადგან ბოლო დროს მართლაც შესანიშნავად ათამაშდა.

რაც შეეხება მარჯვენა ფლანგს, ბეკერი "ბაიერნთან" **ანდრეას გიორლიტცს** ათამაშებს – ფეხბურთელს, რომელიც ბადენელებმა გასულ ზაფხულს სწორედ მიუნხენური გიგანტისგან ინათხოვრეს. უკვე გადაწყვეტილია, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გიორლიტცი ისევ "ბაიერნში" დაბრუნდება. "კარლსრუეს" შეფებმა მისი შემცვლელის ძებნა უკვე დაიწყეს. ერთ-ერთი კანდიდატი "შტუტგარტის" ახალგაზრდა მარჯვენა მცველი **ანდრეას ბეკია**. ბადენელთა გენერალური მენეჯერის, **როლფ დომენის** თქმით, შვაბური კლუბი მზადაა, ბეკს გარკვეული თანხის სანაცვლოდ შეელიოს...

**გოტფრიდ ლენცი**


# დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში იწვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე, ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ხელმოცარული და უძლური

## რეალისთვის მერვედფინალური ბარიერი კვლავ გადაულახავია



პორტუ-შალკე. ნოიერი მატჩის გმირი გახდა

**რეალი-რომა 1:2 (1:2)**

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალგადო (64. ტორესი), კანავარო, პეპე, ჰაინცე, დიარა (61. დრენტე), გახო, გუტი, ჟულიო ბაპტიშტა (85. სოლდადო), რობინიო, რაული.

**რომა:** დონი, სისინიო (87. პანუჩი), მექსე, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, აკვილანი, ტადეი, პეროტა (76. პისარო), მანსინი (65. ვუჩინიჩი), ტოტი.

**გოლები:** 0:1 ტადეი (73), 1:1 რაული (75), 1:2 ვუჩინიჩი (90)

**გაძევება:** პეპე (71. რეალი)

**მაყურებელი:** 80 000

მადრიდის "რეალს" **ფაბიო კაპელოს** შემაძრწუნებელი წინასწარმეტყველება აუხდა. გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელი თამამად ამბობდა, რომ "რომას" ესპანური გრანდის დამარცხება შეეძლო. **რამონ კალდერონსა** და **პრედგარ მიატოვიჩზე** განაწყენებულმა იტალიელმა **ლუჩიანო სპალეტისთვის** რჩევების მიცემაც არ დაიშურა. ძნელი სათქმელია, გადამწყვეტი გამოდგა თუ არა ეს რჩევები, მაგრამ ფაქტია, "რომამ" უდავო ფავორიტად შერაცხულ "რეალს" ტოლი არ დაუდო და ჩემპიონთა ლიგიდან გამოაგდო. მასპინძლებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ბოლო წლების ავბედით ტრადიციას წერტილს დაუსვამდნენ. საქმე ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგის გასული სამი სეზონის განმავლობაში სამეფო კლუბი მერვედფინალური დაბრკოლების გადალახვას ვერ ახერხებდა. პირენეელები მაშინ "იუვენტუსის", "არსენალისა" და "ბაიერნის" მსხვერპლნი გახდნენ. გულშემატკივრები და მიმომხილველები ამბობდნენ, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალაო. არ ავიწყდებოდათ აღენიშნათ, რომ გასულ წელს "რეალი" ესპანეთის ჩემპიონი გახდა და ამით გამარჯვებულის მენტალიტეტი დაიბრუნა. ეს ყველაფერი საზოგადოებას ერთბურთიანი ჰანდიკაპის ამოქაჩვისა და მომდევნო ეტაპებზე გასვლის იმედს ულრმავებდა. რეალობა კი აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა. "რომასთან" მატჩში, ისევ და ისევ, ძველმა პრობლემებმა იჩინა თავი. მასპინძლებს ის თავდადება, შემართება და აზროვნება არ გამოარჩევდათ, რომლის გარეშეც ასეთი პრინციპული დაპირისპირების მოგება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, **ბერნდ შუსტერი** რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის ტრავმამაც დააზარალა. თვალნათლივ დავინახეთ, **რუუდ ვან ნისტელროოი** დღეისთვის შეუცვლელი ფიგურაა. არავინ ამტკიცებს, რომ ჰოლანდიელის თამაშის შემთხვევაში სამეფო კლუბი აუცილებლად მოიგებდა. უბრალოდ, ეჭვი არ გვეპარება, რომ ვან ნისტელროოი შეტევას გაამწვავებდა. შუსტერის გუნდის მთავარი პრობლემაც სწორედ ეს გახლდათ. გამოჯანმრთელებული **რობინიო** არაფერს იზარებდა, მაგრამ რაულთან საერთო ენა ვერა და ვერ გამონახა. აშკარაა, გონსალეს ბლანკოსა და ვან ნისტელროოის გაცილებით უკეთ ესმით ერთმანეთის. მიმდინარე სეზონში მათი წარმატებული თანამშრომლობის მომსწრეები არაერთხელ გავმხდარვართ. ზოგჯერ რაული მიიწევდა წინ და მას რუუდი უმაგრებდა ზურგს, ზოგჯერ კი პირიქით ხდებოდა. შედეგი ორივე შემთხვევაში წარმატებული გახლდათ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ესპანელებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ. **სნაიდერისა** და **რობენის** ტრავმაც ცუდი გავლენა იქონია. არ იყო სერხიო რამოსიც. ახალგაზრდა მცველი სამეფო კლუბის უკანა ხაზს დიდად დააკლდა. ეს ყველაფერი, ალბათ, საკმარისი მიზეზი იყო იმისთვის, რომ "რეალს" გადაულახავი ბარიერი წარმოქმნოდა...

თუმცა იტალიელთა გამარჯვება მხოლოდ სამეფო კლუბის სუსტი თამაშით არ უნდა ავხსნათ. ეს უდიდესი უსამართლობა იქნებოდა. რა თქმა უნდა, გადამწყვეტი როლი მაინც "რომას" გამართულმა ტაქტიკამ და გასაოცარმა მიზანდასახულობამ შეასრულა. აპენინელები სტრატეგიას კონტრიერიშებზე რომ ააგებდნენ, ყველასთვის ნათელი იყო. "რეალს" საკმარისი დრო ჰქონდა იმისთვის, რომ ამგვარი სცენარისთვის მომზადებულიყო. თუმცა მათთვის მოულოდნელად, რომაელებმა ძალიან გამართულად იასპარეზეს. პირველ ტაიმში გოლის გატანის საუკეთესო შანსი სწორედ მათ ჰქონდათ. ძირითადად, **აკვილანის, მანსინისა** და **ტოტის** აზრიანი თამაშის წყალობით, მასპინძელთა დაცვასა და მეკარეს მწვავე პრობლემები ექმნებოდათ.

სიტუაცია მეორე ტაიმშიც, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩა. ბერნდ შუსტერის ბიჭები შეტევაში აბსოლუტურად ხელმოცარულები იყვნენ. დროის გასვლასთან ერთად, მღელვარება იზრდებოდა. თანდათან, ნათელი ხდებოდა, რომ მასპინძლები მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს კარგავდნენ. ამასობაში, სპალეტიმ დასვენებული და ტექნიკური **ვუჩინიჩი** გამოიყვანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისმა ინდივიდუალიზმმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. დაღლილი მადრიდელები ვუჩინიჩის ტექნიკურ დრიბლინგებს ვერ უმკლავდებოდნენ. **პეპემ** სწორედ მისი შეტევისას აიკიდა მეორე ყვითელი ბარათი და მოედანი ნაადრევად დატოვა. იტალიელებმა რიცხობრივი უპირატესობა ორ წუთში გოლად აქციეს. **ტადეიმ** ესპანელთა საჯარიმოში შექმნილი ქაოსით ისარგებლა და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. ფაქტობრივად, 100 პროცენტით დაკარგული შანსი "რეალმა" რაულის მიერ თამაშგარედან გატანილი გოლით დაიბრუნა. პირენეელები შეტევაში დიდი ძალებით ნავიდნენ, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს. მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე კი ვუჩინიჩმა თავურით ყველა კითხვას გასცა პასუხი. იმ დღეს "რომა" გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა და შესაბამისად, გამარჯვებასაც ეს გუნდი იმსახურებდა.

ესპანური მედია მეტისმეტად კრიტიკული იყო. უკლებლივ ყველა გაზეთში სამეფო კლუბს სალანძღავი სტატიები უძღვნეს. ჟურნალისტებმა ის ალმაფრენა ერთ წამში დაივიწყეს, რომელიც მადრიდული გრანდის ასპარეზობის შეფასებისას მთელი ამ დროის განმავლობაში მოჰყვებოდათ. "რეალს" მათ ხელმოცარულთა და უძლურთა გუნდი უწოდეს. ხელმძღვანელობა არანაკლებ გაცოფებული და აღშფოთებულია. **რამონ კალდერონმა** წაგება ფიასკოდ შეაფასა: *"აქ საკამათო არაფერია. ვერაფერი გვამართლებს. დღეს კრახი განვიცადეთ. სრული ფიასკო, მხოლოდ ამ სიტყვებით შემიძლია შევაფასო მერვედფინალური დაპირისპირება. აბსოლუტურად იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი ვარ. ახლა ჩემ წინ ტოტალური სიბნელეა, მაგრამ პროფესიონალიზმი და გამოცდილება მკარნახობს, რომ დეპრესია უნდა დავძლიოთ და პრიმერა დივიზიონის მოგებაზე ვიზრუნოთ."*

ბერნდ შუსტერი ამდენად სასოწარკვეთილი არ დარჩა, თუმცა გულდაწყვეტა, ცხადია, მასაც ემჩნეოდა: *"სამწუხაროდ, "რომას" ცუდ დროს დავუპირისპირდით. ტრავმების გამო გუნდმა საკუთარი პოტენციალის ნახევარიც ვერ გამოამჟღავნა. თუმცა დღეს ბიჭებმა რაც შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს. თავი არავის დაგვიზოგავს. უბრალოდ, არ შემეძლო, შეგირდებისთვის მეტი მომეთხოვა. იმედი გვქონდა, რომ პლეი ოფის ბედს შემოვატრიალებდით, თუმცა "რომამ" მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია და დავმარცხდით. ისღა დამრჩენია, იტალიელებს წარმატება მივულოცო. პირველი გოლი რომ არ გაგვეშვა, მეოთხედფინალში ჩვენ გავიდოდით, თუმცა ახლა ამაზე საუბარს აზრი არ აქვს."*

ამ მატჩის მიმოხილვის დასასრულს სტუმართა მთავარი მწვრთნელის, **ლუჩიანო სპალეტის** განცხადებას გაგაცნობთ: *"უზომოდ ბედნიერი ვარ. ჩემი ბიჭებით ვამაყობ. უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ "რომასთვის" ეიფორია დამღუპველი იქნება. გასახდელში შესვლისას დავრწმუნდი, რომ მთელი გუნდი ცაში დაფრინავს. მაქსიმუმ ხვალ მიწაზე უნდა დავეშვათ და სამომავლო ამოცანების გადაჭრაზე ვიზრუნოთ.*

**ჩელსი-ოლიმპიაკოსი 3:0**

**ჩელსი:** კუდიჩინი, პაულო ფერეირა, ტერი, რიკარდო კარვალიო, ე. კოული, ბალაკი, მაკელელე, ლემპარდი (76. ესიენი), ჯ. კოული (79. რაიტ-ფილიპსი), კალუ (71. მალუდა), დროგბა.

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი. მიხ. ჟევლაკოვი, ანცასი, ჟულიო სეზარი, პანტოსი, ლედესმა (54. ბელუში), ტოროსიდისი (76. შიშიჩი), პაცაცოგლუ, სტოლტიდისი, პ. ჯორჯევიჩი (57. ლეონარდო), კოვაჩევიჩი.

**გოლები:** 1:0 ბალაკი (5), 2:0 ლემპარდი (25), 3:0 კალუ (48)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

"ჩელსის" მეოთხედფინალში გასვლა არ გასჭირვებია. "არისტოკრატებმა" "ოლიმპიაკოსს" სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. ორი გოლი ნახევარმცველების ანგარიშზეა. **მიხაელ ბალაკისა** და **ფრენკ ლემპარდის** გამო **მიკაელ ესიენისთვის** ძირითადში ადგილი არ მოინახა. მესამე ბურთი **სალომონ კალუმ** შეაგდო. **ავრამ გრანტმა ნიკოლა ანელკას** ის ამჯობინა. თამაშის წინ **პეტრ ჩეხმა** მცირე ტრავმა მიიღო. მისი ადგილი **კარლო კუდიჩინიმ** დაიკავა. იტალიელი უფრო იოლ თამაშს ვერ ინატრებდა. მას პირველ ტაიმში ბურთი თითქმის არ მისვლია.

თამაშის დაწყება და სტუმართა კართან მომენტის შექმნა ერთი იყო. კალუმ **ეშლი კოული** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. ინგლისელმა მცველმა დაბალ კუთხეს დაუმიზნა. მის დარტყმას **ჟულიო სეზარი** გადაეღობა. ანგარიში მეხუთე წუთზე გაიხსნა. აუტიდან ბურთი ლემპარდს მიაწოდეს. მან საჯარიმოში ახლო ძელთან ჩააწოდა. ბალაკი მეურვეებს დაუსხლტა და გაიტანა. გერმანელმა სეზონის მეხუთე გოლი მიითვალა. ეს გოლი ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში პირველი იყო. ჯგუფური ტურნირისას ბალაკი "ჩელსის" განაცხადშიც კი არ ყოფილა (ტრავმა).

**დიდიე დროგბას** ანგარიშის გაზრდა შეეძლო. **ჯო კოულმა** მარცხენა ფლანგზე ჩაირბინა და თავდამსხმელს გამოზომილი პასი მიაწოდა. დიდიემ ბურთი ტრიბუნაზე გაგზავნა. **კლოდ მაკელელემ** ლონდონურ კარიერაში მესამე გოლის გატანა მოინდომა. ანტონის ნიკოპოლიდისმა მისი დარტყმა იოლად აილო.

მეორე გოლი 25-ე წუთზე გამოცხვა. ბალაკმა და ლემპარდმა როლები გაცვალეს. "ოლიმპიაკოსმა" კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ვერ მოიგერია. ტერიმ ბალაკი მონახა. ბალამ მახვილი კუთხიდან ძლიერად დასცხო. **ნიკოპოლიდისმა** მოიგერია, მაგრამ ლემპარდის დამატებულთან ველარაფერი გააწყო.

"ჩელსიმ" მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყო. ბერძენი მცველები ლემპარდის იერიშს გადაეღობნენ. კუთხური ფრენკმა მოაწოდა. ბურთი დროგბასაც ასცდა და **კარვალიოსაც**. ის კარის წინ მდგომ კალუს მიუვიდა. კოტდივუარელმა შანსი ხელიდან არ გაუშვა.

"ოლიმპიაკოსმა" თამაშში გარდატეხის შესატანად **ლეონარდო** და **ფერნანდო ბელუსკი** გამოიყვანა. ამ უკანასკნელმა სახიფათოდ შეასრულა საჯარიმო. კუდიჩინიმ ბურთი ისე მოიგერია, რომ არც გადამხტარა. დროგბამ მეოთხედ აილო მოწინააღმდეგის კარი, მაგრამ გოლი არ ჩაუთვალეს. დარჩენილ დროში ბელუსკიმ ხარიხა შეაზანზარა, კუდიჩინიმ კიდევ ერთი საჯარიმო მოიგერია, თუმცა თამაშში აღარაფერი შეცვლილა.

**პორტუ-შალკე 1:0 პენ. 1:4 (0:1)**

**პორტუ:** ჰელტონი, ბოსინგვა (54. მარიანო გონსალესი), პედრო ემანუელი, ბრუნო ალვეში, ფუჩილე, პაულო ასუნსაო, რაულ მეირელესი (97. მარეკ ჩეხი), ლუჩო გონსალესი, რიკარდო კუარეშმა, ლისანდრო ლოპესი, სექტიუი (57. ფარიასი).

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი (114. ჰიოვედესი), კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, გროსმიულერი (111. როსმიულერი), ფ. ერნსტი, კობიაშვილი, ჰალილ ალთინთოფი, კურანი (79. ასამოა).

**გოლები:** 1:0 ლისანდრო ლოპესი (86)

**პენალტები:** 0:1 რაფინია, 1:1 ლუჩო გონსალესი, 1:2 რაკიტიჩი, 1:2 ბრუნო ალვეში (მეკარე), 1:3 ჰალილ ალთინთოფი, 1:3 ლისანდრო ლოპესი (მეკარე), 1:4 ჯონსი

**გაძევება:** ფუჩილე (82. პორტუ)

**მაყურებელი:** 41 000

**არბიტრი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

"შალკემ" 10 კაცით მოთამაშე "პორტუ" პენალტების სერიაში დაამარცხა. გერმანელთა მეკარემ **მანუელ ნოიერმა** კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორი 11-მეტრიანი მოიგერია. ის თამაშის დროსაც შეუდარებელი იყო. "შალკემ" ისტორიაში პირველად მოიპოვა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საგზური, თუმცა ეს გამარჯვება გვარიანი ნერვიულობის ფასად დაუჯდა. 86-ე წუთამდე ანგარიში 0:0 იყო. სტუმრებს საშინაო პაექრობა 1:0 ჰქონდა მოგებული. თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე **ლისანდრო ლოპესმა** წონასწორობა აღადგინა.

"პორტუმ" პირველივე წუთიდან შეუტია. ლოპესს გოლის გატანა მე-12 წუთზეც შეეძლო. მისი დარტყმა ნოიერმა აილო. ერთი წუთის შემდეგ მანუელმა **ტარიკ სეკტუის** იერიშიც მოიგერია. "შალკემ" მეტოქის კარისკენ პირველად 27-ე წუთზე დაარტყა. **ჰაიკო ვესტერმანმა** შორიდან გაისროლა, მაგრამ ააცილა.

ათ წუთში ნოიერი **რიკარდო კვარეშმას** იერიშს გადაეღობა. მცველებმა მისი მოგერიებული ბურთი შორს გადააგდეს. მეორე ტაიმის დასაწყისში "პორტუმ" მატჩის საუკეთესო მომენტი შექმნა. ნოიერი სეკტუის დარტყმას გასაოცარი რეაქციის ხარჯზე გაუმკლავდა.

82-ე წუთზე "პორტუ" უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ინგლისელმა არბიტრმა ჰოვარდ ვებმა ბრაზილიელი მცველი **ფუსილე** გააგდო. ის **ჰალილ ალთინთოფის** წინააღმდეგ უხეშობისთვის დაისაჯა. მასპინძლები არ გატყდნენ. ოთხ წუთში ლოპესმა მაინც გაიტანა. ის თანამემამულე ლუჩო გონსალესის პასს გამოეხმაურა. **მლადენ კრსტაიჩს** დაუსხლტა და მაღალ კუთხეში გაახვია ბურთი.

დამატებულ დროში კვარეშმამ დიდებული მომენტი ვერ გამოიყენა. მას ისევ ნოიერმა შეუშალა ხელი. "პორტუ" ბევრს ეცადა, მაგრამ პენალტების სერიას ვერ ასცდა. იქ კი ნოიერმა **ბრუნო ალვეშისა** და ლოპესის დარტყმები უკუაგდო.



რომა რეალზე გამარჯვებას ზეიმობს

ლევერკუზენი

# კისლინგის ახალი კონტრაქტი

## თავდამსხმელი ფარმაცევტებში 2012 წლამდე დარჩება

"ლევერკუზენის" თავდამსხმელმა **შტეფან კისლინგმა**, რომელიც გერმანიის ნაკრების კანდიდატიცაა, "ბაიერთან" ახალი ხელშეკრულება გააფორმა. 24 წლის ფორვარდის კონტრაქტს ვადა 2010 წელს გასდიოდა და ახალი ხელშეკრულებით, კისლინგმა თავისი ბედი "ლევერკუზენს" 2012 წლამდე დაუკავშირა.

კისლინგი "ლევერკუზენში" 2006 წელს "ნიურნბერგიდან" გადავიდა და მას მერე "ბაიერის" მაისურით ბუნდესლიგის 51 მატჩში მიიღო მონაწილეობა (14 გოლი). "ფარმაცევტებმა" მისთვის კონტრაქტის გაგრძელება იმის გამო იჩქარეს, რომ შტეფანის გადაბირებისთვის ინგლისურმა "ტოტენჰემმა" დაიწყო ბრძოლა. მიმდინარე სეზონში კისლინგმა ბუნდესლიგაში 21 თამაში ჩაატარა (6 გოლი, კიკერის საშუალო შეფასება: 3.14).

*"ლევერკუზენში" თავს იდეალურად ვგრძნობ და ვფიქრობ, რომ ამ გუნდს უდიდესი პერსპექტივა აქვს. ჩემი აზრით, მინიმუმ ორ წელიწადში "ბაიერი" გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს,"* – განუცხადა კისლინგმა "კიკერს". *"შტეფანთან კონტრაქტის ნაადრევი გაგრძელება ჩვენი მხრიდან აბსოლუტურად ლოგიკური ნაბიჯია. მისი იმედი გვაქვს,"* – ეს კი "ბაიერის" სპორტული დირექტორის, **რუდი ფიოლერის** სიტყვებია.



რეალი

# შუსტერის ახალი პრობლემა

## კანავარო და სალგადო ლაზარეთში მოხვდნენ

"რომასთან" განცდილი მარცხი "რეალისთვის" შესაძლოა, ორმაგად მტკივნეული გამოდგეს. მერვედფინალურ შეხვედრაში **მიჩელ სალგადომ** და **კანავარომ** ტრავმები მიიღეს. ესპანელი მცველი უფრო სერიოზულად დაშავდა. მან თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო და შეცვლა ითხოვა. კანავარომ კი ტკივილი საფინალო სასტვენის შემდეგ იგრძნო. გუშინ სამეფო კლუბის ექიმებმა ორი მცველი სამედიცინო კაბინეტში წაიყვანეს და შემოწმება ჩაუტარეს. გაირკვა, რომ კანავაროსა და სალგადოს ბარძაყის კუნთი აქვთ დაჭიმული. სერიოზული არაფერია, თუმცა არსებობს საფრთხე იმისა, რომ ისინი მომავალ უქმეებზე "ესპანიოლს" ვერ უმასპინძლებენ. თუ გავიხსენებთ, რომ პრიმერა დივიზიონის წინა ტურში **სერხიო რამოსმა** წითელი ბარათი მიიღო და კატალონიელებთან დისკვალიფიკაციის გამო ვერ იასპარეზებს, მიხვდებით, რომ ბერნდ შუსტერს დაცვაში სერიოზული საკადრო პრობლემები ელის.

ბარსელონა

# რაიკაარდის აღსარება

*ფრენკ რაიკაარდი* ლეო მესის ტრავმას გამოეხმაურა. "ბარსელონას" დამრიგებელი აღიარებს, რომ "სელტიკთან" მატჩში არგენტინელის გამოყვანით შეცდომა დაუშვა: *"განმეორებით მერვედფინალურ დაპირისპირებამდე ერთი დღით ადრე ექიმების წერილი მივიღე. ისინი მატყობინებდნენ, რომ მესი პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო, თუმცა მაინც არსებობდა ხუთპროცენტიანი შანსი იმისა, რომ ლეოს პრობლემები შეექმნებოდა. გასული დღეების განმავლობაში ბევრს საუბრობდნენ, რაიკაარდმა მესის მოედანზე შეშვება იმიტომ გადაწყვიტა, რომ პრესის წნეხს ვერ გაუძლოო. ეს ძალიან ზედაპირული მსჯელობაა. რა თქმა უნდა, გარშემო მიმდინარე მოვლენები ჩვენზე გარკვეულ გავლენას ახდენს, მაგრამ იმ ადამიანთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, რომლებიც ზეწოლას ვერ უძლებენ და მძევლები ხდებიან. გადაწყვეტილების მიღებამდე მესის ვესაუბრე. მან დამარწმუნა, რომ კარგად გრძნობდა თავს. მოკლედ, ძირითად შემადგენლობაში ლეოს თამაში ერთობლივად გადავწყვიტეთ. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. დღეს თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ შეცდომა დავუშვი. იმედია, რეაბილიტაციის კურსი წარმატებით ჩაივლის და შემდგომ გართულებებთან საქმე არ გვექნება."*

**კარლეს პუიოლმა** სამშაბათს საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ "ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა პრესინგს ვერ გაუძლო. კაპიტანმა რაიკაარდს ამის გამო ღიად უსაყვედურა. ჟურნალისტებს ძალიან აინტერესებდათ, რას უპასუხებდა ჰოლანდიელი კარლესს, თუმცა რაიკაარდმა კომენტარისგან თავი შეიკავა.



ფრენკ რაიკაარდი

დანაშაული და სასჯელი

# ერთი მატჩი ფურთხისთვის!

## იან კოლერმა პასუხად დისკვალიფიკაცია და ჯარიმა მიიღო

"ნიურნბერგი" ისედაც უმძიმეს მდგომარეობაშია – ფრანკები გასავარდნ ზონაში არიან და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. თანაც, უახლოეს მომავლის პერსპექტივაში დადებითი არაფერი ჩანს. მომდევნო ტურში "ნიურნბერგი" "ჰამბურგს" ხვდება და ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში ფრანკებს ლიდერი **იან კოლერი** დააკლდებათ. ჩეხი თავდამსხმელი ერთი მატჩით დისკვალიფიცირებულია!

მიზეზი ის გახლავთ, რომ გასულ ტურში (ჰანოვერთან) კოლერს მეტოქე გუნდის ფეხბურთელმა **ალტინ ლალამ** შეუტია, პასუხად კი, ჩეხი გიგანტისგან შეფურთხება მიიღო! თუმცა გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისია შეფურთხების გამომწვევი მიზეზით არ დაინტერესებულა. დისკვალიფიკაციასთან ერთად, 34 წლის თავდამსხმელს 15 000 ევროს გადახდაც მოუწევს. აღსანიშნავია, რომ სადისციპლინო კომისია მისთვის ექვსი მატჩით მოკვეთას გეგმავდა, მაგრამ "ნიურნბერგის" ხელმძღვანელებმა მედგრად იბრძოლეს, ადვოკატები აანჩხალეს და საბოლოოდ მიზანსაც მიაღწიეს – ერთი თამაში ლიდერის გარეშე კატასტროფა ნამდვილად არ არის.

შესაბამისად, "ჰამბურგთან" შეხვედრაში ფრანკების თავკაც **თომას ფონ ჰეეზენს** ძირითადი შემადგენლობისა და ტაქტიკის შეცვლა მოუწევს. კოლერის ადგილზე სავარაუდოდ, ბერძენი **ანგელოს ხარისტეასი** ითამაშებს და რაკი ეს უკანასკნელი არ არის ისეთი მასშტაბური ფეხბურთელი, როგორიც კოლერია, ფონ ჰეეზენი მას თავდასხმაში მარცხნიდან **ივან საენკოს**, მარჯვნიდან კი **რობერტ ვიტეკს** ამოუყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრანკები ტაქტიკის ძველ მოდელს დაუბრუნდებიან – მოდელს, რომელმაც ამ გუნდს წინა სეზონში გერმანიის თასი მოაგებინა.



დავიდ ალბელდა

ვალენსია

# ალბელდას სარჩელი არ გამოუტანია

## ღამურების ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, რათა დავიდი გაბრიყვდეს...

**დავიდ ალბელდას** საკითხის გადაწყვეტას საშველი არ დაადგა. მოგეხსენებათ, ღამურების ყოფილმა კაპიტანმა კლუბის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი წაავგო. პირველი ინსტანციის სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და კონტრაქტის პირობების დარღვევის სანაცვლოდ 60 მილიონი ევროს მიღებაზე უარი უთხრა. ზემდგომ ინსტანციაში აპელაციის შესატანად ალბელდას ხუთდღიანი ვადა განესაზღვრა. მისმა ადვოკატებმა სასამართლოში დოკუმენტები ხვალამდე უნდა შეიტანონ.

ამასობაში კი გავრცელდა ხმები, რომ დავიდმა აპელაციაზე უარი განაცხადა და ბრძოლა წაგებულად მიიჩნია. ფეხბურთელის ადვოკატი **მანუელ სომბრანოსი** აღნიშნულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს: *"არ ვიცი რატომ, მაგრამ "ვალენსიას" დირექტორთან დაახლოებული ადამიანები ჭორებს ავრცელებენ. ამ საქმეს მე ვაწარმოებ და ჩემთვის ალბელდას არ უთქვამს, რომ სასამართლოში აპელაცია არ შევიტანო. პროცესი აუცილებლად გაგრძელდება და ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ გავიმარჯვოთ."*

ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ "ვალენსიას" ხელმძღვანლები მიხვდნენ, რომ ჭორები ვერ უშველიდათ, ამიტომ **ხუან ბაუტისტა სოლერმა** ალბელდას პირისპირ შეხვედრა შესთავაზა. დავიდი პრეზიდენტს მართლაც ეახლა, მაგრამ ნახევარსაათიანი საუბრის შინაარსი პრესისთვის უცნობი დარჩა.

ატლეტიკო

# მადრიდელები სამაგალითოდ დასაჯეს

გუშინ, ესპანეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ძალადობის საწინააღმდეგო დეპარტამენტმა "ატლეტიკოსა" და "ბარსელონას" მატჩისას მომხდარ ინციდენტებზე იმსჯელა. საქმე ის არის, რომ "როხიბლანკოს" ინჩასები შეხვედრის განმავლობაში ცეცხლმოკიდებულ მაშხალებს ტრიბუნებსა და მოედანზე ისროდნენ. მადრიდული კლუბი ვალდებული იყო, უსაფრთხოების ზომები გაეტარებინა და მსგავსი ინციდენტები თავიდან აეცილებინა. ცეცხლწაკიდებულ მაშხალას სტადიონებზე არაერთი ადამიანის სიცოცხლე უმსხვერპლია. საბედნიეროდ, ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა ძალადობის საწინააღმდეგო დეპარტამენტმა საჭიროდ ჩათვალა, "ატლეტიკო" მაინც დაეჯარიმებინა. **ენრიკე სერესოს** პროფესიული საფეხბურთო ლიგის ანგარიშზე 8500 ევროს გადარიცხვა მოუწევს. დედაქალაქელთა პრეზიდენტი აღიარებს, რომ ხსენებული დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანია. მისი თქმით, კლუბს უსაფრთხოების სამსახურის მეტი თანამშრომელი უნდა დაექირავებინა. "ატლეტიკო" ამ ინციდენტს ჭკუის სასწავლებლად გამოიყენებს და მომავალში ყველაფერს გააკეთებს, რათა მსგავსი რამ აღარ მოხდეს.

ვილიარეალი

# მილანს ესპანურ კლუბში სერიოზული ინტერესი გაუჩნდა

"დიარიო მარკაში" საინტერესო ინფორმაცია გაჩნდა. მადრიდული გაზეთის მტკიცებით, "ვილიარეალს" "მილანის" მესვეურები დაუკავშირდნენ და **დიეგო ალვესისა** და **დიეგო ლოპესის** ტრანსფერებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. როგორც ჩანს, "როსონერის" ხელმძღვანელობა "არსენალთან" გამოვარდნით იმდენად აღშფოთებული დარჩა, რომ გუნდის ძირეულად გადახალისების გადაწყვეტილება მიიღო. ამ თემაზე "ლა გაძეტა დელო სპორტი" საუბრობდა. გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, **ადრიანო გალიანი სილვიო ბერლუსკონის** რამდენიმე წუთით შეხვდა და გაუმხილა, რომ "ვილიარეალის" ნახევარმცველისა და მეკარის შეძენა სურს. თითქოს, ბერლუსკონიმ თანხმობა განაცხადა და გალიანის აქტიური მოქმედებებისკენ მოუწოდა. ახლა მთავარია გაირკვეს, თანახმაა თუ არა "ვილიარეალი", წამყვანი ორი მოთამაშე დათმოს. პრეზიდენტი **ფრანსისკო როიგი** არ მალავს, რომ მისი კლუბი დიეგო ლოპესსა და დიეგო ალვესს იოლად არ დათმობს:

*"ჩვენ მდიდარ კლუბთა კატეგორიას არ განვეკუთვნებით და იძულებულები ვხდებით ხოლმე, ფეხბურთელები გავყიდოთ. რა თქმა უნდა, დიეგო ფორლანიც ამის გამო დავთმეთ, თუმცა ამ შემთხვევაზე შემიძლია მოგახსენოთ, რომ "მილანის" წინადადებით მოხიბლული არ ვარ. ლოპესი და ალვესი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მანუელ პელეგრინი მათ საკვანძო ფეხბურთელებად მიიჩნევს. ასე რომ, იტალიელებს მაქსიმალურად შევეწინააღმდეგებით. მათ წარმატების ერთადერთი გზა აქვთ. თუ ტრანსფერების გაჩარხვა სურთ, სოლიდური თანხა უნდა გადაგვიხადონ."*



დიეგო ლოპესი

**"მილანის" გუშინდელი რეზერვისტი მარკო ბორიელო დღეს "ჯენოაშია" და სერია A-ს ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას. ეს მოხდა ორი კვირის წინ, როცა "უდინეზესთან" გასვლით მატჩში ჰეთ-თრიკს გამოჰკრა ხელი. მაგრამ ის არც სხვა გუნდებს ტოვებს "უყურადღებოდ". დღეს მისი უმთავრესი ოცნება ევროპის ჩემპიონატზე თამაშია...**



პორტრეტი და ინტერვიუ. სერია A-ს ბომბარდირი მარკო ბორიელო

# მაშინ მილანი გვერდში არ დამიდგა...

## საჩუქარი საცოლისგან

2006 წლის 11 ნოემბერს **მარკო ბორიელოს** შრომის წიგნაკში ახალი ჩანაწერი გაჩნდა. "რომასთან" მატჩის შემდეგ "მილანის" სათადარიგო ფეხბურთელმა დოპინგ-ტესტი ჩააგდო და ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია აიკიდა. მის ორგანიზმში ერთბაშად ორი აკრძალული პრეპარატი აღმოჩნდა: პრედნიზოლონი და კორტიზონი. როგორც ამბობენ, ამის გამო მარკოს ბავშვივით უტირია...

*"საშინელი დღეები გადავიტანე, ჩემს მშობლიურ ნეაპოლში დედაჩემთან ვიღაცეები მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ, თქვენი შვილი ნარკომანიაო. პლუს ამას, "მილანში" არავის აზრად არ მოსვლია, გვერდში დამდგომოდა. ასე გამოუვიდათ - შენი პრობლემაა და შენვე მოაგვარეო. ძალიან საწყენი იყო"*, - ამბობს ფორვარდი, რომლის უმცროსი ძმა ფაბიო ასევე ვერ დამკვიდრდა **კარლო ანჩელოტის** გუნდში.

სიტუაციას ფარდა მარკოს საცოლემ ახადა, არგენტინელმა ლამაზმანმა **ბელენ როდრიგესმა**, რომელმაც აღიარა, რომ ზემოხსენებულ აკრძალულ პრეპარატ კორტიზონს შეიცავდა ანთების საწინააღმდეგო საცხი, რომელიც სხეულის ყველაზე ინტიმური ადგილისთვის იყენებდა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა მხედველობაში მიიღო ახალგაზრდა წყვილის აქტიური სექსუალური ცხოვრება და ბორიელოს თავდაპირველი ექვსთვიანი სასჯელი ოთხამდე დაუყვანა.

გრძელფეხება არგენტინელი ქალბატონისგან ეს ნამდვილი საჩუქარი იყო. მარკომ ბელენი სამი წლის წინ გაიცნო კლუბში, რომელიც "ფორმულა 1-ის" მენეჯერ **ფლავიო ბრიატორეს** ეკუთვნის.

## თითქოს ბურთი მის ფეხს ეძებს...

მარკო ნეაპოლის გარეუბანში დაიბადა. ის ადრეულ ასაკშივე მამის გარეშე დარჩა. 2001 წელს "მილანმა" პერსპექტიულ ფორვარდს ყურადღება მიაქცია, კონტრაქტი გაუფორმა და არენდით სერია C-ში მოასპარეზე "ტრიესტინაში" გაუშვა. მომდევნო სეზონი მან უკვე სერია B-ში დაიწყო, 2002 წელს კი თავი ამოჰყო "ტრევიზოში", რომლის შემადგენლობაშიც 27 მატჩი ჩაატარა და 10 გოლი მიითვალა. "როსონერიმ" ის კიდევ ერთხელ აიყვანა შემადგენლობაში. იმავე წლის 21 სექტემბერს ბორიელოს დებიუტი ჰქონდა უკვე სერია A-ში, როცა "პერუჯასთან" მატჩში შეცვლაზე შევიდა. მაგრამ "მილანის" თავდასხმაში იმ დროს **ანდრეი შევჩენკოსა და ფილიპო ინძაგის** მიჰყავდათ "პარადი" და ახალგაზრდა ფორვარდისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. მისი ზრდისთვის აუცილებელი იყო მუდმივი სათამაშო პრაქტიკა. ცოტა ხანში, მარკო "ემპოლიში" გაანათხოვრეს.

მაგრამ არც აქ, არც "რეჯინაში" და არც "სამპდორიაში" მას არაფერი გამოუვიდა. მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბორიელოს ადგილი მხოლოდ მეორე ეშელონში იყო. *"მილანში შანსი არ მომცეს. რა გაეწყობოდა... თუკი ჩემსა და სხვის დროს ტყუილად გავფლანგავდი, ამით ვერავინ მოიგებდა. არენდის პირობებშიც არავინ აპირებდა ჩემზე აქცენტის გაკეთებას, რადგან ასეთ დროს გიყურებენ, როგორც დროებით ფეხბურთელს"*, - ასე ფიქრობს დღეს ფეხბურთელი.

გასული წლის ზაფხულში ის შეიძლება ვერც მოხვედრილიყო "ჯენოაში". გენუური კლუბის პრეზიდენტმა **ენრიკო პრეციოზიმ** ბორიელო სხვა ფორვარდს, **დანიელე კაჩას** ამჯობინა. მაგრამ ამან ტიფოზების უკმაყოფილება გამოიწვია. "ჯენოამ" ბორიელოს სატრანსფერო უფლებების ნახევარი 1.5 მილიონ ევროდ გამოისყიდა. ახალი ფეხბურთელის წარდგენის ოფიციალურ ცერემონიალს რადიკალურად განწყობილმა ქომაგებმა პროტესტი გამოუცხადეს. რაც არ უნდა იყოს, "სამპდორიის" ყოფილი ფეხბურთელის (თუ ფეხბურთელების) მიმართ, გენუის მეორე კლუბის გულშემატკივრებს "განსაკუთრებული" დამოკიდებულება აქვთ...

მაგრამ სიძულვილიდან სიყვარულამდე გზა მეტად მოკლედ აღმოჩნდა. "ლივორნოსთან" სადებიუტო მატჩში (მიმდინარე ჩემპიონატის მესამე ტური) გატანილი გოლისთვის ბორიელოს დიდხანს უკრავდნენ ტაშს, "უდინეზესთან" შეხვედრაში გახერხებული ჰეთ-თრიკის შემდეგ კი ის უკვე საყოველთაო გმირი იყო. დღეს აღარავის ახსოვს, რომ მარკოს ერთ დროს "მოსისხლე მტრის" ბანაკში უთამაშია. *"ვერ წარმომიდგენია, როგორ ვერ დააფასეს "მილანში" ასეთი ფეხბურთელი. მას გოლის ფენომენალური ალღო აქვს. თითქოს, ბურთი მის ფეხს ეძებს"*, - ასე ახასიათებს შეგირდს "ჯენოას" მწვრთნელი **ჯამპიერო გასპერინი**.

## პირველად, 17 წლის შემდეგ...

2 დეკემბერს, "ტორინოსთან" მატჩი მისთვის სერია A-ში მე-100 იყო. ცხადია, საიუბილეო თამაში გოლით უნდა აღნიშნულიყო და აღინიშნა კიდეც. 13 იანვარს კი, "ლაციოს" კარში მის მიერ გატანილი ორი გოლით, "ჯენოამ", ბოლო 50 წლის განმავლობაში, "სტადიო ოლიმპიკოზე" პირველი გამარჯვება მოიპოვა. **რობერტო დონადონიმ** ფორვარდის წარმატებებს პორტუგალიასთან ამხანაგურ მატჩში გამოძახებით უპასუხა. ბორიელომ მეორე ტაიმში **ლუკა ტონი** შეცვალა. სხვათა შორის, ის "ჯენოას" პირველი ფეხბურთელია, ვინც "სკუადრა აძურის" შემადგენლობაში 17-წლიანი პაუზის შემდეგ ითამაშა. უკანასკნელი ბედნიერი კი **ჯენარო რუოტოლო** იყო, რომელმაც 1991 წელს დანიასთან სპარინგ-მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ბოლო პერიოდში პრესა სულ უფრო ხშირად ლაპარაკობს იმაზე, თითქოს "მილანი" ბორიელოს დაბრუნებას აპირებს. ამ ხმებს ხელს უწყობს ანჩელოტის ბოლოდროინდელი აღიარებაც - მარკო სათანადოდ ვერ დავაფასეთო. *"მიხარია, რომ კარლო ამას ამბობს, - კომენტარს აკეთებს ბორიელო, - ეს ჩემთვის დიდი სტიმულია. არ ვიცი, რა იქნება ხვალ, მაგრამ დღეს ნამდვილად ვიცი, რომ "მილანში" დაბრუნება არ მინდა. არ მინდა, კიდევ სკამზე ჯდომა და საგოლე შიმშილი. გენუაში, როგორც იქნა, ჩემი გუნდი ვიპოვნე. "ჯენოაში" თამაში ყველანაირად მაწყობს. ახლა ჩემი გონება მხოლოდ ამ გუნდზე ფიქრით მუშაობს. ჩემი აზრით, მხოლოდ აქ შემიძლია დავიმსახურო ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება"*.

*"დაბრუნდება თუ არა მარკო "მილანში"? ამ კლუბში თამაშისთვის მარტო კარგი ტექნიკა არ კმარა. "მილანში" ყოფნა რომ დაიმსახურო, ძლიერი პიროვნებაც უნდა იყო. ჩემი აზრით, ბორიელო ამისთვის ჯერ არ არის მზად. თუმცა ის კი შემიძლია ვთქვა, რომ სწორი მიმართულებით მიდის"*, - ესეც "ჯენოას" მწვრთნელ გასპერინის სიტყვებია.

მოკლედ, მარკოს საქმეები კარგად მიდის. ახლა, მთავარია, საცოლეს კიდევ არ დასჭირდეს მისთვის "საჩუქრის" გაკეთება...

Gazzetta dello Sport

## მარკო ბორიელო: ფორვარდი ერთგვარი სარკეა, რომელშიც გუნდის შედეგები ჩანს

**პოპულარულ გამოცემასთან ინტერვიუში "ჯენოას" ფორვარდმა სხვადასხვა თემაზე ისაუბრა: მოულოდნელი პროგრესი, "მილანში" დაბრუნების შესაძლებლობა, იტალიის ნაკრები... მოდით, ვნახოთ, რას ფიქრობს ბორიელო ამ ყველაფერზე...**

**- რით ახსნი შენს ასეთ მეტამორფოზას?**

- მთავარი ისაა, რომ სტაბილურად ვთამაშობ და სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას არ ვუჩივი. "ჯენოაში" ამ ყველაფრის გარანტია მომცეს და როგორც ხედავთ, შედეგიც სახეზეა. ახლა საკუთარ ძალებშიც უფრო მეტად ვარ დარწმუნებული...

**- გასულ წელს დისკვალიფიცირებული იყავი დოპინგის გამო. ფეხბურთის გარეშე გატარებული თვეები, ალბათ, ყველაზე კოშმარული იყო შენს კარიერაში...**

- ეს ნამდვილად ლაქაა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ საქმე ეხებოდა მეტად უწყინარ სიტუაციაზე და პრეპარატს... იცით, მე პროფესიონალი ვარ, სწორად ვიკვებები, არ ვსვამ, არ ვეწევი... და უცებ, ეს შემთხვევა, რის გამოც კინაღამ "მგლის ბილეთი" გამომიწერეს. დღესაც განვიცდი იმ ამბებს. იმედი მაქვს, ჩემს შეფერგიანობას დოპინგთან არავინ აკავშირებს.

**- "მილანთან" ურთიერთობა შეიძლება უკვე დასრულებულად ჩაითვალოს?**

- "როსონერისთან" რომანი არ დამთავრებულა, თუმცა ძნელი სათქმელია, დაიწყო კი ოდესმე? შემადგენლობაში იშვიათად ვხვდებოდი და ცხადია, თავის გამოჩენის შანსიც მინიმალური მქონდა. "მილანმა" გადაწყვიტა, ჩემი სატრანსფერო უფლებების ნახევარი შეენარჩუნებინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემზე რაღაც იმედებს იტოვებენ... ვნახოთ...

**- და მაინც, ვინ არის მთავარი დამნაშავე იმაში, რომ მილანური კარიერა ვერ აგეწყო?**

- მთლიანობაში, დამნაშავე, ალბათ, მე ვარ... თუმცა სამწვრთნელო შტაბზეც უნდა ვთქვა: იშვიათად მათამაშებდნენ. ვიცი, რომ სუპერკლუბებში კონკურენცია ძალიან დიდია. შესაძლოა, უფრო გამბედავი უნდა ვყოფილიყავი, უფრო მეტად უნდა დამემტკიცებინა, რომ გუნდის ნაწილი ვიყავი...

**- "მილანზე" საუბრის დროს პირველად ვინ გახსენდება?**

- ნურავინ იფიქრებს, რომ ფეხბურთელებთან ან კლუბის ხელმძღვანელობასთან ცუდი ურთიერთობა მაქვს. სულაც არა. "მილანზე" ცუდს ვერაფერს ვიტყვი, რადგან ეს ის კლუბია, რომელმაც პირველი პროფესიული კონტრაქტი გამიფორმა. ამის წყალობით, დედაჩემი და ძმები დღეს მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობენ.

**- რთულ მომენტებში ვინ გეხმარებოდა?**

- ოჯახის წევრები, მაგრამ განსაკუთრებით ჩემი მომავალი მეუღლე ბელენი, რომელიც ყოველთვის გვერდით მედგა და მამხნევებდა, დისკვალიფიკაციის დროსაც და მანამდეც, როცა შემადგენლობაში არ მაყენებდნენ.

**- "ჯენოაში" რომ გადადიოდი, ნამით მაინც თუ გიფიქრია სერია A-ს ბომბარდირობაზე?**

- ბომბარდირობაზე არა, მაგრამ მიზნად დავისახე, ათზე მეტი გოლი გამეტანა. მინდოდა, ჩემი ნიჭი და უნარი დამემტკიცებინა, მეჩვენებინა, რომ გუნდისთვის სასარგებლო ვარ. ფორვარდი ერთგვარი სარკეა, რომელშიც გუნდის შედეგები ჩანს.

**- გრძნობ, რომ უკვე მოწიფული კაცი, სერიოზული პიროვნება ხარ?**

- როცა შენს თავზე იმ გუნდის ცენტრფორვარდის პასუხისმგებლობას იღებ, რომელსაც ათიათასობით გულშემატკივარი ჰყავს, შეუძლებელია, არ თვლიდე, რომ პიროვნება ხარ.

**- როცა იხსენებ იმ შენს თანატოლებს, რომლებთან ერთადაც ბავშვობაში ბურთს დასდევდი, მიგაჩნია, რომ ფენომენად ჩამოყალიბდი?**

- არა, მე უბრალოდ ფეხბურთელი ვარ, რომელმაც მიიღო ის, რაზეც წლების განმავლობაში ოცნებობდა. დიახ, მქონდა ოსტატობა, რომელიც ადრევე შეიძლებოდა გამომეჩინა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

**- როგორ ფიქრობ, დაარწმუნე უკვე რობერტო დონადონი, რომ ნაკრებისთვისაც შეგიძლია სარგებლის მოტანა?**

- არ ვიცი. ნაკრების მწვრთნელი იმსჯელებს იმით, რითაც სეზონის ფინიშამდე მივალ. მთავარია, იმ მომენტისთვის ფორმაში ვიყო. მიმაჩნია, რომ ფუნდამენტი მყარი მაქვს, თუმცა გადამწყვეტი მომავალი ორი თვე იქნება. მე მგონი, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ევროპის ჩემპიონატზე წასვლა მინდა, თან ძალიან მინდა... მაგრამ ამავე დროს, არც საკუთარი შანსების შეფასება მიჭირს. ვიცი, თუ რაოდენ დიდი კონკურენცია მელის.

**- საშუალება რომ მოგეცეს, ვის მიმართავდი ღია განცხადებით?**

- "ჯენოას" ფანებს. მათ მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობ და სურვილი მაქვს, გენუაში დავრჩე. მაგრამ ჩემი სატრანსფერო უფლებები ორ კლუბს შორისაა გაწილებული და ძნელი სათქმელია, რა მოხდება, რა მელის მომავალში...

**- ცნობილია, რომ ღამის ცხოვრება გიყვარს. მართლა მტკივნეულად რეაგირებ, როცა ამის გამო შენიშვნებს გაძლევენ?**

- როგორც ყველა ნორმალური ახალგაზრდა, დისკოთეკებზე მეც დავდივარ, მაგრამ ამას ფეხბურთის ხარჯზე, ანუ პროფესიის საზიანოდ არ ვაკეთებ.

**- იცი, რა თქვა ერთხელ ჯორჯ ბესტმა? ასე ლამაზი რომ ვყოფილიყავი, პელეზე არასოდეს ილაპარაკებდითო...**

- მოიცათ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი გარეგნობის გამო სერიოზულად არავინ აღმიქვამს? მაშინ, ეს ნიშნავს, უფრო მეტი გულით უნდა ვივარჯიშო და ვითამაშო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ძმებ შვაინშტაიგერებთან

# ჩვენ შვაინები ვართ!

## გაგიკვირდებათ და ბასტის ძმამ 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ სოლსკიაერის ფორმა იყიდა...



ბასტიან და ტობიას შვაინშტაიგერები

**ბასტიან შვაინშტაიგერი** გერმანიის ნაკრებისა და "ბაიერნის" ვარსკვლავია, მისი ძმა ტობიასი კი რეგიონალლიგაში თამაშობს. თუმცა ეს უკანასკნელიც პოპულარული და ცნობილი გახდა – ცხადია, უმცროსი ძმის გამო. კვირას ძმებ შვაინებს "ბილდ ამ ზონთაგის" კორესპონდენტი ესტუმრა...

**- პირველ რიგში, ერთი ისეთი კითხვა გვაქვს, რომელზე პასუხიც, ალბათ, ნებისმიერ გულშემატკივარს აინტერესებს და მოდით, ეს საკითხი ჩვენც თავიდანვე გავარკვიოთ: ორივეს მეტსახელი შვაინია?**

ბასტიან შვაინშტაიგერი(23): რა თქმა უნდა. ეს მეტსახელი ჯერ კიდევ სკოლაში შეგვარქვეს და მას მერე ყველა შვაინის მეძახის – როგორც მე, ასევე ტობიასსაც. არაფერია, უფრო უარესი მეტსახელებიც გამიგია (იცინის).

ტობიას შვაინშტაიგერი: სხვათა შორის, მამაჩვენსაც ეს მეტსახელი ჰქონდა. მასაც შვაინის ეძახდნენ. რას ვიზამთ, როცა გვარად შვაინშტაიგერი ხარ, არ უნდა გაგიკვირდეს, ასე რომ დაგიძახებენ. თანაც, შვაინი "საყვარელ გოჭს" უფრო ნიშნავს, ვიდრე ღორს. როგორც ხედავთ, განსხვავება მხოლოდ ერთ ასოშია: "შვაინ" რომ დამიძახონ, გავბრაზდები, "შვაინი" კი მსიამოვნებს კიდეც. ძმები ერთმანეთს სახელებს ვეძახით, ანუ, ტობი და ბასტი.

**- ტობიას, თქვენი უმცროსი ძმით ამაყობთ?**

ტობი: რა თქმა უნდა! შეუდარებელი და გრანდიოზულია ყველაფერი ის, რასაც ბასტიმ 23 წლის ასაკში მიაღწია. მისი წარმატება პატივისცემას იმსახურებს.

**- ფეხბურთს თქვენც თამაშობთ, მაგრამ მხოლოდ რეგიონალლიგაში, კერძოდ კი "უნტერჰახინგში". უმცროსი ძმის არ გშურთ?**

ტობი: შური? გამორიცხულია!

ბასტი (ლაპარაკში ერთვება): არ შურს, მაგრამ ვეზიზღები! (იცინიან)

ტობი: ცხადია, მე არ ვარ ცნობილი ფეხბურთელი, მაგრამ ჩემი ძმის გამო საკმაოდ ცნობილი გავხდი. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩემი ინტერვიუ არაერთ გაზეთში გამოქვეყნდა და აი, "ბილდმაც" მომაკითხა. ეს, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემი ძმის დამსახურებაა, თორემ სხვა დროს რეგიონალლიგის ფეხბურთელით, რა თქმა უნდა, არ დაინტერესდებოდით. თუმცა სამსახურს ნამდვილად არ ვუჩივი. ხშირად ისეთ რამეებს ვაკეთებ, რასაც უმაღლესი კლასის ფეხბურთელები ვერ ახერხებენ და უდიდეს დატვირთვებს ვუძლებ. თანაც, არც ისეა საქმე, რომ კარიერის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელმა აღარ უნდა იმუშაოს.

ბასტი: რას ამბობ, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ დივანზე არც მე წამოვგორდები. რა თქმა უნდა, მეც ვიმუშავებ – ალბათ, სკაუტი გავხდები. ტენდენცია იქითკენ წავიდა, რომ თითქმის ყველა ფეხბურთელი სკაუტობას აპირებს. გამონაკლისი არც მე ვიქნები.

ტობი: ცხადია, ამ მხრივ მე უფრო ნაკლები გარანტიები მაქვს. რაც არ უნდა იყოს, ბასტი ბუნდესლიგის ფეხბურთელია.

ბასტი: მაგრამ ჩემგან განსხვავებით, შენ ნასწავლიც ხარ და შეგიძლია, ფეხბურთიდან საერთოდ წახვიდე და პროფესიით იმუშაო.

ტობი: ჰო, პროფესიით პოლიციელი ვარ და გარდა ამისა, სპორტული მენეჯმენტის კურსებიც გავიარე – მაგისტრის დიპლომი მაქვს. ცხადია, კარგი იქნებოდა, მუდმივად გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ რომ ვთამაშობდე, მაგრამ ისიც ძალიან მიხარია, რომ ყოველდღე გაზეთებში არ ვარ. ძალიან მშვიდი პირადი ცხოვრება მაქვს, რაც ჩემი აზრით, ძალიან კარგია.

ბასტი: ასეა, რადგან ხშირად მქონია დღეები, როცა მიფიქრია: რა კარგი იქნებოდა ახლა ქუჩაში ისე გავლა, რომ ვერავინ მიცნოს და არც ფოტოგრაფები დამესიონ...

**- და მერე რა გშველით? ალბათ საბანკო ანგარიში გახსენდებათ და მაშინვე კარგ ხასიათზე დგებით, არა?**

ბასტი: თუ გგონიათ, რომ მუდმივად ფულზე ვფიქრობ, ძალიან ცდებით. როცა რაღაც არ მომწონს ან საქმე მოტივაციას ეხება, იქ ფულზე ფიქრი დაუშვებელია. ძალიან კარგად მესმის, რომ კონტრაქტი "ბაიერნთან" გავაფორმე და შესაბამისად, მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი ვარ. შესაბამისია ისიც, რომ "ბაიერნის" ფეხბურთელი მუდმივად ყურადღების ცენტრში უნდა იყოს – გინდა, არ გინდა, ეს ასეა. მაგრამ ნამდვილ ბასტიან შვაინშტაიგერს მხოლოდ ერთეულები იცნობენ. მაგალითად, ეს ვაჟბატონი (იცინის).

**- და არ გვეტყვით, როგორია ნამდვილი ბასტიან შვაინშტაიგერი?**

ბასტი: ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ კარგი ადამიანი ვიყო, ნორმალური და არა ისეთი, როგორებიც ვარსკვლავები ხდებიან ხოლმე. ყველაზე მეტად ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად შინაურულად ჯდომა მსიამოვნებს – გემრიელი კერძები და აზრიანი, თბილი საუბრები. ისეთი ტიპი არ ვარ, როგორებიც თვეში ერთხელ სახლსა და ადგილსამყოფელს იცვლიან ხოლმე.

**- არადა, ჩაცმის თანამედროვე სტილი ორივეს გიყვართ და მოდასაც მისდევთ...**

ტობი: ჩემი აზრით, ნებისმიერმა ადამიანმა ისე უნდა ჩაიცვას, როგორც მოსწონს. ამ მხრივ დოგმა არ არსებობს.

ბასტი: ცხადია, ჩემი საკუთარი სტილი მაქვს. ხშირად თავის მართლებაც მიხდება – განსაკუთრებით გუნდის გასახდელში. დამიწყებენ ხოლმე, ეს რატომ გაცვია, ისე უნდა გეცვას. მე კი საათობით ვუხსნი, რას ნიშნავს საერთოდ მოდა. ყველაზე ხშირად მარკ ვან ბომელი მაკრიტიკებს ხოლმე. მაგრამ ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხუმრობით ხდება.

**- ერთად ხშირად ხართ? ანუ, თავისუფალ დროს ერთად ატარებთ ხოლმე, მაგალითად, ღამის კლუბში? რამდენად ემთხვევა თქვენი ინტერესები?**

ტობი: მაგალითად, გასულ ზაფხულს ერთად წავედით იბიცაზე – ასე ვთქვათ, მამაკაცების შვებულება გვქონდა, კარგი დრო გავატარეთ (იცინის).

**- გოგოს გამო ერთმანეთში არასდროს გიჩხუბიათ?**

ტობი: არა, რადგან ბასტის ქერა გოგოები მოსწონს, მე კი შავგვრემნები მირჩევნია. თანაც, მეგობარი გოგონა ორივეს გვყავს.

ბასტი: მას მერე, რაც ტობი "ლიუბეკიდან" "უნტერჰახინგში" გადავიდა, ერთმანეთს უფრო ხშირად ვხედავთ. ადრე კომპიუტერს ერთად ვთამაშობდით ხოლმე, მაგრამ მგონი გავიზარდეთ, რადგან ეს აღარ გვიზიდავს. სამაგიეროდ, ახლა უკვე გოლფს ვთამაშობთ – მამასთან ერთად. გოლფის თამაში მან გვასწავლა და შეგვაყვარა.

**- ფულზე თამაშობთ?**

ბასტი: თითქმის ყოველთვის. ისე, უმეტესად მამა აგებს ხოლმე – იმდენად კარგად გვასწავლა, რომ ახლა უკვე ველარ გვიგებს. ჩემი ჰანდიკაპი 21 გახლავთ, ტობიასის კი- 23.

**- უფროსი შვაინშტაიგერი შვილებით ალბათ ძალიან ამაყობს. თავიდანვე ფეხბურთელობაზე ოცნებობდით?**

ბასტი: არა, სხვათა შორის, თხილამურებით სრიალი უფრო მიზიდავდა და ბავშობაში გუნდშიც ვიყავი. ახლა რომ მახსენდება, დილის 5 საათზე ისეთი ენთუზიაზმით ვდგებოდი ხოლმე, რომ ყველას უკვირდა. ჯერ დავრბოდი, მერე კი ვსრიალებდი. ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ის იყო, რომ თავიდანვე მცივანა ვიყავი.

ტობი: ...და 13 წლის იყავი, როცა ფეხბურთში გადაინაცვლე...

**- დღეს რამდენად ხშირად სრიალებთ?**

ბასტი: ძალიან იშვიათად.

ტობი: ადრე ქუჩის ჰოკეისაც ვთამაშობდით.

ბასტი: და როცა ვინმე ძლიერად დამეჯახებოდა, ტობი იყრიდა ხოლმე ჯავრს. მუდმივად ამის იმედად ვიყავი, ყოველთვის მიცავდა.

**- ფეხბურთსაც ხომ თამაშობდით?**

ტობი: რა თქმა უნდა. ჩვენთან, სოფელში. მოედანზე ველოსიპედით მივდიოდით და ბურთები მიგვქონდა. ხან მე ვიდექი კარში და ბასტი მირტყამდა, ხანაც პირიქით. ზოგჯერ მამაც მოგვყვებოდა ხოლმე. ასეთ დროს კარში ის დგებოდა და ჩვენ ერთი-ერთზე ვთამაშობდით. ისე, სულ მე ვუგებდი (იცინის).

ბასტი: ბუნდესლიგის ფეხბურთელებს ვბაძავდით – მე ანდი მიოლერი ვიყავი და ყოველთვის ვცდილობდი, მესიმულიანტა (იცინის). დორტმუნდის "ბორუსიის" ფორმა მქონდა, მე-10 ნომრითა და მიოლერის გვარით. მქონდა გერმანიის ნაკრების ფორმაც, ასევე მე-10 ნომრით, ოღონდ ლოთარ მათეუსის გვარით.

ტობი: ვინც კარში იდგა, კომენტატორის როლიც უნდა შეესრულებინა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ორი ფორმა მქონდა – რაიან გიგზისა და ოლე გუნარ სოლსკიაერის.

**- დაუჯერებელია? სოლსკიაერის ფორმა? მან ხომ "ბაიერნი" დაასამარა?**

ბასტი: რატომ გიკვირთ? ტობი ხომ "მიუნხენ 1860"-ის ფანია (იცინის). მე და მამაჩემი კი ყოველთვის "ბაიერნის" ქომაგები ვიყავით და სახლში ე.წ. წითელი კუთხე გვქონდა. ტობიასი "მანჩესტერის" გამარჯვებამ ძალიან გაახარა, უფრო სწორად, იმით იყო ბედნიერი, რომ "ბაიერნი" დამარცხდა. მე და მამამ კინაღამ მოვკალით...

**გოტფრიდ ლენცი**

ჰამბურგი

# სტევენსს ბილიჩი შეცვლის?

## ბოსები უკვე ზაგრებში იყვნენ. მოლაპარაკებები დაწყებულია...

"ჰამბურგი" ახალი მწვრთნელის ძებნას განაგრძობს. როგორც იცით, ჩრდილოგერმანული კლუბის ამჟამინდელი თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებს და სამშობლოში გადაბარგდება, სადაც "ეინდჰოვენს" ჩაუდგება სათავეში. როგორც ირკვევა, "ჰამბურგის" ხელმძღვანელების სიაში ერთი კანდიდატი გამოიკვეთა. მეტიც, ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. საუბარია ხორვატ სპეციალისტ **სლავენ ბილიჩზე**.

"კიკერის" ინფორმაციით, "ჰამბურგის" სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი**, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ბერნდ ჰოფმანი** და ამავე საბჭოს წევრი **კატია კრაუსი** ორშაბათს ზაგრებში იმყოფებოდნენ, სადაც 39 წლის სპეციალისტს შეხვდნენ. ბაიერსდორფერის თქმით, ვიზიტი საქმიანი იყო, მაგრამ "ჰამბურგის" ხელმძღვანელები ბილიჩთან შეხვედრას და მასთან მოლაპარაკებებს ჯერჯერობით, არ ადასტურებენ. კრაუსის თქმით, სანამ სტევენსის შემცვლელის ვინაობა არ გაირკვევა, სავარაუდო კანდიდატების გვარები არ გაცხადდება. როგორც ხედავთ, დადასტურებული არაფერია, მაგრამ არც უარყოფილი. თანაც, ბილიჩი "ჰამბურგის" სტილსა და ამბიციებს ფაქტობრივად, იდეალურად ესადაგება: ხორვატი მწვრთნელი კარგ ტაქტიკოსადაა მიჩნეული, საუბრობს გერმანულად, ინგლისურად, იტალიურად და როგორც ყოფილ ფეხბურთელს, საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.

ბილიჩი განათლებით იურისტიცაა, ამჟამად კი ხორვატიის ნაკრებს უდგას სათავეში, რომლის შემადგენლობაშიც თავის დროზე 44 თამაში აქვს ჩატარებული. 1998 წელს მან ხორვატიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სენსაცია მოახდინა – ხორვატებმა, როგორც იცით, მესამე ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბილიჩს გერმანიაშიც უთამაშია – 1993-დან 96 წლამდე ის "კარლსრუეს" ღირსებას იცავდა. ხორვატული ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს კარიერის პიკი პრემიერლიგაში, კერძოდ კი "ვესტ ჰემსა" და "ევერტონში" ჰქონდა. 2001 წელს ბილიჩი რამდენიმე თვის განმავლობაში სპლიტის "ჰაიდუკს" წვრთნიდა. 2004-დან 2006 წლამდე სლავენ ბილიჩი ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში. 2006 წლის ივლისიდან კი ხორვატიის ეროვნული ნაკრების დამრიგებელია. ახალგაზრდა სპეციალისტს ხორვატიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე უმთავრდება.

გასულ კვირას ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა "ჰამბურგთან" მიმართებაში **ფრედ რუტენისა** (ტვენტე), **იურგენ კლოპის** (მაინცი) და **ბრუნო ლაბადიას** (ფიურტი) გვარები ახსენეს. ახლა კი ირკვევა, რომ ფავორიტი ბილიჩია. *"ჯერჯერობით, ვერაფერს დაგიკონკრეტებთ. ფაქტია, რომ მწვრთნელს ვეძებთ და გვინდა, რომ სტევენსის შემცვლელი უახლოეს მომავალში წარვადგინოთ,"* – ეს ბაიერსდორფერის სიტყვებია.



სლავენ ბილიჩი გერმანიაში თამაშობდა. კარლსრუეში მას 66 მატჩი აქვს ჩატარებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანოს წიგნი

# საფეხბურთო ისტორიები

გაგრძელება. დასაწყისი №41



### ჰოლანდია სამუდამოდ 2:0 კრუიფის სასარგებლოდ

ის თავის კვარტალში ბავშვობიდანვე ბელადი იყო. მე ამაში დარწმუნებული ვარ. **კრუიფი** ღმერთივით თამაშობდა - ეს სწორი ნათქვამია, მაგრამ ძალიან დაუკონკრეტებელი. სინამდვილეში, რასაც ის აკეთებდა, თამაშის მართვა ერქვა. ჰოლანდიელი გავლენას ახდენდა პარტნიორებზე, მეტოქეებზე, არბიტრებზე, ჟურნალისტებზე, მაყურებელზე, ბურთზე, კუთხურის ალმებსა და "კოკა კოლას" გამყიდველებზე.

მის წინააღმდეგ მხოლოდ ერთხელ მომიგია თამაში და ამის დავიწყება შეუძლებელია. მსგავსი რამ არასოდეს განმიცდია. ეს იყო ესპანეთის თასის განმეორებითი შეხვედრა "ბარსელონასა" და "ალავესს" შორის. საკუთარ მოედანზე 0:0 ვითამაშეთ და ყველაფერი "ნოუ კამპზე" უნდა გადაწყვეტილიყო. პროგნოზს ხომ ხვდებით?

"გუბერნატორმა" თამაშის სადავეები პირველივე წუთიდან ჩაიგდო ხელთ: ქმნიდა, აპროტესტებდა, ბრძანებებს იძლეოდა, ახსნა-განმარტებებს ითხოვდა და გამონაკლისის სახით, ხანდახან ჩვენც გვაძლევდა თამაშის საშუალებას. მისი არსებობა ყველგან, მინდვრის ყველა ნაწილში შეიმჩნეოდა. ჩვენ საქმე გვქონდა ნატურალურ ლიდერთან, ზედმეტი წარმატებით განებივრებულთან, საყოველთაო ყურადღებას შეჩვეულ ფეხბურთელთან.

სამყარო მისით აღფრთოვანებული იყო და მეც მათ რიცხვში ვიყავი.

ის საუკეთესო ლიბერო იყო, საუკეთესო მარცხენა მცველი, ცენტრის საუკეთესო მოთამაშე და საუკეთესო ფორვარდი. ამას ყველა ხედავდა. მისი წელში გამართული ფიგურა საფეხბურთო მარკას წარმოადგენდა. ტალანტის საფუძველი იყო ტყუილი - დარბოდა სწრაფად, რადგან დამუხრუჭებას აპირებდა, ამუხრუჭებდა, რათა აჩქარება გაეკეთებინა, აჩვენებდა, რომ პასი უნდა გაეკეთებინა, რათა მოტყუებაზე წასულიყო, იწყებდა ფინტს, რადგან გარღვევას ამზადებდა, იხედებოდა მარცხნივ, იმიტომ, რომ მარჯვნივ წასვლას აპირებდა...

ის ფეხბურთის მოყვარულებს ბედნიერების დაუვიწყარ წამებს ანიჭებდა. მაგრამ მე რა სარგებელი მქონდა აქედან, როცა წყდებოდა, რომელი გუნდი უნდა გასულიყო შემდეგ ეტაპზე. მეორე ტაიმის შუაში თამაში უმნიშვნელო დარღვევის გამო შეწყდა და კრუიფმა თავის სტილში დაიწყო პროტესტის გამოთქმა - ბურთი ხელში ეჭირა და მასთან განშორებას არ აპირებდა. არბიტრი მოთმინებით ელოდა მის დაწყნარებას, მე კი, გულუბრყვილოდ, საქმეში ჩევერიე. მახსოვს, ასეთი რამ ვთქვი - *"სხვა ბურთით გავაგრძელოთ თამაში, ეგ კი, სამასხოვროდ სახლში წაიღე"*. მან ღიმილით სახელი მკითხა. *"ხორხე ვალდანო"*. *"რამდენი წლის ხარ?"* *"ოცდაერთის"*. და 30 წლის კრუიფმა ზემოდან გადმომხედა და სიტყვიერად სილა გამაწნა: *"21 წლისა, იოჰან კრუიფს თქვენობით უნდა ელაპარაკო"*.

ჩვენ კიდევ ერთხელ "დავილაპარაკეთ" და კვლავ გამოუცდელობამ დამაღალატა. ის საჯარიმოში შევარდა, მე ბოლომდე მივსდიე და ბურთის ართმევა მოვინდომე. გეფიცებით, სუფთად მოვიგერიე ბურთი, ის კი მოცელილივით წაიქცა. პენალტი. "ბარსელონა"-"ალავესი" 1:0. კრუიფი-ვალდანო 2:0.

### კრუიფის მომხიბვლელობა

ჰოლანდიელი "ბარსაში" მთავარი მწვრთნელის რანგში დაბრუნდა. ის, ვინც შედეგს იძლეოდა, წააგო იმასთან, ვინც სპექტაკლს დგამდა. საოცარია, რომ საზოგადოებაში, სადაც ეფექტურობის კულტს ეთაყვანებიან, აზრი ("ბარსელონა" - საუკეთესო შემტევი გუნდია მსოფლიოში") უფრო წონადია, ვიდრე რეალობა (მადრიდის "რეალი" "ბარსას" 3 ქულითასწრებდა). რატომ იყო მთელი ყურადღება მიპყრობილი ჩამორჩენილისკენ? რა მაგია იყო ამაში?

იოჰან კრუიფი - ფეხბურთის არისტოკრატი, საკუთარ თავში მეტად დარწმუნებული, ხშირად ახირებული და კარგი გაგებით თავხედი. საფეხბურთო კარიერის დროს, ის უმაღლეს კვარცხლბეკზე აიყვანეს, მან ეს იცოდა და ამას იარაღად იყენებდა - იმ კვარცხლბეკიდან ისრებს ისროდა. არა მოსაკლავად, არამედ იმისთვის, რომ მისი უპირატესობა შეგეგრძნო. *"ჟურნალისტებო, ხელმძღვანელებო, მოთამაშეებო: მე - იოჰან კრუიფი ვარ"*, - ამბობდა თითქოს სხვა სამყაროდან იყო. როგორც მოთამაშეს, მე ეს მაღიზიანებდა, მაგრამ ახლა, მომწონს მისი ამგვარი საქციელი, რადგან ის ძველ დამსახურებებს ემყარება და იმიტომაც, რომ ის ვულგარულ მსაჯებს (მოსამართლეებს) და მათ რიგებში არსებულ ჯალათებს უპირისპირდება.

ის იმათ რიცხს არ განეკუთვნება, ვინც უარს ამბობს თავის იდეებსა და კაპრიზებზეც კი, და ამიტომაც, "ბარსა" მის წლებში ისე თამაშობდა, როგორც კრუიფს სურდა: დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბურთს და ნაკლებს - სივრცეებს. ხოლო ნებისმიერი გუნდი, რომელიც ბურთს კარგად ეპყრობა, შესაბამისად, კარგად ეპყრობა მაყურებელს. "ბარსელონასთვის" უმოკლესი გზა არ ყოფილა პირდაპირი. მისი დროში გაწელილი არჩევანი ემყარებოდა მოთამაშეების ერთმანეთის მიმართ მხარდაჭერას (გვერდით ყოველთვის მოიძებნებოდა ვინმე, რომელიც თავის სამსახურს შემოგთავაზებდა), მოძრაობას, სისწრაფესა (ბურთი ფეხებში არ უნდა ისვენებდეს) და უბრალოებას (აუცილებლობის გარეშე, მანევრის გართულება საჭირო არ არის). ბურთის სწრაფი გადაადგილება მიზნად ისახავდა მეტოქის დაცვის ხაზის დაშლასა და გოლისთვის საჭირო გზის მონახვას. ამ ბრწყინვალე მონდომების სიზუსტე, ელეგანტურობა და უეცრება ემყარებოდა **კუმანის, ლაუდრუპის, ვიტჩგეს, ბეგირისტაინის, ამორის, გვარდიოლას, ეისებიოს, რომარიოს** ტექნიკას. მაშინ რაშია კრუიფის დამსახურება? ის მათ ამ მახასიათებლების მიხედვით არჩევდა. თქვენ გგონიათ ეს ცოტაა? გუნდმა იმდენად დახვეწა მეტოქის დაცვის გარღვევის კოლექტიური ფორმულა, რომ სილამაზემ თავის უმაღლეს ხარისხს მიაღწია, ის სასარგებლო გახდა. ხოლო ერთმანეთში გადაცემა უამრავი გოლის წინაპირობა ხდებოდა.

ბურთთან ამ აუცილებელი, მიმზიდველი და დახვეწილი უკანასკნელი შეხებისთვის, "ბარსაში" სულით ხორცამდე ინდივიდუალისტები იყვნენ, მაგალითად **სტოიჩკოვი** ან უფრო კონკრეტული საფეხბურთო აზროვნების მქონე **ბაკერო**. კრუიფზე დამოკიდებული იყო, რომ გუნდს სიხარული მოეტანა თავისი თამაშითა და გამარჯვებულის მენტალიტეტით. ზოგიერთი ტაქტიკური ჩანაფიქრი, მაგალითად, **ლინეკერის** არა ცენტრში, არამედ ფლანგზე გამოყენება, უნდა აღვიქვათ როგორც კრუიფის გენიის ნორმალური გამოვლინება. ჰოლანდიელი ტკბებოდა ნებისმიერ ადგილზე თამაშით და თვლიდა, რომ ასეთი რამ ყოველი ოსტატისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ცოტა ხნის წინათ, **დი სტეფანოსგან** მოვისმინე: *"ადრე გუნდები თავს იცავდნენ და უტევდნენ, დღეს კი, მხოლოდ თავს იცავენ"*. კრუიფი ამ ტენდენციის მეორე ნაპირზე ცხოვრობდა: მისი გუნდი უტევდა და უტევდა. ეს არ ნიშნავს, რომ "ბარსელონა" ბურთის მონოპოლიზებას ახდენდა, ის სხვებზე უკეთ ინახავდა და სხვებზე უკეთ იყენებდა მას. როცა "მსოფლიოს საუკეთესო შემტევ გუნდს" (ეს განსაზღვრება, სხვათა შორის, მადრიდელ **ემილიო ბუტრაგენიოს** ეკუთვნის) თავი უნდა დაეცვა, უმაღლესი შეფასება მას არანაირად არ ეკუთვნოდა. მისი მოთამაშეები ბურთზე ბატონობას იყვნენ შეჩვეულნი და ეს მათ პირველ რიგში აინტერესებდათ. ამიტომაც, ისინი მოწინააღმდეგეებს უხვად ურიგებდნენ მნიშვნელოვან ტერიტორიებს. ეს დისბალანსი ფატალურ ხასიათს ატარებდა და კატალონიელებს სტატისტიკას უფუჭებდა. საკმარისია გავიხსენოთ: კრუიფის მოსვლის შემდეგ, "ბარსელონამ" 22 მატჩში 27 გოლი გაუშვა. ეს სატურნირო ცხრილში მეათე მაჩვენებელი იყო. შედარებისთვის: მადრიდის "რეალს" 18 გოლი ჰქონდა გაშვებული, "მარსელს", რომელსაც 5 მატჩით მეტი ჰქონდა ჩატარებული - 15 ბურთი, "მილანს" - 10.

თანამედროვე ფეხბურთში, როგორც წესი, სანგრებში ოთხი ფეხბურთელი ზის. ხუთი მცველი ბევრია, სამი - ცოტა. "ბარსელონა" დაცვაში მიღებულ ნორმებს იცავდა, მაგრამ მაინც ბევრს უშვებდა. რაში იყო აქ საქმე?

პრობლემა ის არ იყო, რომ მეთაურს (კუმანი) ცოტათი ნელი მოძრაობები ჰქონდა, არამედ იმაში, რომ გასაკონტროლებელი ზონები ძალიან დიდი იყო და საცოდავი ნიჩბებს ისე უსვამდა, თითქოს გაშლილ ზღვაში იყო. ეს ზერელე სივრცეები, რომლებიც მეტოქეს გადაეცემოდა, ან მეორენაირად შავი ლაქები დაცვაში, ჩემი აზრით, "ბარსელონას" "რეალზე" უკან ხევდა, და ეს მიუხედავად მისი უფრო მიმზიდველი ფეხბურთისა. სივრცეების ცუდი გადანაწილება და ამათთან ერთად, შრომის ცუდ გადანაწილებას არეულობა შეჰქონდა კატალონიელთა დაცვაში და ჩემი აზრით, ამით აიხსნება უამრავი ტრავმა, რომელსაც მცველები ილებდნენ.

ჩემი მოსაზრების საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად არ გამოდგება "ბარსელონას" მომდევნო გამარჯვებები 1991-94 წლებში. კრუიფის გუნდი მეტოქეებს ძალების მაქსიმალური დაძაბვით უგებდა და თავს მოდუნების უფლებას არ აძლევდნენ. მას რომ შესაძლებლობების 80 პროცენტით ეთამაშა - შედეგი სულ სხვანაირი იქნებოდა. მაგრამ კრუიფს ცხოვრება მხოლოდ 100 პროცენტით აინტერესებდა. ყველაფერი ან არაფერი. მას სწორედ ამის გამო უხდიდნენ. და თან დიდ ფულს.

### უდიდესი ფიგურა

ფეხბურთი კოლექტიური მონაპოვარია და კარგია, თუ ამას ფეხბურთის ცივგონებიანი ბიზნესმენები შეიგნებენ. მაგრამ არ გამოვიდა. 1996 წელს, მათ ვერ მოითმინეს და ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე განთავისუფლდნენ "ბარსას" მწვრთნელისგან, რითაც ხელი შეუშალეს ადამიანებს, რომლებსაც სურდათ სათანადო პატივი მიეგოთ კრუიფისთვის. ეს ის ადამიანები არიან, ვისაც ჰოლანდიელი დიდ სიხარულს ანიჭებდა ფეხბურთელობისა და შემდეგ მწვრთნელობის დროს.

რვა წლის განმავლობაში ხასიათების აშკარა შეუსაბამობას, ცხადია, არ შეიძლებოდა ასეთი ფინალი არ გამოეწვია. მას ვერ იტანდნენ, როგორც უპროგნოზოს, გამომწვევს, მოუთვინიერებელს, ვერ იტანდნენ იმდენად, რომ არ სურდათ შეემჩნიათ, თუ რას მიაღწია და რას წარმოადგენდა სინამდვილეში.

და ამასთან ერთად, იმის გამო, რომ მისი ეშინოდათ, იჩქარეს კრუიფისთვის დარტყმის მიყენება და არ დაელოდნენ, როდის დასრულდებოდა ორი წელი ლირებული გამარჯვებების გარეშე. სინამდვილეში, ის მოიშორეს, რათა დაენახებინათ, თუ ვინ იყო სახლში მასპინძელი. მაგრამ არაფერი გამოვიდა, რადგან ფეხბურთში მეთაურობს ის, ვისაც შეუძლია ადამიანების გულის დაპყრობა.

"ბარსელონა" დაობლდა. თანაც იმდენად, რომ შეიძლებოდა მოგჩვენებოდა - კლუბის დიდება ერთ პიროვნებაზე - კრუიფზე იყო დაყრდნობილი. "ბარსას" დიდი დრო დასჭირდა ჭრილობის მოსაშუშებლად და იმისთვის, რომ ეგრძნო თავი გამარჯვებულად. ხოლო გამარჯვების მიღწევა გაცილებით რთულია, როცა ეს ვალდებულებად იქცევა.

კრუიფმა "ბარსელონა" დატოვა. თან წაიღო სტატისტიკური რეკორდებით სავსე ჩემოდანი და ფეხბურთის მოყვარულთა (არა მარტო "ბარსასი") აღიარება. მე არ მეხამუშება, რომ ის ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებით გააცილეს. დიადი ადამიანები ან უყვართ, ან ეზიზღებათ.

გაგრძელება იქნება






კრუიფმა ბარსელონაში ორი ეპოქა შექმნა, ფეხბურთელის და მწვრთნელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროლიგა

# არისს ერთი, ბოისას ორი ფრიადი

ვლადიმერ ბოისას "არისმა" ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე მეოთხე მატჩი გამართა და პირველი გამარჯვება მოიპოვა. ბერძნებმა წარმატებას თურქეთის ქალაქ სტამბოლში, "ულქერ-ფენერბაჰჩესთან" მატჩში მიაღწიეს - 60:59.

ვიდრე შეხვედრასა და ვოვა ბოისას თამაშს შევეხებოდეთ, მკითხველს შევახსენებთ, რომ "არისმა" ევროლიგის ტოპ-ათეულში მოხვედრის საკითხი იანვარში, სწორედ თურქეთში, "ეფესის" ძლევის შედეგად გადაწყვიტა. თუმცა, ისიც გეხსომებათ, რომ არისელებმა მეორე ჯგუფური ეტაპი სწორედ თურქულ კლუბ "ულქერთან" მარცხით (88:96) გახსნეს.

ვლადიმერ ბოისამ სტამბოლში 24 წუთი ითამაშა, 3 სამიანიდან და 2 ორქულიანიდან თითო გამოიყენა, 5 ქულას ამდენივე მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიამატა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით, შეხვედრაში საუკეთესო "არისის" მაისურით მოასპარეზე ამერიკელი იერემია მეისი იყო. მის ანგარიშზე 18 ქულა და 8 მოხსნაა. ევროლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მატჩის მიმოხილვიდან ვგებულობთ, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო იერემიას მე-18 ქულა:

*"ბერძნულმა "არისმა" 11 ათასი თურქი ფანის წინაშე სასწაული მოახდინა - "ულქერ-ფენერბაჰჩე" 60:59 დაამარცხა.*

*შეხვედრის პირველი წუთები სტუმართა უპირატესობით წარიმართა და ვლადიმერ ბოისას შორეული სამქულიანის შემდეგ "არისი" 8:0 დაწინაურდა. ბერძნებმა მეისისა და მოტოლას წყალობით მეტოქეს დაწევის საშუალება მესამე პერიოდის ბოლომდე არ მისცეს, ბოლო შესვენებაზე 5-ქულიანი ფორით გავიდნენ (50:45).*

*გადამწყვეტი მეოთხედი მასპინძელი ონანის ორი ზუსტი სამქულიანით გაიხსნა და "ულქერმა" პირველად მოახერხა გადასწრება - 53:52. ამ ეპიზოდს სტუმარი გორდონ ჰერბერტის წუთშესვენება მოჰყვა და დარჩენილ დროში ნერვიული, ოღონდ ამერიკული თამაში გაჩაღდა: მატჩის დასრულებამდე 32 წამით ადრე მასპინძელმა სოლომონმა ჯარიმიანი ორქულიანი ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა (59:59). სირენამდე 9 წამით ადრე სტუმარმა მეისიმ ჯარიმების სროლის უფლება მოიპოვა, ერთი ტყორცნა გამოიყენა და საფინალო ანგარიში დააფიქსირა.*

*მატჩის შემდეგ სახეზე ღიმილი არ მოშორებია "არისის კანადელ თავკაცს გორდონ ჰერბერტს: "აქამდე სამი მატჩი წავაგეთ, მაგრამ დღეს დავამტკიცეთ, რომ იმ შეხვედრებში ჩვენი სახე არ გვიჩვენებია. "ულქერთან" ნათლად გამოჩნდა, რომ დაცვაში არავიზე ნაკლებად არ შეგვიძლია თამაში. ჩემი გუნდის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ "ულქერის" შემადგენლობაში მოთამაშე ევროვარსკვლავებს სივრცე ბოლომდე შეუზღუდეს და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ."*

"არისი" მომდევნო მატჩს ევროლიგაზე სტუმრად გამართავს, ჯგუფის ერთპიროვნულ ფავორიტს, ბასკურ "ტაუს" 12 მარტს ეწვევა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| | |
|---|---|
| ულქერი (თურქეთი)- არისი (საბერძნეთი) | 59:60 |
| ტაუ (ესპანეთი)-რიტასი (ლიტვა) | 87:84 |

| E ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტაუ | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. ულქერი | 4 | 2 | 2 | 6 |
| 3. რიტასი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 4. არისი | 4 | 1 | 3 | 5 |



ფაჩულია ორლეანთან



ბოისა ულქერ-ფენერბაჰჩესთან




ქართველი NBA-ში

# ზაზა დაბრუნდა, ატლანტა აბრუნდა

"ატლანტამ" მორიგი შეხვედრა წააგო, ამჯერად "ნიუ ორლეანთან" - 101:116. საინტერესოა, რომ ბოლო ორ მატჩში ჯორჯიელებმა საკუთარ კალათში 255 ქულა მიიღეს.

"ატლანტა ჰოქსის" თავკაცმა მაიკ ვუდსონმა **ზაზა ფაჩულიას** ერთმატჩიანი დასვენება აკმარა და "ნიუ ორლეანთან" გასვლით შეხვედრაში მოედანზე დააბრუნა. თუმცა, ეს ერთგვარად მოვალეობის მოხდას უფრო ჰგავდა, ვიდრე მწვრთნელის კალათბურთელისადმი ნდობას - ფაჩულიამ ზუსტად 4 წუთი და 51 წამი ითამაშა. დროის ამ მცირე მონაკვეთში ქართველმა ცენტრმა ერთი ტყორცნაც ვერ მოასწრო და მხოლოდ 2 მოხსნას დასჯერდა. ფაჩულიას უშუალო კონკურენტმა ელ ჰორფორდმა 40 წუთში 8 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა... მსუყე სტატისტიკური მონაგარი ჰქონდათ ნიუ ორლეანელებს კრის პოლსა (23 ქულა, 18 პასი) და პეჯა სტოიაკოვიჩს (29 ქულა). სერბმა კალათბურთელმა "ატლანტასთან" სამქულიანებში წაივარჯიშა - 7 შორეული ტყორცნა გამოიყენა. მისმა თანაგუნდელებმა კი პერიმეტრიდან ტყორცნებში "ნიუ ორლეანის" რეკორდი დაამყარეს - 15 სროლა მოახვედრეს მიზანში.

მორიგ მატჩს "ჰოქსი" 7 მარტს შარლოტში გამართავს. წაგების შემთხვევაში ჯორჯიელები სატურნირო ცხრილში დაქვეითების საშიშროების წინაშე აღმოჩნდებიან. სადღეისოდ "ატლანტას" 24 მოგება და 35 წაგება აქვს და სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მესამე პოზიციაზეა. მეოთხეადგილოსან "შარლოტ ბობქეთსს" - 22 მოგება და 39 წაგება უწერია. რაც შეეხება აღმოსავლეთ კონფერენციას, იქ "ჰოქსი" მეცხრე ადგილზეა და 2 მოგებით ჩამორჩება მერვეადგილოსან "ნიუ ჯერსის". პლეი ოფში თითო კონფერენციიდან სწორედ საუკეთესო რვაეული გადის.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# როკის ასიანი

რუსულ "ურალ გრეიტთან" ტრიუმფული გამარჯვების შემდეგ, **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატში 26-ე შეხვედრა გამართა. "როკერებმა" "კრაფტს" უმასპინძლეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს - 100:79.

ქართველმა გამთამაშებელმა მატჩი ევროთასის შეხვედრასთან შედარებით მშვიდად ჩაატარა, 10 ქულა, 4-4 მოხსნა-პასი და 2 ჩაჭრა გაიფორმა. ეს ყველაფერი 28 წუთში მოასწრო. გიორგიზე 7-ით მეტი ქულა ჩააგდო მისმა თანაგუნდელმა ვალო აალინგუმ, რომელსაც 17 ქულა "როკის" ბომბარდირობისთვის ეყო.

26 ტურში "ტარტუ როკს" 23 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზეა. პირველია "კალევი", რომელსაც 26-დან 25 მატჩი აქვს მოგებული. მეორე ქართველის, სერგო ათუაშვილის ტტუ ათგუნდიან ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა. მას 25 მატჩში მხოლოდ 4 გამარჯვება აქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ცინცაძე კრაფტთან

ძიუდო

# მივულოცოთ ბაინდურაშვილს

გუშინ, 12 საათზე ქართველი ძიუდოისტები ბაკურიანში შეკრებაზე გაემგზავრნენ, ზუსტად ერთ საათში კი სპორტის დეპარტამენტში ნაკრებისა და ფედერაციის ხელმძღვანელთა პრესკონფერენცია დაიწყო. მას ნაკრების წევრი გიორგი ბაინდურაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც კვირას 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში პრაღის მსოფლიო თასი მოიგო. ამით 11-13 აპრილს ლისაბონში გასამართ ევროპის პირველობაზე გამოსვლის უფლებაც მიიღო და ამ წონაში ჩვენს ფედერაციას ოლიმპიური ლიცენზიაც საბოლოოდ გაუნაღდა.

პრესკონფერენციაც ძირითადად სწორედ პრაღის ტურნირსა და საევროპო სამზადისს დაეთმო. ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** ჩეხური შეჯიბრების სიძლიერესა და აქედან გამომდინარე თავისებურებებზე ისაუბრა. მისი თქმით, იქ 50-მდე ნაკრები გამოდიოდა, რაც თავისთავად განსაზღვრავდა ტურნირის სიძლიერეს. თუმცა ახლა ამას ისიც დაემატა, რომ ეს ბოლო სალიცენზიო შეჯიბრება გახლდათ და ვისაც კი უსაგზუროდ დარჩენის საფრთხე ემუქრებოდა, მიზნის მიღწევას ნებისმიერი - დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხით ცდილობდა. საბედნიეროდ, ამან ჩვენების გამოსვლაზე დიდად ვერ იმოქმედა და 3 ჯილდო მაინც მოიპოვეს. ცხადია, ნებისმიერი ჯილდო სასიხარულოა, მაგრამ ბაინდურაშვილის მედალი მაინც გამორჩეულია და მადლობებიც გადაუხადეს. თავის გამოსვლაში მილოცვებისთვის მადლობა სპორტსმენმაც გადაიხადა და აღნიშნა, რომ ეს მართლაც ძნელი ტურნირი იყო.

ხაბარელმა თავისი გუნდის გამოსვლაც დადებითად შეაფასა და ნაკრების სადღეისო მდგომარეობაც. მისი თქმით, გუნდი სწორედ იმ კონდიციაშია, როგორშიც ამ ეტაპისთვის უნდა იყოს. ნაკრები პიკში ოლიმპიადისთვის უნდა იყოს და ახლა მაქსიმალურ მზადყოფნას არც ითხოვს. ნაკრები ლისაბონში გამგზავრებამდე ორ შეკრებას გამართავს - ბაკურიანსა და ბორჯომში, პორტუგალიაში კი 9 აპრილს წავლენ. მისი თქმით, გუნდი დაგეგმილი გრაფიკის სრული დაცვით ემზადება, საბედნიეროდ, ტრავმაც არავის აწუხებს და სპორტსმენები ევროპაზე წარმატებით გამოსვლას იმედოვნებენ. თუმცა ვინაიდან წლეულს სეზონის უმთავრესი შეჯიბრება მაინც ოლიმპიადაა, ევროპაზე იმდენად დიდ აქცენტს არ აკეთებენ. აქედან გამომდინარე, იქნებ ლისაბონში შედეგი არ იყოს ისეთი, როგორიც შარშან - ბელგრადში.

მწვრთნელი ცალკეულ სპორტსმენთა მომზადებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ რაიმე განსაკუთრებული შენიშვნები არავისთან არა აქვს, რადგან ბიჭები გულმოდგინედ და დაუზარებლად ემზადებიან. ბუნებრივია, არსებობს პატარ-პატარა ხარვეზები, მაგრამ ოლიმპიადამდე დიდი დროა და მათ გამოსასწორებლად მუშაობენ. ქევხიშვილთან დაკავშირებით ხაბარელმა განაცხადა, რომ იგი ექიმთა მოთხოვნით არ აჭიდავეს ტურნირებში. მას ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს და მედიკოსთა თქმით, წონის დაკლება დამატებით სირთულეებს შეუქმნიდა. ქევხიშვილი ინდივიდუალური პროგრამით ემზადება და პარიზისა და ჰამბურგის ერთობლივ ვარჯიშებშიც მონაწილეობდა, რაც მწვრთნელმა მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნია. საერთოდ, მან ეს ერთობლივი შეკრებები მთელი გუნდისთვის სასარგებლო ეტაპად მიიჩნია.

**ირაკლი თავაძე**




რაგბი




# რაგბი ქვიშასა და თოვლზე

9-10 მარტს ბაკურიანში ქვიშის რაგბის კავშირი ტურნირს გამართავს მოყვარულთა შორის. როგორც ქვიშის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **კახა მხეიძემ** პრესკონფერენციაზე გვითხრა: *"ქვიშაში და თოვლში რაგბის თამაში ზოგადად რაგბის პოპულარიზაციას ემსახურება. 2007 წელს ტურნირი ზაფხულში ქობულეთში ქვიშის რაგბიში ჩავატარეთ. ამჯერად შეჯიბრება თოვლით დაფარულ მოედანზე გაიმართება, რისთვისაც ყველა პირობაა შექმნილი".*

ქვიშის რაგბის კავშირის ფედერაციის გენერალური სპონსორი დეველოპერული კომპანია "ლიბოა", რომლის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **ნინო მურღულიამ** თქვა: *"ქვიშის რაგბის განვითარება ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რაშიც ჩვენი ორგანიზაცია დიდ ფულს დახარჯავს".*

ბაკურიანში გასამართი ტურნირის სპონსორები არიან: დეველოპერული კომპანია "ლიბო", "ორიფლეიმი", "რაჭის წყალი", "ყაზბეგი"; საინფორმაციო მხარდაჭერა: "ლელო", "სარბიელი", "რადიო ფორტუნა".

ქვიშის რაგბის კავშირი აპირებს მომავალში ამ ტურნირს მისცეს საერთაშორისო სტატუსი. მოგახსენებთ, რომ ქვიშის რაგბიზე კურატორობა აიღო რაგბის საერთაშორისო საბჭომ IRB, რომელიც იმის გარანტია, რომ ეს ტურნირი გახდება საერთაშორისო. ბაკურიანში 9-10 მარტს ერთმანეთის პირისპირ დადგება 6 გუნდი: სპორტული პრესის ჟურნალისტები, საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდი, ტი-ბი-სი სტუდია, BP, ჯომარდელები და "ჩიფსების თაობა".

**ბესიკ ჯანგავაძე**




პროფესიული კრივი

# ჯომარდაშვილმა ქამარი დაიტოვა



საქართველოს პროფესიული კრივის ასოცრაციამ გუშინ სარეიტინგო ორთაბრძოლების საგაზაფხულო სეზონი დაიწყო. წინა წლისაგან განსხვავებით, ჩხუბები ყოველკვირეულის ნაცვლად, ყოველთვიური გახდება და თვის საწყის ხუთშაბათს შედგება ხოლმე ვერის ბაღში მდებარე კრივის ასოციაციის დარბაზში.

გუშინ, სარეიტინგო ბრძოლებთან ერთად, ერთი სატიტულო შეხვედრაც შედგა. 72 კილოგრამ წონით კატეგორიაში, **შალვა ჯომარდაშვილს** შარშან მოპოვებული საქართველოს ქამარი უნდა დაეცვა **გიორგი ზალიკალიანთან**. "შაკამ" კიდევ ერთხელ ნათლად დაამტკიცა, რომ თავის წონაში, საქართველოში ბადალი არ ჰყავს და დროა, საზღვარგარეთაც მოსინჯოს ძალა. მან ზალიკალიანს მეორე რაუნდში მოუმთავრა საქმე. სხვათა შორის, ჯომარდაშვილი მალე გერმანიაში გაემგზავრება სავარჯიშოდ და უცხოური კარიერის ასაწყობად.

დასასრულ კი გუშინდელი დანარჩენი ორთაბრძოლების შედეგებს გთავაზობთ.

**54 კგ**

კახა ავეტისიანი - გიორგი გაჩეჩილაძე 1:0 (6 რაუნდში, ქულებით)

**60 კგ**

კობა ქარქაშაძე - ბესიკ წიქარიშვილი 1:0 (მესამე რაუნდში, ნოკაუტით)

**62 კგ**

უშანგი რურუა - ნიკოლოზ სარიშვილი 1:0 (4 რაუნდში, ქულებით)

ალექსი ვახტანგაშვილი - ზაზა ამირანიძე 1:0 (4 რაუნდში, ქულებით)

დავით ინასარიძე - ნიკა ავეტისიანი (ფრე)

**66 კგ**

ბორის მდინარაძე - ირაკლი ღვინჯილია 1:0 (მეოთხე რაუნდში, ნოკაუტით)

**79 კგ**

გიორგი თევდორაშვილი - დავით სოფრომაძე (ფრე)

**კობა ხატისაშვილი**

# ლონდონში რეიტინგისთვის

26 წლის ქართველი მოკრივე **ხვიჩა პაპიაშვილი** (54 კგ-მდე) პირველ პროფესიულ ბრძოლას გამართავს სამშობლოს გარეთ. პაპიაშვილმა თბილისში შარშან ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა **გიორგი ყველაშვილი**, შემდეგ კი ფრედ დაასრულა შეხვედრა **კახაბერ ავეტისიანთან**. 8 მარტს გრინვიჩში (ლონდონი) ხვიჩა პაპიაშვილი "მილენიუმ დოუმზე" უელსელ **მაიკლ უოლშს** შეხვდება, რომელიც კარიერაში მეორე მატჩს მართავს პროფესიულ რინგზე. უოლშმა სადებიუტო ორთაბრძოლაში თებერვალში **დელროი სპენსერი** დაამარცხა. პაპიაშვილისა და უოლშის შეხვედრა სარეიტინგო ხასიათისაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# შაფათავა მეოთხედფინალში დამარცხდა

**სოფიო ქვაცაბაიამ** ესპანურ საბადელში 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ისეთივე წარმატებით ვერ იასპარეზა, როგორც საკვალიფიკაციოში (სადაც სამი წრე სეტის წაუგებლად გაიარა), პირველ წრეში მან ტურნირის პირველ ჩოგანთან, ურუგვაელ **ესტეფანია გრაჩიუნთან** (261) წააგო – 5:7, 1:6. ამით სოფიო ტურნირს დაემშვიდობა, რადგან მან ტრადიცია დაარღვია და ამჯერად წყვილებში არ ითამაშა.

**სოფიო შაფათავამ** კი მინსკის ტურნირის (25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეშიც გამარჯვება მოიპოვა, საკვალიფიკაციო ბადის დაძლევის შემდეგ ქართველმა პირველ წრეში ბრიტანელი **ენ სმითი** დიდი ბრძოლის მერე დაამარცხა – 7:5, 6:7, 7:6. ბოლო, გადამწყვეტი ტაი-ბრეიკი ჩვენებურმა 7:5 მოიგო.მეოთხედფინალში შაფათავა პირველ ნომრად განთესილ რუს **ანა ლაპუშენკოვას** (134) შეხვდა და დამარცხდა - 0:6, 4:6. 19 წლის შაფათავა მსოფლიოს 409-ე ჩოგანია, მეოთხედფინალამდე მან ორი საკვალიფიკაციო და ერთი ძირითადი ბარიერი გადალახა. წყვილებში ქართველ ჩოგბურთელს ბედი არ უცდია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# ნანალაშვილი ავტორიტეტთა რისხვაა

საქართველოს ქალთა ჩემპიონატზე გუშინ მერვე ტური გაიმართა, თუმცა მონაწილეთაგან ხუთს ერთით ნაკლები მატჩი აქვთ გამართული; უფროსნორად, ასეთად ჩაეთვალათ, რადგანაც **სოფიო გვეტაძესთან** ჰქონდათ ნათამაშები, ამ უკანასკნელმა კი, როგორც იცით, მეექვსე ტურიდან ჩემპიონატი მიატოვა. სიტყვამ მოიტანა და გვეტაძის მშობლებმა, როგორც იქნა, გუშინ ფედერაციაში სოფიოს ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა მოიტანეს. მასში აღნიშნულია, რომ მოქალაქე გვეტაძეს ვირუსი შეეყარა. სხვა რამ გამართლება არ არის და როგორც ჩანს, არც არის საჭირო, - სამედიცინო პრაქტიკაში რა როგორ ინარმოება, ნამდვილად ვერ მოგახსენებთ, იმას კი გეტყვით, რომ ცნობა იმ სამედიცინო დაწესებულებიდან არის მოტანილი, სადაც პაციენტის დედა მუშაობს... ამ თემას აღარ მივუბრუნდებით - ჩვენ სათქმელი ბევრჯერ ვთქვით და ანი, თუკი რამ საეჭვოა და განმარტებას მოითხოვს, ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის გადაგვილოცია - ხვალ გამგეობის საგანგებო სხდომა უნდა შედგეს და იქ განიხილონ გვეტაძის მოქმედების ავ-კარგიანობა და სამართლიანობა...

ტურნირს რაც შეეხება, კვლავ იყოჩალეს ახალბედებმა და ლიდერებს გვარიანი ალიყური აჭამეს - **ქეთი ნანალაშვილი** ავტორიტეტებისთვის ნამდვილ რისხვად იქცა: მეოთხე ტურში თეთრებით ტურნირის პირველი ფავორიტი **ნინო ხურციძე** დაამარცხა, მერვეში კი მის გზას **მაია ლომინეიშვილი** გაუყენა და ამჯერად შავებით მიაღწია საწადელს.

ჩვენს რეპორტაჟებში რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ ნანალაშვილი საოცარი შრომისუნარიანობით და საჭადრაკო სიჯიუტით გამოირჩევა - ბოლო წუთამდე იბრძვის და ხშირად უარესი პოზიციებიდან თავის დაძვრენას ახერხებს. ასე იყო ლომინეიშვილთან მატჩშიც: დებიუტში აჩქარდა, შეცდომით მხედარს მოჰკიდა ხელი და იძულების წესით, მხედრითვე ითამაშა, ამან კი პაიკი დააკარგვინა. ლომინეიშვილმა რახან თავიდანვე მატერიალური უპირატესობა მიიღო, უმალ გადაეშვა შეტევაში და სიფრთხილე დაივიწყა, - საკუთარ პოზიციაში რაღაც-რაღაცების გამაგრება კი იყო საჭირო, ვიდრე იერიშს განახორციელებდა. ასე არ გააკეთა, შეტევამაც არ გაამართლა და როცა ნანალაშვილმა კონტრიერიში წამოიწყო, თავშესაფარი აღარ ჰქონდა. ქეთიმ ზუსტ დაცვას ასევე ზუსტი თავდასხმა შეუნაცვლა და მეორე უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა.



ქეთი ნანალაშვილი

ამ მოგებით ქეთი ლიდერებს მიუახლოვდა და ნამდვილად გაუჩნდა სამეულში მოხვედრის შანსი. ასეთი შანსი **სოფიკო გურამიშვილს** აქამდეც ჰქონდა და გუშინ კიდევ უფრო განიმტკიცა, თუმც ნანალაშვილის დარად 4 ქულა აქვს. სოფოს მეტიც ექნებოდა მერვე ტურში **ინგა ჭარხალაშვილთან** დებიუტში მოპოვებული უპირატესობა რომ სრულად გამოეყენებინა. სოფო კარგად უტევდა, მაგრამ რაღაც მომენტში ზუსტი გაგრძელება ვერ იპოვა და ინგამ თავი ზუსტად დაიცვა.

მერვე ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა **სოფიკო ნიკოლაძემ** - შავებით **ნინო ბაციაშვილი** დაამარცხა. ნიკოლაძეს 2 ქულა გაუხდა და ბოლო ადგილს უკვე ორ მონაწილესთან ერთად იყოფს...

ზედიზედ მეორედ იმარჯვა **სოფიკო ხუხაშვილმა - სოფიკო ტერელაძე** დაამარცხა. თეთრებით ხუხაშვილი იყო. იგი აშკარად კარგ ფორმაშია და ალბათ ერთ-ერთ ფავორიტად ისევ რჩება. დიდი შანსია, ხუხაშვილმა შარშანდელი შედეგი გაიმეოროს, როცა მეორეზე გავიდა, თუმც არც ჩემპიონობაა შორს. ჯერჯერობით 5 ქულით სოფო **ნანა ძაგნიძესა** და **ინგა ჭარხალაშვილთან** ერთად იყოფს პირველობას; 4,5 ქულა მელიას და ლომინეიშვილს აქვთ. თუმც განსხვავება აქ ჩატარებულ პარტიათა რაოდენობაშია: ძაგნიძესა და მელიას ერთით ნაკლები შეხვედრა აქვთ გამართული.

მერვე ტურში სწორედ ძაგნიძე და მელია დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ამ ტურნირზე კარგად მოთამაშე ძაგნიძემ, თეთრი ფერის მიუხედავად სალომეს დამარცხება ვერ შეძლო და იქეთ გაუხდა პარტია დასაცავი, თუმც ვერც მეტოქემ მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა - ყაიმი. ყაიმითვე დასრულდა **ბელა ხოტენაშვილისა** და **ნინო ხურციძის** შეხვედრა. ეს ბრძოლა ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა გუშინდელ დღეს და ცოტა დააკლდა ხანგრლივობის რეკორდით დაემყარებინა - 6 საათი მოუნდნენ მოჭადრაკეები პარტიის დასრულებას.

ინგა ხურცილავა ისვენებდა.

დღეს უკვე მეცხრე ტურია და შეიძლება ითქვას, რომ ფინიშის სწორზე გავიდა ჩემპიონატი. ამიტომ აქედან ყველა ქულას მართლაც ოქროს ფასი ედება. უკვე მივეჩვიეთ და შევთანხმდით, რომ ნებისმიერი წყვილი ძალზედ საინტერესოა. ამ ინტერესს სატურნირო მდგომარეობაც აძლიერებს - სიმჭიდროვე კვლავაც გამოხატული ნიშანია. თუმცა, ალბათ მეცხრე ტურის შემდეგ შეგვეძლება ორი ჯგუფის გამოყოფა - იმათი, ვინც საპრიზოსთვის გააგრძელებს ბრძოლას და იმათი, ვინც ლოკალური ამოცანების გადაწყვეტის წინაშე დადგება.

მერვე ტური: მაია ლომინეიშვილი-ქეთი ნანალაშვილი 0:1; ნინო ბაციაშვილი-სოფიკო ნიკოლაძე 0:1; ნანა ძაგნიძე-სალომე მელია 0,5:0,5; სოფიკო გურამიშვილი-ინგა ჭარხალაშვილი 0,5:0,5; ბელა ხოტენაშვილი-ნინო ხურციძე 0,5:0,5; სოფიკო ხუხაშვილი-სოფიკო ტერელაძე 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 1-3. სოფიკო ხუხაშვილი, ინგა ჭარხალაშვილი, ნანა ძაგნიძე (7 პარტიიდან) - 5; 4-5. სალომე მელია (7), მაია ლომინეიშვილი - 4,5; 6-8. სოფიკო გურამიშვილი, ნინო ხურციძე, ქეთი ნანალაშვილი (7) - 4; 9-10. ბელა ხოტენაშვილი, სოფიკო ტერელაძე - 3; 11-13. ინგა ხურცილავა, სოფიკო ნიკოლაძე (7), ნინო ბაციაშვილი (7) - 2.

მეცხრე ტურში: ტერელაძე-ლომინეიშვილი, ხურციძე-ხურცილავა, ჭარხალაშვილი-ხოტენაშვილი, მელია-გურამიშვილი, ნიკოლაძე-ძაგნიძე, ნანალაშვილი-ბაციაშვილი. ისვენებს ხუხაშვილი.

ზვიად შათირიშვილი



# ვამპირის ყვანჯით ვერ მოიგებ!

რამდენიმე დღის წინ თურქეთის დედაქალაქ ანკარაში ჩატარდა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი დარბაზის ჰოკეიში ქალთა გუნდებს შორის. ტურნირში ბალახის ჰოკეიში საქართველოს ჩემპიონმა ქუთაისის „უქიმერიონმა" მიიღო მონაწილეობა. ქართველი ჰოკეისტებისთვის ევროპის საკლუბო ჩემპიონატი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველაზე სერიოზული ტურნირი იყო. მართალია ქართველმა გოგონებმა ყველა შეხვედრა დათმეს, მაგრამ ამ ეტაპზე მათგან წარმატებებს არავინ ელოდა, მთავარი იყო რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ ქართული გუნდი ევროტურნირებზე დაუშვეს.



პორტუგალიის ჩემპიონის გამოუცხადებლობის გამო თავდაპირველად დაგეგმილი ჯგუფური სისტემის ნაცვლად, ჩემპიონატი წრიული სისტემით ჩატარდა, რომელშიც 7-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. „უქიმერიონმა" შესაბამისად სამის ნაცვლად ექვსი შეხვედრა გამართა. პირველ ტურში ქუთათურები ჩემპიონატის მომავალ გამარჯვებულს ბელგიურ „როიალ ვიქტორის" შეხვდნენ და 0:15 დამარცხდნენ. იმავე დღეს ჩვენმა ჰოკეისტებმა შვედეთის „ვალჰალასთან" 2:10 წააგეს. ტურნირის მეორე დღეს ქართველებმა სერბულ „ბასკთან" და თურქულ „კანკაიასთან" ერთნაირი ანგარიშით 1:10 დათმეს. ტურნირის ბოლო დღეს კი ქართველები უელსურ „ჰარდიანთან""-2:6 და მოლდოვურ „ტიროტექსთან" 2:5 დამარცხდნენ.

ევროპის საკლუბო ჩემპიონატის შესახებ საქართველოს ბალახის ჰოკეის ვიცე-პრეზიდენტი და „უქიმერიონის" უფროსი მწვრთნელი **ავთანდილ თევდორაძე** გვესაუბრა.

- მართალია. ტურნირზე ყველა შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ იმითაც კმაყოფილი ვართ, რომ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება მოგვცეს. საქართველომ და მოლდოვამ ამ ტურნირში პირველად მიიღეს მონაწილეობა. „უქიმერიონმა" ამ ტურნირზე გამოცდილება შეიძინა, რაც სამომავლოდ დიდ სამსახურს გაგვიწევს. მასპინძლებმა ჩვენ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება და პატივისცემა გამოიჩინეს. ინვენტარის მხრივ გვქონდა პრობლემები. ევროპის ფედერაციის მიერ ნაჩუქარმა ინვენტარმა თურქეთამდე დროულად ვერ ჩამოაღწია, რის გამოც მოედანზე წინა საუკუნეში გამოშვებული „ვამპირის" ფირმის ყვანჯებით გამოვედით, რომლსაც ადრე სსრკ-ს ჩემპიონატში ვიყენებდით. ეს ჯოხები ახლა ხმარებიდან ამოღებულია და მისი გამოყენება აკრძალულია. თურქებმა ჩვენი პრობლემა გულთან მიიტანეს და 10 უმაღლესი ხარისხის ჰოკიჯოხი გვაჩუქეს. ეს ყვანჯები ძალიან განსხვავდება იმისგან, რითაც ჩვენი ჰოკეისტები ვარჯიშობდნენ და გოგონებს მისთვის ალღოს აღება გაუჭირდათ. ოთხ შეხვედრაში დიდი ანგარიშით დავმარცხდით, მაგრამ ბოლო ორ შეხვედრაში პროგრესი აშკარად იგრძნობოდა. უელსის „ჰარდიანთან" გოგონებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ გამოუცდელობამ თავი იჩინა და დავმარცხდით. საუკეთესო თამაში მოლდოველებთან ვაჩვენეთ. პირველ ტაიმში 2:0 ვიგებდით და მესამეც შევაგდეთ, თუმცა მსაჯმა გოლი უსამართლოდ გაგვიუქმა. შემდეგ გუნდის წამყვანი მოთამაშე ბელა სიმსივე დაგვიშავდა და თამაში 10 წუთი შეწყდა. ამის შემდეგ გუნდი აირია და საბოლოოდ 2:5 დავმარცხდით. სხვათა შორის თურქეთის გუნდისა და „უქიმერიონის" დაპირისპირება იქაურმა ტელეკომპანიამ პირდაპირ ეთერში გადასცა.

ტურნირის შემდეგ გუნდებმა საუკეთესო მოთამაშეები დაასახელეს და ორმა გუნდმა საუკეთესო თავდამსხმელად **ნანა სოხაძე** დაასახელა. მის მიმართ ბელგრადის გუნდმა გამოთქვა დაინტერესება.

ევროპის ბალახის ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **დევიდ ბალბინიმ** აღნიშნა, რომ ამ ჩემპიონატის შემდეგ ევროპაში გზა ხსნილი გვაქვს და იმედი გამოთქვა, რომ ინტენსიური მხარდაჭერის შემთხვევაში, ორიოდე წელიწადში, ანგარიშგასაწევი გუნდი გვეყოლება.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბორის ბეკერი

ექსპერტის აზრი

# რჩევები ფედერერს

ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა **ბორის ბეკერმა** რამდენიმე რჩევა მისცა **როჯერ ფედერერს** იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიგოს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პეკინის ოლიმპიადა და შეინარჩუნოს პირველი ადგილი რეიტინგში.

დუბაიში მიმდინარე ტურნირის წინ, ფედერერმა განაცხადა, რომ 2004 წელს, ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლისგან ნეგატიური მოგონებები შემორჩა და ამის გამო, ბოლომდე დარწმუნებული არ არის, ღირს თუ არა პეკინის ოლიმპიადაზე თამაში და იქ სხვა სპორტსმენებთან ერთად ცხოვრება. მაგრამ 1992 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ ბორის ბეკერს (მან ოქროს მედალი წყვილთა თანრიგში **მიხაელ შტიხთან** ერთად მოიპოვა) მიაჩნია, რომ თუ ოქროს მედლის მოგება გსურს, ოლიმპიური სულით უნდა განიმსჭვალო. *"ჩემი და შტიხის გამარჯვების მთავარი საიდუმლო სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ოლიმპიურ სოფელში სხვა სპორტსმენების გვერდით ვცხოვრობდით. იმისთვის, რომ საჭირო ტემპი დაიჭირო, მიხვდე, თუ რა არის ოლიმპიადა, უფრო ხშირად უნდა გამოჩნდე სოფელში, თუნდაც ხანმოკლე ურთიერთობები უნდა დაამყარო სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებთან. ვფიქრობ, ასე შენ უფრო მეტ მოტივაციას მიიღებ. ამიტომაც, ფედერერს დაბეჯითებით ვურჩევ, რომ ოლიმპიურ სოფელში დასახლდეს".*

2004 წელს, ათენში შვეიცარიელი მთავარი ფავორიტის რანგში ჩავიდა. ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ როჯერი საბერძნეთიდან ოქროს მედლებს ვერ წაიღებდა, მაგრამ საჩოგბურთო ტურნირის დასაწყისშივე, ფედერერს ჩეხმა **ტომას ბერდიხმა** მოუგო და შვეიცარიელი მინიმუმ ოთხი წლით გამოეთხოვა ოცნების ასრულებას. ფედერერმა მაშინდელი წარუმატებლობის მთავარ მიზეზად ძალიან დიდი აჟიოტაჟი დაასახელა, რადგან ყველგან, სადაც კი ის ჩნდებოდა, ყოველთვის ხალხის მოზღვავება შეინიშნებოდა. მიუხედავად ამისა, ბორის ბეკერი დარწმუნებულია, რომ როჯერმა წარუმატებლობის მიზეზი სხვაგან უნდა ეძებოს და ოლიმპიადის დროს იქ უნდა დასახლდეს, სადაც სხვა სპორტსმენები იქნებიან. *"უკეთესი იქნება, თუ როჯერს საწოლი შვეიცარიის ნაკრებისთვის განკუთვნილ ფლიგელში ექნება. თუ ის რაღაც მომენტში დისკომფორტს იგრძნობს, ასეთ შემთხვევაში მის მეგობარ გოგონას ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ნომერი უნდა ჰქონდეს დაჯავშნული. ეს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნება".*

ბეკერს კარიერაში "დიდი სლემის" ექვსი ტურნირი და ორჯერ დევისის თასი აქვს მოგებული. მაგრამ დღეს, 40 წლის ჩოგბურთელი ოლიმპიადის ოქროს მედალს ყველაზე ძვირფას ჯილდოს უწოდებს. *"ასაკის მატებასთან ერთად უფრო ვრწმუნდები, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის გამარჯვება. ოთხ ოლიმპიადაზე მითამაშია და სამჯერ ხელცარიელი დავრჩი. 1992 წელს, ბარსელონაში ერთეულთა თანრიგს ადრეულ ეტაპზე გამოვეთიშე და ერთადერთი შანსი წყვილებში შტიხთან ერთად გამარჯვება იყო. ჩვენ მეგობრებად არასოდეს ვითვლებოდით, მაგრამ კარგად გვესმოდა, რომ წარმატების მისაღწევად ერთ მთლიან ორგანიზმად უნდა ჩამოვყალიბებულიყავით. დღეს უკან ვიხედები და ვხვდები, რომ ეს ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა".*

კარიერის დასრულების შემდეგ, ბეკერი ტელევიზიაში კომენტატორად მოეწყო, გარდა ამისა პროფესიულ პოკერში ცდის ძალებს - პოკერის ევროპული ტურის შეჯიბრებებში თამაშობს. მისი თქმით, ყველაზე მეტად პოკერში ფსიქოლოგია მოსწონს - *"როცა ვფიქრობ მოწინააღმდეგის აზრებზე, ხოლო ის ფიქრობს, მე რა აზრი მიტრიალებს თავში.*

ბეკერის თქმით, ბანქოს თამაში ATP-ის ტურნირებს შორის პაუზებისას და უიმბლდონზე წვიმის დროს ისწავლა. გერმანელის მიზანია აპრილში, ევროპულის ტურის ფინალში მიიღოს მონაწილეობა. ამ ტურნირზე პოკერის 800 პროფესიონალი შეიკრიბება. თუმცა ბეკერი იმასაც ამბობს, რომ თავად არ აპირებს პროფესიონალი გახდეს - *"ამისთვის არც დრო მაქვს და არც ნიჭი".*

"ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში, ბორისმა ბოლო დროს, ჩოგბურთში ატეხილ საბუკმეიკერო სკანდალებზეც ისაუბრა: *"ჩემი კარიერის დროს, თავად არასოდეს გამიკეთებია ფსონები და არცერთ მსგავს შემთხვევაზე გამიგონია რამე. ვფიქრობ, ეს სკანდალი აშკარად გაბერილია. დიახ, რამდენიმე ჩოგბურთელი გამოიჭირეს, მაგრამ ისინი არასოდეს ყოფილან ათეულის, ოცეულის ან ოცდაათეულის მოთამაშეები. პრეცედენტი, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ არ მგონია, მან დიდი გავლენა მოახდინოს თანამედროვე ჩოგბურთში არსებულ მდგომარეობაზე".*

ბორის ბეკერი სიამოვნებით ადევნებს თვალს მამაკაცთა ჩოგბურთში მიმდინარე ბოლოდროინდელ მოვლენებს. აქ იგულისხმება ფედერერის პოზიციებზე ახალგაზრდა მოთამაშეების შეტევა. *"ვფიქრობ, ეს მოწყენილობა დროში ძალიან გაიწელა. უკვე სამიოთხი წელია ვხედავთ ამ სურათს: არსებობს როჯერ ფედერერი, რომელიც აუცილებლად გაიმარჯვებს. არ ვთვლი, რომ დღეს მას ვინმე მნიშვნელოვნად მიუახლოვდა, მაგრამ ახალგაზრდობა გამარჯვებებზეა დაგეშილი. ამის გამო, როჯერს ორმაგი ენერგიით მოუწევს მუშაობა, რათა მის კარიერას საფრთხე არ დაემუქროს".*

ტურნირების მიმოხილვა

# როდიკი მეტოქეთა დაბომბვას აგრძელებს

დუბაიში მიმდინარე ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. უკვე გამოვლინდა მისი ოთხივე ნახევარფინალისტი, რომელთა შორის, ვერც მსოფლიოს მეორე ჩოგანი მოხვდა - ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** ხეირიანი ვერაფერი დაუპირისპირა ეისების ამერიკელ მანქანა **ენდი როდიკს** და ისევე, როგორც შანშან, ამჯერადაც ინდიან ველსზე სათამაშოდ ისე გავა, ერთი ტურნირიც არ აქვს მოგებული.

უნდა ითქვას, რომ ნადალის მარცხი დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა, რადგან ყველა სპეციალისტი ერთხმად აღიარებს, რომ როდიკი შესანიშნავ ფორმაში იმყოფება და მისი დამარცხება ძალიან ძნელია. ამერიკელის კარგ თამაშს კი მეტწილად მისი უმძლავრესი მოწოდება განსაზღვრავს, რომლის წყალობითაც, ის მეტოქეებს თავის სერვისზე ბრეიკის შანსებს თითქმის არ აძლევს.

ასე იყო გუშინაც. ამერიკელი თავის სერვისზე ბატონობდა, მეტოქისაზე კი თითქმის ყოველთვის ბრეიკისთვის იბრძოდა. მართალია, ნადალმა პირველ სეტში თავისი მოწოდება არ დაუთმო, მაგრამ როდიკის მცირე უპირატესობა ტაიბრეიკზე მის სასარგებლოდ აისახა. მეორე სეტში კი ესპანელმა მცირე წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ შეძლო. როდიკმა ორჯერ შეძლო მისი მოწოდების აღება და შეხვედრასაც ლოგიკური წერტილი დაუსვა.

როდიკმა ორ სეტში 17 ეისის მოწოდება მოასწრო, რისი წყალობითაც, 48 პირველი მოწოდებიდან 38 მოიგო (79 პროცენტი). ნადალს სულ ექვსჯერ ჰქონდა ბრეიკის შანსი, მაგრამ ერთიც ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, როდიკმა ცხრიდან ორჯერ მიაღწია მიზანს და ეს მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

სხვათა შორის, ნადალთან შეხვედრის წინ, როდიკი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ტურნირის დაწყებამდე თავის მწვრთნელს, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ამერიკელ **ჯიმი კონორსს** დაშორდა. ამის მიზეზი კი ის ფაქტი გახდა, რომ კონორსმა სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება აღარ ისურვა.

როდიკის გამარჯვება იმის მომასწავებელია, რომ დუბაის ტურნირს ახალი ჩემპიონი მოევლინება. აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთ სეზონში, დუბაის ტურნირი ოთხჯერ შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** მოიგო, ერთადერთი მარცხი კი 2006 წელს ფინალში, ნადალისგან იწვნია. ფინალის საგზურისთვის როდიკს ავსტრალიის ღიას სერბი ჩემპიონი, **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაუპირისპირდება, რომელმაც გუშინ იოლად დაძლია რუსი **იგორ ანდრეევის** წინააღმდეგობა.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში, ერთმანეთს ესპანელი **ფელისიანო ლოპესი** და რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** დაუპირისპირდებიან. პირველმა ტურნირი თავის თანამემამულე **დავიდ ფერერს** დაატოვებინა, მეორემ კი ტურნირს ფედერერის მძლეველ ბრიტანელ **ენდი მარეის** დაატოვებინა.

აღსანიშნავია, რომ ლოპესს დავიდენკოსთან სულ სამჯერ აქვს ნათამაშები და ყველა მოიგო. მაგრამ მათი ბოლო შეხვედრა ოთხი წლის წინათ გაიმართა, მას შემდეგ კი რუსმა საჩოგბურთო ელიტაში შეაღწია. ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა, რუსმა პირველად შეძლო დუბაის ტურნირის ნახევარფინალში გასვლა.

რაც შეეხება ლოპესს, მან ჯერ ჩეხი **ტომაშ ბერდიხის** დამარცხებით მოახდინა მინი-სენსაცია, ახლა კი მასზე გაცილებით ტიტულოვან ფერერსაც გაუსწორდა. ლოპესი ძლიერი ჩოგბურთელია, მაგრამ ამ ორი ჩოგბურთელის დამარცხებაში სენსაციური ის იყო, რომ დუბაიმდე მას ხუთი თამაშიდან მხოლოდ ერთი ჰქონდა მოგებული.

პარალელურად, ლას ვეგასში მიმდინარე ტურნირს მეორე წრეში გამოეთიშა მისი სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი**, რომელიც ფრანგმა **ჟულიან ბენეტიუმ** დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ჰიუიტს ლას ვეგასში აქამდე სულ ექვსჯერ უასპარეზია და ხუთჯერ ფინალში გასვლა შეძლო.



რაფას გუდა-ნაბადი აკვრევინეს

**ATP**

**Dubai Tennis Championships**

დუბაი (საემიროები). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 426 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-მიხაილ ლედოვსკიხი (რუს) 6:4, 6:0; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:3, 7:6 (3); **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 3:6, 7:5, 6:1; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 5)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) 6:1, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-პოლ-ანრი მატიო (საფ) 6:3, 6:4; **იგორ ანდრეევი (რუს)**-რიშარ გარსკე (საფ, 7) 6:3, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ტომას ბერდიხი (ჩეხ, 8) 6:2, 7:5; **ენდი მარეი (ბრიტ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:3, 3:6, 7:6 (5).

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ფერერი (4)-ლოპესი; მარეი-დავიდენკო (5); როდიკი (6)-ნადალი (2); ჯოკოვიჩი (3)-ანდრეევი.

**Tennis Channel Open**

ლას ვეგასი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 436 000 დოლარი

**II წრე**

**გილერმო კანიასი (არგ, 4)**-კრის გუჩიონე (ავსტრა) 6:2, 7:5; **ამერ დელიჩი (აშშ)**-პოტიტო სტარაჩე (იტა, 5) 6:3, 3:0 სტარაჩეს უარი; **ჟულიან ბენეტო (საფ)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 2) 6:3, 7:5; **სემ კერი (აშშ)**-ნიკოლას კიფერი (გერ, 8) 6:3, 6:1.

**WTA**

**Bangalore Open**

ბანგალორი (ინდოეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**II წრე**

**სერენა უილიამსი (აშშ, 3)**-ციპორა ობზილერი (ისრ) 7:5, 6:0; **პატი შნიდერი (შვეიც, 4)**-აიკო ნაკამურა (იაპ) 6:7 (1), 6:4, 6:2; **ანასტასია როდიონოვა (რუს)**-სიბილ ბამერი (ავსტრია, 6) 7:6 (5), 6:2.

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-დეტროიტი 90:78**

23:13, 24:24, 22:30, 21:11

**ბოსტონი:** გარნეტი (31 ქ. 6 მ), რონდო (16 ქ. 5 პ), პირსი (15 ქ. 5 პ), პერკინსი (10 ქ. 20 მ. 2 დ).

**დეტროიტი:** ბილაპსი (23 ქ. 7 პ), რ. უოლასი (23 ქ), რ. ჰამილტონი (15 ქ).

**შარლოტი-გ. სტეიტი 118:109**

25:38, 34:19, 34:29, 25:23

**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (42 ქ. 7 მ), ფელტონი (22 ქ. 6 მ), ოკაფორი (16 ქ. 11 მ. 3 დ), ბოკინსი (12 ქ), დადლი (10 ქ. 18 მ. 2 დ).

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (32 ქ. 8 მ. 5 პ), ბ. დევისი (30 ქ), ს. ჯექსონი (21 ქ. 7 მ).

**იუტა-მინესოტა 105:76**

26:20, 25:19, 29:16, 25:21

**იუტა:** დ. უილიამსი (21 ქ. 11 პ), რ. ბრიუერი (16 ქ. 8 მ), ბუზერი (16 ქ. 14 მ), ოქური (15 ქ. 9 მ), კორვერი (12 ქ).

**მინესოტა:** ფოიე (18 ქ), სნიდერი (16 ქ), მაკკენტსი (12 ქ), ე. ჯეფერსონი (11 ქ. 10 მ), კ. სმიტი (11 ქ. 3 ჩ).

**ჰიუსტონი-ინდიანა 117:99**

34:27, 32:22, 28:29, 23:21

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (25 ქ. 6 მ. 5 პ), ალსტონი (21 ქ. 7 პ. 2 ჩ), ჰედი (14 ქ. 3 ჩ), სკოლა (13 ქ. 7 მ), ლანდრი (13 ქ. 7 მ).

**ინდიანა:** გრეინჯერი (17 ქ. 2 ჩ), მერფი (17 ქ. 10 მ. 6 პ), რ. მიურეი (14 ქ), მ. დანლივი (13 ქ. 6 პ. 2 ჩ), დიენერი (11 ქ).

**კლიპერს-საკრამენ 116:109 (2 ო)**

24:25, 19:19, 23:20, 25:17, 6:6 19:12

**კლიპერსი:** ტორნტონი (27 ქ. 4 დ), მაგეტი (25 ქ. 8 პ), დიკაუ (20 ქ), კამანი (17 ქ. 11 მ. 4 დ), ნაიტი (10 ქ. 7 პ. 2 ჩ), პაუელი (10 ქ. 11 მ).

**საკრამენტო:** უდრიხი (25 ქ), მური (20 ქ), დუბი (14 ქ), სალმონსი (13 ქ. 6 მ. 2 ჩ), გარსია (12 ქ. 5 პ), ჰოუსი (10 ქ. 8 მ. 2 დ).

**მაიამი-ტორონტო 83:108**

17:29, 25:24, 16:27, 25:28

**მაიამი:** ბენქსი (21 ქ), რ. დევისი (16 ქ. 2 ჩ), უეიდი (16 ქ), ბარონი (10 ქ), მერიონი (5 ქ. 14 მ).

**ტორონტო:** ნესტეროვიჩი (16 ქ. 10 მ), მუნი (14 ქ. 9 მ. 4 ჩ. 3 დ), ტი. ჯეი. ფორდი (14 ქ. 5 პ), ე. პარკერი (12 ქ), ბარნიანი (12 ქ), კალდერონი (9 ქ. 13 პ).

**მემფისი-ნიუ ჯერსი 100:98**

29:21, 24:32, 20:20, 27:20

**მემფისი:** ურრიკი (25 ქ. 7 მ), მ. მილერი (22 ქ. 6 მ. 2 ჩ), მილიჩიჩი (16 ქ. 11 მ. 2 დ), ლოური (15 ქ. 7 პ), გეი (13 ქ. 10 მ).

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (22 ქ), დ. ჰარისი (20 ქ. 8 პ), კრსტიჩი (16 ქ. 9 მ. 2 ჩ), ვ. კარტერი (12 ქ. 4 ჩ), მარკუს უილიამსი (11 ქ. 8 პ).

**მილუოკი-სიეტლი 118:106**

39:24, 30:30, 29:29, 20:23

**მილუოკი:** ვილიანოვა (32 ქ. 11 მ. 2 დ), ბოგუტი (21 ქ. 13 მ. 7 პ. 4 დ. 2 ჩ), ჩ. ბელი (17 ქ. 5 პ), დ. მეისონი (16 ქ), რედი (15 ქ. 7 პ).

**სიეტლი:** დიურანი (23 ქ. 3 ჩ), ე. უოტსონი (17 ქ. 8 პ), უილკინსი (17 ქ), პეტრო (11 ქ. 15 მ), კოლისონი (10 ქ. 9 მ), ჯ. გრინი (10 ქ. 3 ჩ. 3 დ).

**ნიუ ორლეანი-ატლანტა 116:101**

28:20, 30:29, 30:22, 28:20

**ნიუ ორლეანი:** სტოიაკოვიჩი (29 ქ. 9 მ), პოლი (23 ქ. 18 პ. 2 ჩ), პარგო (22 ქ), ტ. ჩენდლერი (14 ქ. 16 მ. 4 დ), ჯ. რაიტი (13 ქ. 7 მ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (24 ქ. 2 ჩ), ბიბი (21 ქ), ჯოშ სმიტი (12 ქ. 7 მ. 2 დ), ჩილდრესი (12 ქ. 9 მ), მერვინ უილიამსი (11 ქ).

**ნიუ იორკი-კლივლენდი 105:119**

27:27, 27:31, 28:26, 23:35

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (25 ქ. 2 ჩ), ნ. რობინსონი (24 ქ), კარი (20 ქ. 2 ჩ), ლი (17 ქ. 8 მ), უ. ჩენდლერი (10 ქ. 7 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (50 ქ. 10 პ. 8 მ. 4 ჩ), დეიმონ ჯოუნსი (15 ქ), დევინ ბრაუნი (14 ქ), დელონტე უესტი (10 ქ).

**ვაშინგტონი-ორლანდო 92:122**

20:34, 24:25, 23:30, 25:33

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (19 ქ. 6 მ), სტივენსონი (17 ქ), ნ. იანგი (15 ქ. 6 მ), პეჩეროვი (15 ქ), რ. მეისონი (14 ქ. 3 ჩ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (20 ქ. 11 მ. 2 ჩ), ბოგანსი (17 ქ), რ. ლუისი (17 ქ. 2 ჩ), მ. ევანსი (17 ქ. 6 მ. 2 ჩ), თურქოღლუ (12 ქ), აროიო (11 ქ. 6 პ).

**დენვერი-ფინიქსი 126:113**

32:36, 36:25, 33:28, 25:24

**დენვერი:** აივერსონი (31 ქ. 12 პ), ენტონი (30 ქ. 13 მ. 2 დ), ჯეი. არ. სმიტი (20 ქ), კენიონ მარტინი (17 ქ. 2 ჩ), ე. კარტერი (11 ქ. 11 პ. 2 ჩ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (22 ქ. 6 მ), დიაო (17 ქ. 6 მ. 2 ჩ), ბარბოსა (15 ქ), გ. ჰილი (13 ქ), ნეში (12 ქ. 13 პ), შ. ონილი (12 ქ. 18 მ), რ. ბელი (11 ქ), გირიჩეკი (11 ქ).

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# ვალენსია საუკეთესო მძლეოსნებს მასპინძლობს

დღეს, ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში სტარტს აიღებს მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი დახურული არენებისთვის. რა თქმა უნდა, ოლიმპიურ სეზონში, სპორტის დედოფლის ვარსკვლავებისთვის მთავარი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაა, რის გამოც, ბევრი მათგანი ვალენსიაში გამოსვლისგან თავის შეკავებას ამჯობინებს, თუმცა მძლეოსნობის მოყვარულებს მაინც არაერთი საინტერესო ასპარეზობის ხილვა ელის.

მით უმეტეს, რომ ქალთა ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან უბერებელი მოზამბიკელი მორბენალი **მარია დე ლურდეს მუტოლა**, დისტანციაზე მორბენალი ეთიოპიელი სენსაცია **მესერეტ დეფარი**, რუსი ჭოკით ხტომის დედოფალი **ელენა ისინბაევა** და 60 მეტრზე თარჯმრბენი, შვედი **სუზანა კალური**.

არანაკლებ საინტერესო იქნება კაცების ასპარეზობა, სადაც მაყურებელს დაძაბული პაექრობა ელის 60 მეტრზე თარჯრბენში, ბირთვის კვრასა და საშუალო დისტანციებზე სირბილში. რაც შეეხება სიმაღლეზე ხტომას, აქ შვედი ოლიმპიური ჩემპიონი **სტეფან ჰოლმი** მსოფლიოს ჩემპიონის (დახურულ არენაზე) ტიტულის მეოთხედ მოსაპოვებლად იბრძოლებს.

კაცების სპრინტში იასპარეზებს ევროპის ყოფილი ჩემპიონი ბრიტანეთიდან, დოპინგის გამოყენებისთვის სასჯელმოხდილი **დუაინ ჩემბერსი**, ვისთვისაც ნებისმიერ შემთხვევაში, პეკინის კარი ჩაკეტილი დარჩება.

მძლეოსნობის ისტორიაში, მუტოლა დახურული არენების ყველაზე ტიტულოვანი ათლეტია (ორივე სქესის სპორტსმენებს შორის). 800 მეტრზე სირბილში, მსოფლიო ჩემპიონატებზე მას ოქროს შვიდი მედალი აქვს მოპოვებული. სულ კი, ამ დისტანციაზე 15 სეზონია, ბადალი არ მოეპოვება და თითზე ჩამოსათვლელი გარბენი აქვს ნაგებული. ეს სეზონი მუტოლასთვის ბოლოა სპორტულ კარიერაში – პეკინში ასპარეზობის შემდეგ, ის სპორტიდან წასვლას გეგმავს.

*"ამ სეზონისთვის ორი ოცნება მაქვს. ჯერ მინდა, რომ ვალენსიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კიდევ ერთხელ დავიცვა. მერე კი პეკინში ოლიმპიური ოქროს მედლის ალებას ვაპირებ"*, - ამბობს 35 წლის მუტოლა, ვინც სიდნეის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა და შეიქნა პირველი მოზამბიკელი ოლიმპიური ჩემპიონი. ვალენსიაში მას კონკურენციას ესპანელი **მაიტე მარტინესი** და რუსი **ნატალია იგნატოვა** გაუწევენ.

ვალენსიაში სულ ოთხი ისეთი სპორტსმენი იასპარეზებს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულებს დახურულ და ღია არენებზეც ფლობენ. მათ შორისაა დეფარიც, ვინც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია 5 000 მეტრზე სირბილში. მასვე მსოფლიოს რეკორდი ეკუთვნის ორ მილზე (დაახლოებით 3.2 კმ) დახურულ არენაზე სირბილში. დეფარი ვალენსიაში 3 000 მეტრზე იასპარეზებს და თუ მოიგო, ამით რუმინელი **გაბრიელა საბოს** მიღწევას გაიმეორებს. დეფარი 1 500 მეტრზეც გამოვა, სადაც მას კონკურენციას ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდის ავტორი, რუსი **ელენა სობოლევა** გაუწევს.

რაც შეეხება ისინბაევას, მან ეს სეზონი მსოფლიოს მორიგი რეკორდის დამყარებით დაიწყო – დონეცკში 4.95 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და კარიერაში 21-ე რეკორდი დაამყარა. მაგრამ ორიოდე კვირის წინ, მანვე ბოლო ოთხ სეზონში პირველი მარცხი იწვნია...

ამ სეზონში დახურული არენების რეკორდით გამოიჩინა თავი კალურმაც, ვინც ერთი თვის წინ, კარლსრუეში (გერმანია) ასპარეზობისას, 60 მეტრზე თარჯრბენში ახალი ზღვარი - 7.68 წამი დაანესა.

რა თქმა უნდა, საინტერესო იქნებოდა სახელოვანი შვედი შვიდჭიდელის, **კაროლინა კლუფტის** გამოსვლა, მაგრამ ამან ტრავმის გამო, ვალენსიაში ასპარეზობისგან თავი შეიკავა. მის არყოფნაში კი ხუთჭიდში (დახურულ არენებზე შვიდჭიდს ხუთჭიდი ცვლის) ფავორიტად ბრიტანელი **კელი სოთერტონი** მოიაზრება.

თქმა არ უნდა, ვალენსიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავი ჰოლმია. მართალია, 31 წლის მხტომელი ბოლო ხანს არც ისეთი სტაბილურია, როგორც ადრე, მაგრამ ის ვალენსიისთვის კარგადაა მომზადებული. მიზნის მიღწევაში მისთვის ხელის შეშლას ეცდებიან სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, რუსი **იაროსლავ რიბაკოვი** და მისი თანამემამულე **ანდრეი ტერეშინი**.

ბირთვის კვრაში ორი ამერიკელის, მსოფლიოს ჩემპიონ (დახურულ და ღია არენებზე) **რიიზი ჰოფასა** და **კრისტიან კენტუელის** დუელია მოსალოდნელი. მართალია, ჰოფას ტიტულებით ვერ შეედრება, თუმცა კენტუელი ამ სეზონში ერთადერთი ათლეტია, ვინც დახურულ არენაზე ბირთვი 22 მეტრზე შორს (22.18) გაისროლა.

არანაკლებ საინტერესო დუელს ელოდეთ კაცების 60 მეტრზე თარჯრბენში, სადაც ერთმანეთს ორი ვარსკვლავი - ჩინელი ოლიმპიური ჩემპიონი **ლიუ სიანი** და კუბელი **დეირონ რობლესი** დაუპირისპირდება. როგორც ამბობენ, მათ პაექრობაში სერიოზული საფრთხე ემუქრება ბრიტანელი (უელსელი) **კოლინ ჯექსონის** 14-წლოვან რეკორდს (7.30 წამი)...

**მერაბ ლორთქიფანიძე**



მუტოლა ვალენსიაში მერვე ოქროს უმიზნებს

ფორმულა 1

## უილიამსს ახალი ტესტ-პილოტი ჰყავს

GP2-ის სერიის ესპანელ პილოტს, **ბორხა გარსიას** სულ მალე "უილიამსის" მეორე ტესტ-პილოტად დაამტკიცებენ.

გაზეთ AS-ის ცნობით, მოლაპარაკებები, პრაქტიკულად, დასრულებულია. როგორც ჩანს, 25 წლის ავტომრბოლის კანდიდატურას ვალენსიას მთავრობა უჭერს მხარს. ცნობილია, რომ "უილიამსს" სურს ამ ქალაქში თავისი სატესტო გუნდისთვის ბაზა დააარსოს.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანული საჯინიბოს პირველი ტესტ-პილოტი ინდოელი **ნარაიან კართიკეიანი** გახლავთ.

ჩოგბურთი

## ჰაასი დევისის თასზე არ იქნება

დუბაიში მიმდინარე ტურნირის პირველ წრეში, ესპანელ **დავიდ ფერერთან** ნაგების შემდეგ, გერმანელი **ტომი ჰაასი** ჟურნალისტებს შეხვდა, სადაც განაცხადა, რომ აპრილში, დევისის თასის მეოთხედფინალში მონაწილეობას არ მიიღებს. ამ ეტაპზე გერმანელებს საკუთარ მოედანზე ესპანეთის ნაკრებთან უწევთ შეხვედრა.

*"სულაც არ ვთვლი თავს გერმანიის პირველ ან მეორე ჩოგნად და მგონია, რომ სხვები ჩემზე მეტად იმსახურებენ ნაკრებში თამაშს"*, - განაცხადა ჰაასმა.

დევისის თასის მეოთხედფინალური მატჩები 11-13 აპრილს გაიმართება.

## პაესი და ბჰუპატი შეარიგეს

ინდოეთის ჩოგბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ დაარწმუნა **ლეანდერ პაესი** და **მაეშ ბჰუპატი**, რომ მათ უნდა დაივიწყონ ერთმანეთის მიმართ ყოველგვარი წყენა და პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე წყვილთა თანრიგში პირველობისთვის იბრძოლონ.

*"ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ, რომ პაესისა და ბჰუპატის წყვილი სერიოზულ ძალას წარმოადგენს და მათ მედლებისთვის ბრძოლა შეეძლებათ"*, - წერია ფედერაციის განცხადებაში.

სანამ ერთმანეთთან წაიჩხუბებდნენ, პაესმა და ბჰუპატიმ "დიდი სლემის" სამი ტურნირი მოიგეს. ისინი ათენის ოლიმპიადაზეც თამაშობდნენ, მაგრამ იქ მესამე ადგილისთვის შეხვედრა დათმეს.

2006 წელს, ჩოგბურთელებმა აზიის თასზე გაიმარჯვეს, მაგრამ ამის შემდეგ განაცხადეს, რომ აღარასოდეს ითამაშებდნენ ერთად. ისინი პირობას დღემდე ასრულებდნენ. წელს, ბჰუპატი ბაჰამის კუნძულების წარმომადგენელთან, **მარკ ნოულზთან** ერთად თამაშობს და ამ წყვილმა ერთი კვირის წინ, მემფისის ტურნირი მოიგო. რაც შეეხება პაესს, ის ავსტრალიელ **პოლ ჰენლისთან** ქმნის დუეტს.

ჰოკეი

## კინგზი ძირითადი მეკარის გარეშე დარჩა

"ლოს ანჯელეს კინგზმა" სეზონის ბოლომდე დაკარგა ძირითადი მეკარე **ჯეისონ ლაბარბერა**. გოლკიპერს ტრავმის სამკურნალოდ ოპერაცია ესაჭიროება.

28 წლის მეკარე საზარდულის დაზიანების გამო 18 თებერვლის მერე არ გასულა მოედანზე. ამ სეზონში ლაბარბერამ 42 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 17 გამარჯვებას მიაღწია. ერთ შეხვედრაში მან შათაუტი შეასრულა.

რეგულარულის დარჩენილ მატჩებში "ლოს ანჯელესის" განკარგულებაში ორი მეკარე იქნება - ვეტერანი **დენ კლუტიე** და შვედი ახალბედა **ერიკ ერსკინი**.

ტრამპლინიდან ხტომა

## მორგენშტერნმა მსოფლიო თასი მოიგო

წლევანდელ მსოფლიო თასზე კიდევ ხუთი ეტაპია გასამართი, მაგრამ უკვე ცნობილი გახდა ამ სეზონის ტრიუმფატორის ვინაობა. ფინეთის კურორტ კუოპიოში გამართული მორიგი ეტაპის შემდეგ, ავსტრიელმა **ტომას მორგენშტერნმა** 543 ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარს და მსოფლიო თასის მფლობელად გამოცხადდა.

კუოპიოში პირველობა ადგილობრივ მოთხილამურეს, **იანე აჰონენს** ხვდა წილად, რომელიც მეორე ადგილისთვის ებრძვის ავსტრიელ **შლირენცაუერს**. მათ შორის ქულათა სხვაობა 113-ს შეადგენს. მეორეზე ავსტრიელია, მესამეზე - ფინელი.

# TV სპორტი

### 7 მარტი. პარასკევი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** უიქენდის მატჩების ანონსი.
**13:25** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ოლიმპიაკოსი.
**15:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-არსენალი.
**17:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
**19:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:45** უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. მარსელი-ზენიტი.
**21:30** საფეხბურთო კლუბი.
**22:25** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**22:55** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:25** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰერტა (LIVE).
**01:25** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:40** სასტვენი.
**02:10** საფეხბურთო კლუბი.
**03:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

### SPORT 1 (უკრაინა)

**08:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-კაროლინა.
**10:15** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**10:33** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. IV ტური. პანათინაიკოსი-ეფესი.
**12:11** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-არსენალი.
**14:04** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ვალენსია.
**15:51** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. IV ტური. რომა-ცსკა.
**17:29** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების მიმოხილვა.
**18:34** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**19:02** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-რეინჯერსი.
**20:50** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**21:03** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:36** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
**22:05** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**22:20** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**22:50** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:15** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**23:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰერტა (LIVE).
**01:25** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**01:38** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**02:40** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**02:51** ფეხბურთი. Barca TV.
**02:58** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-არსენალი.
**04:03** სპორტდოსიე.
**04:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-მინესოტა (LIVE).
**07:08** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. IV ტური. პანათინაიკოსი-ეფესი.

### EUROSPORT

**11:30** მძლეოსნობა. ჭოკით ხტომა. დონეცკი. უკრაინა.
**12:00** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 10 კმ. სპრინტი. ხანტი-მანსიისკი. რუსეთი.
**13:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. კვალიფიკაცია. ლილეჰამერი. ნორვეგია.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**15:45** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**17:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**18:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები.
**19:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**20:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS127. ლილეჰამერი. ნორვეგია (LIVE).
**21:45** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:15** მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. I დღე. ვალენსია. ესპანეთი (LIVE).
**00:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატარის გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
**02:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:30** ექსტრემალური სპორტი.
**03:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები.
**04:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
**14:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ბენფიკა-ხეტაფე.
**14:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
**15:30** ახალი ამბები.
**17:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
**18:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**19:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეიოფი. ნოვარა (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია).
**20:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. რუსეთი.
**22:00** ექსტრემალური სპორტი.
**22:30** ახალი ამბები.
**22:45** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**23:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**23:30** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XIII ტური. კასტრი-ბიატრიცი (LIVE).
**01:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ფიორენტინა-ევერტონი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**02:30** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**03:00** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| გრეტნა-დანდი იუნ | 0:3 |

**ფინეთი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ტამპერე-ჰონკა | 3:0 |
| მარიეჰამნი-ინტერი | 0:3 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-რეალი | 69:83 |
| მაკაბი-ოლიმპიაკოსი | 82:87 |
| რომა-ცსკა | 54:82 |
| პანათინაიკოსი-ეფესი | 74:65 |

### ჰოკეი

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-მარტინი | 3:2 |
| ზვოლენი-სკალიცა | 4:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| სიოდერტალიე-მოდო | 2:2 |
| სკელეფტეო-ჰვ 71 | 4:3 |
| იურგორდენი-ლინჩოპინგი | 3:4 |
| მორა-ლულეო | 1:2 |
| ტიმრო-ბრიუნესი | 4:1 |
| ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 1:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბუდეიოვიცე-კლადნო | 2:0 |
| სლავია-ტრშინეცი | პენ. 1:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| დავოსი-ცუგი | 7:6 |
| ფრიბურგი-ბერნი | 2:2 |
| რაპერსვილი-სერვეტი | 1:3 |
| ციურიხი-კლოტენი | 1:1 |

### ჩოგბურთი

**ATP. დუბაი**

| | |
|---|---|
| ფერერი-ბერდიხი | 4:6, 3:6 |
| მარეი-დავიდენკო | 5:7, 4:6 |
| ნადალი-როდიკი | 6:7, 2:6 |
| ჯოკოვიჩი-ანდრეევი | 6:2, 6:1 |

**ATP. ლას ვეგასი**

| | |
|---|---|
| გონსალესი-კოროლიოვი | 3:6, 6:7 |
| გულბისი-ლუჩაკი | 6:2, 6:1 |

**WTA. ბანგალორი**

| | |
|---|---|
| სავჩუკი-იან ჟი | 2:6, 1:6 |
| ვ. უილიამსი-პენგი | 6:2, 6:7, 6:2 |
| იანკოვიჩი-მამიჩი | 6:2, 6:2 |

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ვაშინგტონი 1:3**

0:1, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ოვეჩკინი-53 (ბექსტრომი-47, კოლცოვი-2), 1:1 კოტალიკი-20 (პომინვილი-41, შპაჩეკი-22), 1:2 ბექსტრომი-11 (ვიქ. კოზლოვი-29), 1:3 ოვეჩკინი-54 (ვიქ. კოზლოვი-30, იურჩინა-8).

**ატლანტა-კაროლინა 3:6**

1:2, 1:2, 1:2

გოლები: 1:0 ტორნბრუნი-3 (პოლიკი-14, კოვალჩუკი-30), 1:1 ს. უოკერი-8 (ფ. კაბერლე-16, კ. ოკუანი-6), 1:2 ბეიდა-3 (ს. უოკერი-16), 1:3 კორვო-9 (სამსონოვი-15, კულენი-34), 1:4 ე. კოული-18 (ე. სტაალი-31, ფ. კაბერლე-17), 2:4 კრისტენსენი-10, 2:5 ე. კოული-32 (ე. კოული-25, ლეტოვსკი-6), 3:5 კოვალჩუკი-43 (კლი-8, ჟიტნიკი-5), 3:6 33 (ფ. კაბერლე-18).

**დეტროიტი-სენტ ლუისი 4:1**

1:1, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 დაციუკი-24 (კოპეცკი-6, ჰოლმსტრომი-20), 1:1 ე. ჯონსონი-4 (ჯეკმენი-7, ტკაჩუკი-27), 2:1 ფრანცენი-14 (სამუელსონი-26, ზეტერბერგი-40), 3:1 რაფალსკი-11 (დაუნი-2, ლილია-10), 4:1 დაციუკი-25.

**ჩიკაგო-ანაჰაიმი 3:0**

1:0, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 ბიფიგლიონი-15 (ბარკერი-7, კეინი-40), 2:0 ბარკერი-4 (კეინი-41, ბიფიგლიონი-15), 3:0 შარპი-33 (სიბრუკი-16).

**დალასი-ფინიქსი 1:2**

0:1, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 პ. მიულერი-20 (ჟ. პერო-10, ზ. მიხალეკი-11), 0:2 დოუნი-21 (ვრბატა-26, ჟოვანოვსკი-36), 1:2 ვინჩესტერი-1 (პეტერსონი-1, ს. ბარნსი-10).

**სან ხოსე-ოტავა 3:2 (ო)**

0:0, 0:1, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 სპეცა-26 (ჰიტლი-38, კელი-16), 1:1 მარლო-12 (ბ. კემპბელი-42, რივე-28), 1:2 სპეცა-27 (სტილმანი-33, მეზაროში-21), 2:2 ჩიჩუ-21 (ჯ. ტორნტონი-60, მ. მიხალეკი-24), 3:2 მარლო-13 (დ. მიურეი-9, პაველსკი-13).

## სხვადასხვა

### კალათბურთი

## დენვერს ატკინსი უბრუნდება

"დენვერ ნაგეტსის" მცველი **ჩაკი ატკინსი** დღეს დაუბრუნდება მოედანს. გამთამაშებელმა საზარდულის ტრავმის გამო ორი თვე გამოტოვა.

*"პარტნიორებთან ერთად სრული დატვირთვით ვივარჯიშე. მოედანზე მთელი ერთი საათი დავყავი, თუმცა დაღლილობა არ მიგრძვნია და იოლად შევასრულე ყველა ვარჯიში"*, - განაცხადა სააგენტო "როიტერთან" საუბარში კალათბურთელმა.

## ნავაროს ახალი კონტრაქტი უნდა

"მემფის გრიზლისის" ესპანელ მცველს, **ხუან კარლოს ნავაროს** თავის კლუბთან უფრო სარფიანი კონტრაქტის გაფორმება აქვს განზრახული.

*"გუნდში დარჩენა მინდა. "მემფისმა" ძალიან ბევრი თამაში წააგო და მსურს, გუნდს გამარჯვებების მიღწევაში დავეხმარო. ამ ეტაპზე ჩემი მთავარი ამოცანაა სეზონის დარჩენილი მატჩების მაღალ დონეზე ჩატარება და შემდეგ მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმება"*, - განაცხადა ნავარომ.

თუმცა კლუბში ჯერ მზად არ არიან ესპანელთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად. ამ სეზონის შემდეგ, ნავარო შეზღუდული უფლებების თავისუფალი აგენტი ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ "მემფისს" ორი კვირა ექნება იმისთვის, რომ ევროპელ ლეგიონერთან ხელშეკრულება გააგრძელოს.

## ანდერსენს ლიგაში თამაშის ნება დართეს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** დააკმაყოფილა ფორვარდ **კრის ანდერსენის** თხოვნა და მას NBA-ის მოთამაშის სტატუსი აღუდგინა. ანდერსენი 2006 წლის იანვარში ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს იმის გამო, რომ ნარკოტიკებზე ჩატარებულმა ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

29 წლის კალათბურთელზე უფლებები "ნიუ ორლეან ჰორნეთს" აქვს, რომელიც მზად არის ანდერსენთან კონტრაქტი გააფორმოს, როგორც კი ფორვარდი სამედიცინო შემოწმებას გაივლის. თუ "ნიუ ორლეანი" 30 დღის განმავლობაში არ გაიფორმებს ანდერსენს, ეს უკანასკნელი თავისუფალი აგენტი გახდება და ნებისმიერ კლუბში შეეძლება გადასვლა.

## არენასი უიზარდსთან კონტრაქტს გაწყვეტს

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ "ვაშინგტონის" ლიდერმა **გილბერტ არენასმა** ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველი სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა. გუშინვე გახდა ცნობილი, რომ მომავალ წელს მცველი აპირებს კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტოს, რათა NBA-ის რომელიმე გუნდთან ასოციაციის წესებით დაშვებული მაქსიმალურად სარფიანი ხელშეკრულება გააფორმოს.

*"რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, მომავალ ზაფხულს ნომერ პირველი თავისუფალი აგენტი ვიქნები. ყველამ იცის, რომ პრაქტიკულად, "ცალი ფეხით" ვაგროვებდი 22 ქულას. ამ სეზონში ჩემი დაბრუნება კონტრაქტს არ უკავშირდება. პირიქით - მე რომ ტრავმა მივიღო, მაშინ ვინ მოისურვებს ისეთ მოთამაშესთან კონტრაქტის გაფორმებას, რომელსაც მუხლებთან დაკავშირებული პრობლემები აქვს?"*, - მოჰყავს არენასის სიტყვები გაზეთ Washington Times-ს.

## ნოვიცკი ერთი მატჩით დასაჯეს

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა "დალას მავერიქსის" ლიდერი **დირკ ნოვიცკი**. ეს სასჯელი იმით არის განპირობებული, რომ გერმანელმა ფორვარდმა "იუტა ჯაზის" რუს ლეგიონერს, **ანდრეი კირილენკოს** მძიმე ტრავმა მიაყენა, რის გამოც ამ უკანასკნელს სამი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

ნოვიცკიმ დისკვალიფიკაცია უკვე მოიხადა - მას დღეს "ჰიუსტონ როკეტსის" წინააღმდეგ არ უთამაშია.

## ბიედრინსი გამოჯანმრთელდა

**კრის უებერის** ტრავმის შემდეგ, "გოლდენ სტეიტ უორიორზს" ცენტრის პოზიციაზე სერიოზული პრობლემები შეექმნა. ამის გამო, რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩში ("ატლანტა ჰოქსის" წინააღმდეგ) ცენტრალურ თავდამსხმელად ფორვარდი **ბრენდან რაიტი** მოგვევლინა. მაგრამ, როგორც ჩანს, "მეომრები" მალე მოაგვარებენ ამ პრობლემას. გუნდს უბრუნდება ტრავმამოშუშებული ლატვიელი ლეგიონერი **ანდრის ბიედრინსი**. ის უკვე დღეს დაეხმარება **დონ ნელსონის** გუნდს.

*"იმედი მაქვს, რომ პარასკევს "მაიამის" წინააღმდეგ მოედანზე გავალ. ბევრი რამ ჩემს კონდიციებზე იქნება დამოკიდებული. დონ ნელსონი მოედანზე სწრაფად გადაადგილებას გვთხოვს და ამ ტემპს უნდა გავუძლო"*, - ამბობს ლატვიელი.

## რაილი ყველაზე არასასურველი მწვრთნელია

გაზეთმა Palm Beach Post-მა NBA-ის მოთამაშეებს შორის საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა. კალათბურთელებს უნდა გაერკვიათ, ვინ არის ის მწვრთნელი, რომლის ხელმძღვანელობითაც მათ ყველაზე ნაკლებად სურთ თამაში. გამოიკითხა 242 მოთამაშე და მათმა 28 პროცენტმა "მაიამი ჰიტის" დამრიგებელთან, ლეგენდარულ **პატ რაილისთან** არ ისურვა თანამშრომლობა.

*"სწორად გამიგეთ, რაილი შესანიშნავი მწვრთნელია, მაგრამ მას არ უნდა გაიგოს, რომ დრო შეიცვალა. დღეს უფრო მნიშვნელოვანია, თუ მოთამაშეს მეგობრულად მიუდგები"*, -აცხადებს რალის ყოფილი შეგირდი **ანტუან უოკერი**.

გამოკითხვაში მეორე ადგილი სამმა მწვრთნელმა გაიყო - **ჯერი სლოუნმა** ("იუტა ჯაზი"), **აიზია ტომასმა** ("ნიუ იორკი") და **სკოტ სკაილზმა**, რომელიც ამ სეზონში "ჩიკაგო ბულზიდან" დაითხოვეს.

## კობიმ 21 ათასს გადააბიჯა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** "საკრამენტო კინგზთან" მატჩში 21000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. 29 წლის კობი მეორე მოთამაშე გახდა ლიგის ისტორიაში, ვინც ამ ასაკში ასეთ შედეგს მიაღწია.

იმ ახალგაზრდა მოთამაშეების სიაში, რომლებმაც ეს რიცხვი დააფიქსირეს, ბრაიანტმა გაუსწრო **მაიკლ ჯორდანს, ოსკარ რობერტსონს, შაკილ ო'ნილსა** და **კარლ მელოუნს**. ამ მხრივ, კობიზე წინ მხოლოდ ლეგენდარული **უილტ ჩემბერლენია**, რომელმაც 21 ათას ქულას მაშინ მოუყარა თავი, როცა 29 წლისა და 184 დღის იყო. ბრაიანტს ამისთვის 10 დღით მეტი დასჭირდა.

## ფეხბურთი

UEFA CUP

## უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

### ანდერლეხტი-ბაიერნი 0:5

**ანდერლეხტი:** ზიტკა, ვან დამი, ვასილევსკი, იუჰაში, პარეჟა, შატელი (62. ჰასანი), ბუსუფა, პოლაკი, ბილია, ჟილე, სერჰათი (70. გოორი).

**ბაიერნი:** რენზინგი, ვან ბუიტენი, სანიოლი, ლამი, ჰამით ალთინთოფი (58. სოსა), ვან ბომელი, შვაინშტაიგერი (46. რიბერი), დემიკელისი, ოტლი, ტონი (46. კლოზე), პოდოლსკი.

**გოლები:** 0:1 ჰამით ალთინთოფი (9), 0:2 ტონი (45), 0:3 პოდოლსკი (57), 0:4 კლოზე (67), 0:5 რიბერი (86)

**გაძევება:** ვასილევსკი (44. ანდერლეხტი)

**მაყურებელი:** 21 750

### ფიორენტინა-ევერტონი 2:0

**ფიორენტინა:** ფრეი, გამბერინი, უიფალუში, დაინელი, პასკუალი, იორგენსენი, დონადელი, მონტოლივო, კუჟმანოვიჩი (76. გობი), ვიერი (67. პაცინი), ოსვალდო (74. სანტანა).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ჰიბერტი (73. ჯონსონი), ნევილი, იობო, ჟაგიელკა, კაჰილი, კარსლი, ოსმანი (56. არტეტა), პიენაარი, იაკუბუ.

**გოლები:** 1:0 კუჟმანოვიჩი (70), 2:0 მონტოლივო (81)

**მაყურებელი:** 32 934

### მარსელი-ზენიტი 3:1

**მარსელი:** მატე, ჟივე, ბონარი, ფატი (44. ზუბარი), ტაივო, ბ. შეირუ, მ'ბამი, ნასრი (88. კაბორე), ვალბუენა, ნიანგი (62. ზენდენი), ჯ. სისე.

**ზენიტი:** მალაფეევი, კრიჟანაცი, ანიუკოვი, კიმი, რიკსენი (70. დენისოვი), ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, გორშკოვი, ფაიზულინი (81. რადიმოვი), არშავინი, პოგრებნიაკი.

**გოლები:** 1:0 ჯ. სისე (36), 2:0 ნიანგი (47), 3:0 ჯ. სისე (54), 3:1 არშავინი (82)

**მაყურებელი:** 24 327

### ბოლტონი-სპორტინგი 1:1

**ბოლტონი:** ალ ჰაბსი, ჰანტი, ე. ო'ბრაიენი, კაჰილი, ჯ. ო'ბრაიენი (67. გუტრი), ტეილორი, გარდნერი, მაკკანი, ივან კამპო (84. თეიმურიანი), ჰელგუსონი (55. იანაკოპულოსი), დეივისი.

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, ტონელი, აბელი (46. რომანიოლი), ანდერსონ პოლგა, გრიმი, იზმაილოვი (85. პერეირა), ვუკჩევიჩი, მუტინიო, ველოზუ, ბრუნო, და როშა (79. სილვა).

**გოლები:** 1:0 მაკკანი (26), 1:1 ვუკჩევიჩი (69)

**მაყურებელი:** 25 664

### რეინჯერსი-ვერდერი 2:0

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, უეირი, დეილი, ბროდფუტი, პაპაჩი, კულიარი, ფერგიუსონი, ემდანი, დევისი, ადამი, კუზენი (75. მაკკალოხი).

**ვერდერი:** ვიზე, პასანენი (64. ბიონიში), მერტეზაკერი, ნალდო, ბაუმანი, დ. იენსენი, ვრანიეში (60. უგო ალმეიდა), ფრიტცი, დიეგო, ჰანტი, როზენბერგი.

**გოლები:** 1:0 კუზენი (45), 2:0 დევისი (48)

**მაყურებელი:** 45 959

### ლევერკუზენი-ჰამბურგი 1:0

**ლევერკუზენი:** ადლერი, ჰაგი, ფრიდრიხი, ბარბარესი (67. ფრაიერი), შნაიდერი (75. ვიდალი), შარპეი, როლფესი, ბარნეტა, კასტრო, გეკასი (87. კალსენ-ბრაკერი), კისლინგი.

**ჰამბურგი:** როსტი, დემელი (56. ბოატენგი), მატიისენი, რაინჰარდტი, კომპანი, იაროლიმი, ვან დერ ვაარტი, ბენჟამინი, დე იონგი, ოლიჩი (76. ტროხოვსკი), გერერო (79. ზიდანი).

**გოლი:** 1:0 გეკასი (77)

**მაყურებელი:** 22 500

### ტოტენჰემი-ეინდჰოვენი 0:1

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ვუდგეიტი, კინგი (73. ტაარაბტი), შიმბონდა, ჯენასი (64. ჰადლსტოუნი), მალბრანკი, სოკორა, ლენონი, ჟილბერტო (46. ო'ჰარა), კინი, ბერბატოვი.

**ეინდჰოვენი:** გომეში, კრომკამპი, ალსიდესი, სალსიდო, მარსელისი, სიმონსი, მენდესი, აფელაი (90. ბაკაი), კუვერმანსი (77. ლაზოვიჩი), კულინა, ფარფანი (85. ჯუჯაკი).

**გოლი:** 0:1 ფარფანი (34)

**მაყურებელი:** 33 259

### ბენფიკა-ხეტაფე 1:2

**ბენფიკა:** კუიმი, ლუიზაო (29. ზორო), ნელსონი, ლეო, სეპსი, ედკარლოსი, რუი კოშტა, კაცურანისი, როდრიგესი, კარდოზო, დი მარია (62. მანტორაში).

**ხეტაფე:** უსტარი, კონტრა, ბელენგერი, დიასი, ლიხტი, კასკერო, ალბინი, გრანერო (46. კოტელო), ბრაულიო (61. მანუ), დე ლა რედი (73. სელესტინი), ერნანდეს პაბლო.

**გოლები:** 0:1 დე ლა რედი (25), 0:2 ერნანდეს პაბლო (67), 1:2 მანტორაში (76)

**მაყურებელი:** 25 000



ტოტენჰემი-ეინდჰოვენი. ბერბატოვისა და ალსიდესის ორთაბრძოლა

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახალი კონისტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა